მომიბღვაი იყო მოხივარული და ერთგული ცოლი დედმონა ანა აგრბის შესრულებით. დიდი სამამულია იმის წლებში აფხაზური თეატრის მთავარი დონისძეუანი მამართლი იყო პეროაკულ-რომანტიკული სპექტაკლების შექმნისავე, რა-ღლებიც მოუთხოვრდნენ მაყურებელს საბჭოთა ხალხის ბრძოლის შესახებ ფანსტ-დამყარობთა წინააღმდეგ. და, ბუნებრივია, რომ აფხაზ დრამატურგთა ყურადღება კონცენტრირებულ იყო ეკავიანის მონს სოფლის ოკუპაციასთან დაკავშირებულ ამბებზე. აფხაზ-გლებთა სიმტკიცე და მამ-ცობა, რომლებიც აღსდგნენ მტრის წინააღმდეგ, მთავარი თემა იყო გ. გულაის პიესისა „გმირის კლდე“ (1943 წ.) და ჯ. აგუშას „დიდი მიწისა“ (1945 წ.). აზ. აგრბას მიერ დაღმდეგ სპექტაკლის „გმირის კლდის“ ცენტრში იდგა მოხუცი დაურას სახე (ლ. კასლანძია), რომელიც მეთაურობდა პარტიზანებს. პარტიზანული ბრძოლების შესახებ მოგვითხრობდა მთავრ სპექტაკლიც — „დიდი მიწა“. რეისორმა შ. ფაჩალიამ შეძლო მშვენიერი ანსამბლის შექმნა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის დღის საინტერესოდ გახსნა.

იმის წლებში თეატრი დაიდა არა მარტო პეროაკულ სპექტაკლებს, არამედ ცილიოსდა გამოხმარებულმა მაყურებლის ძლიერი მიღწერი კილებს: კომედიახადი, სიცოცხლახადი, ძიები ხალხს, რომელსაც იმმა მძიმე ტვითი დაადო მხრებზე სურდა თუნდაც მცირე ხნით შაინე დაევიწყა სურსად მიყენებული სულიერი და ფიზიკური ჭრილობები და მხიარულად ეცინა. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სიბოძილო დღეს შედგა ოსი დრამატურგის მ. შველიძის პიესის „საქმროს“ პრემიერა. ამ სპექტაკლში, რომელიც შ. ფაჩალიამ დაიდა, პირველად გამოვიდა თეატრის მხაბობთა გროვული და პოსტდტური შესაძლებლობანი. „საქმროსი“ დაწყებული კომედიური ხანი განაგრძეს ა. ცაგარის „ხანუმა“ და ნ. მიქვაის „მსახიობი კალის სიყვარულობა“.

გმირული თემა, დიდი და ძლიერი ხასიათების შეჩახებთა თემა მუდამ აქვროდა აფხაზუ-



რი თეატრის ყურადღებს, — ისეთი ძლიერი, ნებისყოფიანი და მოუსხვენიარი ადამიანების შექმნაშია გამოამბტყელი სექტალებისა, რომლებიც ნაჩვენები იყო ჭერ კლდე-თეატრის დარახების პირველ დღეებში, — სახელდობრ, დ. დარასილას „ველითა ძველ დროში“ და ს. ჩანბას „მხაჯარი“, რეთისორბი ა.წ. აგრძა და შ. ფაჩალია დიდ მუშაობას ახარებდნენ ადგილობრივ დრამატურებთან ხალხის წარსული და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ახალი დრამატული ნაწარმოებების შესაქმნელად.

1947 წლის 27 ივნისს თეატრში შედგა დადი გერმანელი დრამატურგის ფ. შილერის ტრაგედიის „ვერგაგობა და სიყვარულის“ პრემიერა (რეთისორბი ფაჩალია).

ისეთი რთული დადგმების შემდეგ, როგორც იყო კ. აგუშას „დიდი მიწა“, ლ. ლავრენციის „მათი სახლდგრძელი, ვინც ზღვაშია“, ფ. შილერის „ვერგაგობა და სიყვარული“, რომელთა შექმნასაც ბევრი ძალა და შემოქმედებითი ენერგია დასჭირდა, თეატრმა გაითავისწინა მკურებელთა მოთხოვნები და კვლავ მიმართა კომედიურ უარს. რეთისორბმა და დრამატურგმა შ. ფაჩალიამ წარუდგინა მკურებელთა თავისი მხიარული კომედია „დიდი ქორწილი“, რომელშიც მოთხრობილია ორი მეზობელი კომედიურების შეკბირების შესახებ გარდაშავალი დროისათვის, ადამიანთა ურთიერთ დახმარებისა და ნების ვადლებულთათა წარმატებით შესრულების შესახებ. სექტაკლი მთავრდება მოქმედ პირთა ქორწინებით.

ორმოციან წლებში თეატრმა დადგა ისეთი საინტერესო სექტაკლები, როგორცაა ა. ლასანიძის „გულწრფელი სიყვარული“, მოლიერის „სკაიენის ოინები“, დ. გულიას „აჩრდილები“, გ. გაბუნაის „მზის ამოსვლამდე“, უ. ჰაბიბოვიჩის „არშინ-მალა-ლანია“, შ. ფაჩალიას „სოლუმანი“, შ. გაბესკირაის „სამი მეგობარი“, გ. მდივნის „ეთილი ნების ადამიანი“, გ. მიუხაროვის „ოჯახის პათიონები“, ი. მოსაშვილის „ჩაბირული ქვენი“ და ბევრი სხვა, რომლებიც საუბრის სექტაკლებად იქცნენ აფხაზური თეატრის ისტორიაში.

როდესაც აფხაზური თეატრზე ვლადიმერ კობოტოვი არ უნდა დავივიწყოთ მისი მიმდრეკილება სატორული უარისადმი. ულმოებულ სატირა, რასაც ჭერ კლდე ძველი დროის მსხარა-ბერეკეტი იყენებდნენ, სულ უფრო გარკვეულ ადგილს იჭერს თეატრის რეპერტუარში. ასე მაგალითად, 1954 წელს თეატრმა დადგა ბელირუსი დრამატურგის ვ. მაკაიონიკოს პატორული კომედია „კენჭები დვილიში“ (რეთ. ა.წ. აგრძა).

თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებას გვერდით თეატრს შექონდა თავის რეპერტუარში წარსულის ამსახველი პიესებიც, თეატრში დიდი წარმატებით მიდიოდა მ. გორკის „უკანასკნელნი“.

ოქტომბრის 40 წლისთავის საყოველთაო-სახალხო ზეიმს აფხაზური თეატრი შეხვდა ნ. პოკლიანის „კრემლის კურანტების“ პრემიერით. (რეთ. ა.წ. აგრძა). ლენინის როლი ბრწყინვალედ შეასრულა საქ. სს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა რ. აგრძამ.

1957 წელი აფხაზური თეატრისათვის შემოქმედებითი გამოცდის წელი იყო. სწორედ ამ წელს, ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში, აფხაზური ლიტერატურისა და ხელოვნების დეპარტამენტის მან თავისი ხელოვნება თბილისის მომთხოვნ მკურებელს უჩვენა და დიდი წარ-

მატება მოიპოვა, თბილისელი მკურებელს, აღტაცება დაიმსახურა.

მაგრამ თეატრი არ დასჭერდა მიღწეულს. თბილისში სექტაკლების წარმატებით ჩვენების შემდეგ, იგი გარკვეულად ენერგიით იწყებს მუშაობას და წლის განმავლობაში გამოიშვა რამდენიმე პრემიერა: ვიონივირის „კარტინილი“ (რეთ. გ. სულაიაშვილი), ჯაყოშის „დამნაშავის ოჯახი“ (რეთ. შ. ფაჩალია), ა. ხუთაღანიძისა და ნ. ჯაბუას „სახალი № 12“ (რეთ. გ. სულაიაშვილი), ს. ჩამბას და ვ. აგრძას „გამარჯვება“ (რეთ. ა.წ. აგრძა) და სხვა.

1959 წელს რეთისორბმა გ. სულაიაშვილმა განხორციელა ევროპიდის „მედიას“ დადგმა, რომელიც ქეშმარიტად აფხაზური თეატრის შემოქმედებითი ძალების ერთმეფად იქცევა. ამ სანტიტრის სექტაკლმა ერთხელ კიდევ გამოავლინა თეატრის მახიობთა და რეთისორბა შემოქმედებითი თანამოაზრობა. საქ. სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მინადორა ზუბინა შექმნა მედლის დრმა ტრაგიული სახე, ხოლო იანონის როლში მკურებელს წინაშე საქ. სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი შარაპ ფაჩალია წარსდგა.

60-იანი წლების დასაწყისი აფხაზური თეატრისათვის შემოქმედებითად ნაყოფიერი გამოდგა. კლექტურმა ზედმოყოლებით უჩვენა რამდენიმე სექტაკლი ახალგაზრდა რეთისორბის წელი ეშხას დადგმით. სახელდობრ, — დ. გულუას „აჩრდილები“, კ. კობოტოვის „როცა ასეთი სიყვარულია“, რ. ებრალიძის „თანამედროვე ტრადედია“, ე. შვარციის „შიშველი მტერი“, მ. ჩამაგუას „იგინე აფხაზი“, ნ. თარბას „სიმღერის შეთხზვა ადგილი არ არის“, რომლებიც წარმოადგენენ ახალ ფორცულს აფხაზური თეატრის ისტორიაში. ნიჭიერი რეთისორბმა ნ. უშბამ გამოავლინა თეატრის მსახიობთა ნიჭის კიდევ ერთი მხარე, — სახელდობრ, — გმირული და კომედიური სახეების გარდა, ფსიქოლოგიური, ღრმად ფილოსოფიური სახეების შექმნის უნარი. სხვათა შორის, დიდი ადინიონის, რომ ლ. უკრაინას „მუისი სიმღერას“, რომელიც დადგა ნ. უშბამ, შეუნიჭა II ხარისხის დიპლომი სსრ კავშირის დრამატურგიის საკავშირო დათვლიერების ეთერის მიერ.

ახალი ფორცლები აფხაზეთის თეატრალური ხელოვნების ისტორიაში ჩაწერეს თეატრის განტროლებულ თბილისში 1971 წელს, ხოლო შემდეგ კიდევმა დენარობეტრებსში და ნიკოლაევიში 1972 წელს.

1973 წელს აფხაზური თეატრი ნ. ეშხას ხელმძღვანელობით პირველად ჩაიდა საგანტროლოდ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. სადაც ნაჩვენები იყო თეატრის საუსეთესო სექტაკლები — ბ. შინეუბას „სიმღერა კლდეზე“, ფ. შილერის „დონ კარლოსი“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“, ი. პაპასკირის „ქალის პათიონებმა“, ა. ოსტროვსკის „სნეგუროკა“ და ლ. უკრაინას „ტუის სიმღერა“. აფხაზი ხალხის ხელოვნებას გაცენენ არა მარტო მოსკოველები, არამედ დედაქალაქის მრავალი სტუმარიც. მოსკოვის ამ ვანტროლებმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ თეატრი თავისი სექტაკლებით აწკვიდრებს ზნობრივი სიწმინდის, პატროტოიზმისა და მოქალაქეობრიობის იდეებს.

აფხაზური თეატრის სექტაკლებზე, მისი გას-
ტროლების წარმატების შესახებ მეტრი ქება ით-
ქვა და დაიწერა. ამ მხრივ საინტერესოა მოვი-
ყვანოთ ციტატა გ. დანილივას სტატიიდან, რო-
მელიც დაიბეჭდა გაზეთ „მოსკოვსკაია პრავ-
და“-ს 1978 წლის 5 სექტემბრის ნომერში: „რაც
არ უნდა დღეგას აფხაზურმა თეატრმა, რომე-
ლი ხალხის დრამატურგიასაც არ უნდა მიმარ-
თოს, — იგი არ დალატობს თავის თავს, თავის
იდეურ-მხატვრულ პრინციპებს. ესაა თეატრი.
რომელსაც, გორკის მსგავსად, სწამს ადამიანის
გმირული დანიშნულება. მისი დიადი ზნეობრი-
ვი ძალა, მისი უნარი აშაღლდეს თავგანწირვამ-
დე ხალხის გულსათვის, და რომელიც რომან-
ტიკული გატაცებით აჭრებს ამჟამ მყურე-
ბელს...“

1978-1974 წ. წ. თეატრალურ სეზონში თე-
ატრის სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის ასსრ რეს-
პუბლიკის ხელოვნების დამსახურებელი მ.ო.
ღვინე დიმიტრი კორტავა და ამ უკანასკნ-
ელში თეატრმა განახორციელა რამდენიმე
საინტერესო დადგმა, რომელთაც მყურებლის
მოწონება დაიმსახურეს. ესენია მ. შინკუბას
„მეორე როგორც გენდობით“, ნ. დუმლაძის თეორი-
ბაირალები“, ტ. ულიაშვის „ტრაგედია სურვი-
ლი“, შ. ქკადავას „ალოო გავრობს“, შ. ფ.-
ჩალიას „უკოვლისშემდეგ მაწლოო“, უ. ანუის
„ანტიგონე“, ა. მუქბას „მშის დაბნეულობისას“
(რეჟისორი დ. კორტავა), ი. ბუტკოჩანის „ვიდ-
რე მამალი იყივლებდეს“, ა. არგუნის „სიმღერა
ქრილოპაზე“, ა. გულმანის „პრემია“, ა. სუხო-
ვო-კობილინის „საკმე“ (რეჟისორი მ. მარხო-
ლია).

აფხაზური თეატრის ცხოვრებაში საინტერესო
მოვლენად აღინიშნა დახის შეცვლა ახალია:
და მსახიობებით, რომლებმაც თბილისის შ.
რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტი-
ტუტი დაამთავრეს. სოხუმში კურსდამთავრე-
ბულებმა ჩამოიტანეს რამდენიმე საინტერესო
სექტაკლი, რომლებმაც დირსეული ადგილი
დაიკავეს თეატრის რეპერტუარში. მათ შორისაა
გ. მეირმანის „იმედის დაღუპვა“, რომელიც
დადგმულია სსრ კავშირის სახალხო არტისტის
პროფესორ დიმიტრი ალექსიძის მიერ, ამ
სექტაკლმა მყურებლის მაღალი შეფასება და-
იმსახურა.

ამ სტატიაში თითქმის არაფერია ნათქვამი თე-
ატრის საშუალო და ახალგაზრდა თაობის რე-
ჟისორებზე და მსახიობებზე, მათ მიერ შექმნილ
შთაბეჭდვებზე სექტაკლებსა და სცენურ სახეუ-
ზე, იმ უბრალო მიზეზით, რომ მყურებელს
თვითონ შეუძლია შეაფასოს მათი ოსტატობა.
მათი შემოქმედებითი ძიებები ისტორია არაა —
ისინი დღევანდელი სინამდვილეა. მაგრამ ერთი
რამე კი შეიძლება დაბეჭდებითი თქვას: „აფხა-
ზური თეატრის ბედობითი და მომავალი ნი-
ქიერი ახალგაზრდობის ხელთაა“.

თეატრალური მხატვრები ახალ ავკლუაში

11 ივლისს ა. ხორავას სახ. მსახიობის სახ-
ლის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა რესპუბ-
ლიკის თეატრალური მხატვრების ფერწერისა
და გრაფიკის გამოფენა.

ამჟერად, თეატრის ქართული მხატვრები
ვერისსაზე პირველად წარსდგნენ დაზგური
მხატვრობის ოსტატებად. განსხვავებული მასა-
ლით (ზეთი, აკვარელი, გუაში, ტუში) და სხვა-
დასხვა ხერხებით განხორციელებულია პეისაჟი,
პორტრეტი თუ წიგნის ილუსტრაცია.


გვაოცებს ნიქიერი მხატვრების შემოქმედები.
თი მრავალმხრივობის გამოვლინება, მათი ოს-
ტატობა კიდევ ერთ, სრულიად დამოუკიდებელ-
სა და სპეციფიკურ სფეროში — დაზგური
ფერწერისა და გრაფიკის თანრში.

გამოფენაზე ყურადღება მიიქციეს ცნობილი
თეატრალური მხატვრების „სამულის“ (ო. კო.
ჩაიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე) ზეთის სა-
ღებავებით შესრულებულმა ფერწერულმა ტი-
ლოებმა.

ი. ჩიკვაიძის ნატურმორტში „მუსიკა“ ნაჩკ-
ნებია სინთეზი ორი დამოუკიდებელი, მაგრამ
ურთმანეთოდ წარმოდგენილი, ერთმანეთის
შემავსებელი თანრისა — მუსიკისა და მხატვ-
რობის.

კომპოზიციას ავსებს როიალის ზედაპირი კლა-
ვირებით, მასზე მიმობნეული ზეთის საღებავე-
ბი, წითელ ქილაში ჩაწყობილი ფუნჯები, წინა
პლანზე ვიოლინჩელო. ყველა ჩამოთვლილი დე-
ტალი ნაწილობრივ კადრიდან გადის, ჩარჩოთა
იკვთება. ეს არ არის მოწესრიგებული, გაწო-
ნასწორებული ან სიმეტრიული კომპოზიცია.
სწორედ ასეთი გადაწყვეტა სურათს სიცოცხლეს
ანიჭებს და შინაარსობრივ ხდის. ამს აძლიე-
რებს მუდერი წითელი, იქვე თბილი მოოქროს.
ფრო-მოყავისფრო ტონებთან მომაცრისფერო.

1 იგაა, ფ. 55, სკ. 2.
2 იქვე, ფ. 55, სკ. 2.
3 იქვე, ფ. 55, სკ. 50



მოითერო და ზვი ტონების დაპირისპირება. ნატურმორტი ცოცხლობს ზღოვანის შემოქმედებითი მომენტი, შემოქმედებითი ქილილი.

ი. ჩიკვაძის შემდეგი ორი სურათი ახალგაზრდა მამაკაცის და ქალის პორტრეტებია. მხატვარი ცდილობს ხაზი გაუსვას პორტრეტების ფსიქოლოგიურ მხარეს, გახსნას ინდივიდუალური სახეები. აღსანიშნავია მხატვრის ფერწერული ოსტატობა ქალის პორტრეტში. თამამად იღებს სურათში დიდ ლაქებად ორ კონტრასტულ ფერს — წითელს და მწვანეს და მოყვითალო-მოყავისფრო ტონით ფაქიზად აერთიანებს და ქმნის საერთო მშვიდ გამას, რაც პორტრეტს ინტიმურ განწყობილებას აძლევს. ფართო, თავისუფალი პასტოზური მონასმებით ცოცხალი მეორული ფერების მონაცვლეობით ძერწავს მოცულობას. აღნიშნული სამიოდე ტილოთი ი. ჩიკვაძემ საინტერესო ფერმწერად მოგვევლინა.

საინტერესოა ი. ქოჩიაძის ფერწერული ტილო „პანტომიმა“. პანტომიმისტი ქალ-ვაჟი მოცემულია როლის შესრულების დროს. მხატვრის მიზანია სხეულის პლასტიკურობის, მიმიკურობის ჩვენება. ოქროსფერ ცუცხლისებური ფონზე შექმნილი ფერის ფიგურებს მკვეთრი მოძრავი კონტრუტი გამოყოფს და კომპოზიციას ექსპრესიულს ხდის.

განსვავებული ამოცანა დავა ა. სლოვინსკის ტილოებში: ნატურმორტი „შემოდგომა“ წმინდა ფერწერული ძიების საკითხი დავს. ამის კარგ საშუალებას იძლევა შემოდგომის თემა, თავისი ბარაქანის, სხვადასხვაფერანი ფერადოვანი ხილით. თუმცა ფერთა კონტრასტული დაპირისპირებით მთლიანად არ არის დაძლეული საგანთა მოცულობის გადმოცემა.

მეორე დეკორატიული ტილო „ქალი თუთიყუშით“ დია მომწვანო-მონაცრისფრო ტონებშია შესრულებული. მოზაიკისებური ფაქტურული ბით თითქოს ძველი ქართული მოზაიკებიდან იღებს გამოძახილს. სრულიად განსხვავებულ, აკადემიურ ფერმწერად წარმოგვიდგება თ. ხუციშვილი თავისი ტილოებით: „პეიზაჟი“, „ქართლი“, „ნატურმორტი ლიმონით“, „ნატურმორტი“, „გუდაძის პორტრეტი“ და „სტუდენტის პორტრეტი“. ტილოებს საერთო დამახასიათებელი მონაცრისფრო გამა აფერადოვებს. მხატვრის ნატურმორტებში მკვრივი, ხელშესახები ფაქტურული წერის საგნებს თხელი ლისირებული მონასმებით, მშვიდი, გაწონანწორებული კომპოზიციით იძლევა პორტრეტის ღრმა ფსიქოლოგიურ სახეებს.

ი. ინაშვილი ერთი ტილოთია წარმოდგენილი — „ინვა“. კომპოზიციის ცენტრში, სკამზე ზის თეთრი კბით პატარა გოგონა, რომელიც სხვით ცალი ფეხის მუხლს ეკრძნობა. ოქროსფერ-

თმიან თავს ცოცხალი ყვავილების გვირგვინი უშკობს. ასეთვე ყვავილების თიკვლით დახრილი უქირავს. მხატვარი პასტოზური მონასმებით, მუქ მოლურჯო ფონზე რელიეფურად ძერწავს ფიგურას. სახის ჩაფხარებული გამომეტყულება, ფიგურის მოწინილი კონტური მინორულ განწყობილებას ქმნის, თითქოსდა რელიეფურ სამყაროშია წარმოსახული. როგორც გაზაფხულის ალგორითული განსახიერება შოამ. ბექდავი და დასამახსოვრებელია.

მ. ბაქრაძემ ზეთში შესრულებული რვა პატარა ტილო წარმოადგინა. შექსპირის „როგორც გეგნებოთ“ სათაურითაა.

პირველი შეხედვისთანავე ეპოქალურ კოსტიუმებში გამოწყობილ ტიპაჟებს მახურებელი შეპყავს შექსპირისული აბმოსფეროში, რასაც აძლიერებს ნახატის შინაგანი დამაბულობა, დინამიკური ხაზები, ნათელ ფერთა კონტრასტულობა. მსუბუქი, მოქნილი კონტურების მუსიკალობა, ცივი ფერების გამჭვივალეობა კი ქმნის ლირიკულ, მწუხრ განწყობილებას.

მინიატურულობის შეგრძნებით, დეკორატიული გადაწყვეთით, შეგნებულად დარღვეული პერსპექტივით, თუ სიბრტყობრიობით დაცულია ილუსტრაციის სპეციფიკა. სიუჟეტის დაკონორი თხრობით, ილუსტრაციები ტექსტის მთავარი თანამონაწილეები ხდებიან. მ. ბაქრაძე ამ ილუსტრაციებით გვევლინება შექსპირის ტექსტის ერთ-ერთ შესანიშნავ ინტერპრეტატორად.

„ძველი თბილისი“ ტრიატიში მ. ვეფლისის ორიგინალური კომპოზიციით მხატვარი გვევლინებით წერის ძველი პალაქის სურათებს: ეკლესიას, სამრეკლოსა თუ ტრასულად განფენილ აივანი სახლებს, ვიწრო ქუჩებს, ძველ სადღესასწაულო სცენასა და ქართული ქალის პორტრეტს. რელიეფურად ნაძერწი, ზოგან კი ლისირებული მონასმებით მოთერთო ცივი ტრანლობა აძლიერებს გარდასული დღეთა შობაბედილობას. ხოლო კომპოზიციის სტატიურობა თეატრალურ ესკიზის შობაბედილობას ტოვებს.

კ. კუკულაძე ზეთის სადგავებით აცოცხლებს პეიზაჟებს, ძველი თბილისისა და წინანდალის ხელებს.

ევ. დონცოვამ სამი გრაფიკული ნამუშევარი გამოვინა: საქართველოს ზელოვნება დამახურებული მოღვაწის „მარკ პიასეტის პორტრეტი“ პროფილში, „პეტრეს ტაძარი“ და „ზამთრის ღამე ომბზე“. აღნიშნული სურათები ავლენენ ავტორის გრაფიკული ოსტატობის განსაკუთრებულ მხარეებს, მტკიცე ხელს დახვეწილ ფილიგრანულ ხელწერას.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის დ. თავაძის პეიზაჟებისათვის „მანკლისის მიდამოები“, „წენეთის მიდამოები“ ნიშანდობლივა მუყდრო, მშვიდი ლირიკული განწყობილება.

განსხვავებული თემატიკითაა წარმოდგენილი თ. ქართველიშვილის ნამუშევრები. შერეული ტექნიკით (აქვარელით და ტუშით) თეთრ ფონზე მკვეთრად იკითხება სატირული კომპოზიციები: „მუსიკოსები“, „ჩამაზები“, „მხატვარი“, „ბანოში“, „პოეტი“.

საინტერესოა დ. გორდელაძის გრაფიკული მიწათმშენებელი თემატიკის ნაწარმი „თუთარჩელას“ ილუსტრირებისათვის. ხოლო ვაჟა-ფშაველას „სათაგურის“ ილუსტრაციებში, მხატვრულად ჩასმული ტექსტებით, კომპოზიციებს ლოკალური, მწვევე სატირული ხასიათით ხსენის. აქვარელის ნათელი ლოკალური ფერები მკვეთრად, მხიარულ განწყობილებას აძლიერებენ.

აღსანიშნავია, ასევე, მისი ე. ნინოშვილას „ჩაწევი გურიში“-ს გრაფიკული დასურათება. სიბნელით მოცული, ქართული საცხოვრებლის ინტერიერში კერის შუქითაა განათებული სამი ფიგურის სახე. შავ-თეთრი ლაქებისა და დახვეწილი შტრიხების მონაცვლეობით, დეკორატიული გადაწყვეტით ღრმა განწყობილებიანი სახეებია შექმნილი. ფიგურათა უესტი, ატრიბუტები — იარაღი, ლაქების მკვეთრი დაპირისპირება ანითარებს სურათის უქსპრესიას და ხაზგასმით მიგვანიშნებს შეთქმულთა თავშეყრაზე. ასეთივე მხატვრული ხერხებითაა შექმნილი გრაფიკული ტილო „ოჯახის კერა“.

შ. დარჩიამ მუქ მოლურჯო ზეთის საღებავებით შექმნა მდინარე სუფის ხეობის ხედი. მთვარის შუქით განათებული წყნარი მიდამოები.

ავ. გოგოლაძე ტუშით წერს „მსახიობ სულაძის“ პორტრეტს. თავისუფალი შტრიხებისა და შავ-თეთრი ლაქების მონაცვლეობით ხსენის ახლგაზრდა ქალის ფსიქოლოგიურ სახეს.

ზეთის საღებავებით რელიეფურად წერს ტილოებს „დეკორატიული მოტივები“, „ზამთარი“.

თ. გეინეს აქვარელში შესრულებული აბსტრაქტული კომპოზიციები სერიალიდან „მუსიკოსები“ მხატვრის ღრმა ფილოსოფიურ ფანტაზიას მოწმობს.

და ბოლოს, დასანანია, რომ ჩვენი თეატრალური მხატვრობის მასშტაბურობიდან გამოვდინარე, გამოფენაში ასე ცოტა მხატვარმა მიიღო მონაწილეობა.

გამოფენამ გამოავლინა მხატვართა მრავალმხრივობა, რაც მათ ფართო მხატვრულ-თემატურ ინტერესებზე მეტყველებს.

მეხერთის თეატრი ანი ფლისაა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეხეთში არსებობდა სცენისმოყვარეთა ჯგუფები, რომლებიც პერიოდულად მართავდნენ წარმოდგენებს. 1874 წ. (№ 411) გაზეთი „დროება“ გვაუწყებს: „ახალციხეში უფასო საქალებო სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენილია ორი რუსული და ერთი ქართული პიესა („მე ბინდა კნინა გავხედი“).


სავარაუდოა, რომ ცალკეული წარმოდგენები ადრეც იმართებოდა, მაგრამ ჭრჭერობით ყველაზე უძველესი ცნობა გაზეთი „დროების“ შემოხსენებული ცნობაა.

თეატრის მოღვაწეობას იმ დროს უფრო საქველმოქმედო მიზანი ჰქონდა, წარმოდგენების შემოსავალი ხშირად ხმარდებოდა სკოლის, ბიბლიოთეკის და სხვა კულტურულ საქმეს.

სცენისმოყვარეთა წარმოდგენები თანდათან სტაბილურ ხასიათს იღებდა, ხოლო 1879 წ. 5 თებერვალს უკვე „ამოურჩევითი რეჟისორი ქართული და რუსული სპექტაკლებისათვის და კასირი“. ი. მისიურაძის აზრით „ეს თარიღი ახალციხის საქველმოქმედო სასოფლოებში დრამატული დასის ოფიციალური ჩამოყალიბების დროდ უნდა ჩაითვალოს“ („თეატრალური მოამბე“, 1970 წ. № 5).

სპექტაკლები იმართებოდა ახალქალაქშიც. ამ საქმის მოთავენი იყვნენ ბარბარე, ნინო და ლაზა თარხნიშვილები, რომელთაც ეხმარებოდნენ დრამატული დასის მსახიობები. ერთ-ერთ ინდროინდელ საგაზეთო ცნობაში ვკითხულობთ: „...ხანუშას როლს თამაშობდა გაბუნია-ცაგარლისა, ტყუილკორიანცისას — ა. ცაგარელი, ტიმოთისას — ა. ნებერიძე. გაბუნია-ცაგარლისას მართვეს დიდი თაიგული და ბროლიანტის ბეჭედი...“ („თეატრი“, 1888 წ. № 25).

22



სტენისმოყვარეთა მიერ გამართული წარმოდგენები თანდათან გახშირდა. დასს ემატებოდა ახალი წევრები, რეპერტუარის შერჩევას მტი გულმოდგინებით ეკიდებოდა დასი, ანგარიშს უწყევდა საზოგადოებრივ არსს.

თეატრალურ სანახაობასთან ერთად კულტურული ცხოვრების სხვა სფეროც ვითარდებოდა. შეიქმნა მომღერალთა გუნდი, რომლის ინიციატორი იყო თ. ფაფავიძე. ეს გუნდი შემდეგ კონცერტებთან ერთად, მცირე გვირგვინს წარმოდგენისაც დაგმბდა. ამ გუნდის წევრია დ. ქარსელიშვილი იგონებს: „ჩვენ ამ დროს არა გვაყვავდა გამოცდილი პირი ამ საქმეში რომ უხეშმძღვანელა. ამიტომ ბევრი ნაკლი გვქონდა, მაგრამ როგორც ენთუზიასტებს არაფერი დაბაკოლებდა ჩვენ არ ვაჩერებდით“ (მოგონება ინახება საქართველოს თეატრალურ მუზეუმში).

ამ თეატრალური დასის კეთილშობილური საქმის დიდი მხარდამჭერი და ხელისშემწყობი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ვასეთების „მეგრიასა“ და „დროების“ თანამშრომელი ი. გვარამაძე („ვიცნებ შეხსნი“), რომელიც თეატრის საკითხებზე ხშირად აქვეყნებდა წერილებს.

მესხეთის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი ალ. ფონონი (ყოფშიძე), რომელიც ამ მომხრეებელ მოსამართლედ მუშაობდა.

მესხეთის თეატრალურ ცხოვრებას ორი წყარო ასახარდებდა. ერთი ძირითადი, ადგილობრივი, ხოლო მეორე გასტროლები, რომლებსაც ხშირად აწუხობდნენ ჩახული მსახიობები. განსაკუთრებით გაცხოველდა ახალციხის თეატრალური ცხოვრება ჩვენი საუფლის ოცნის წლებში, რაც გამოწვეული იყო იმ პირობებით, რომელიც საერთოდ ხდებოდა ქართულ თეატრში. გაიზარდა საზოგადოების ინტერესიც. თეატრალურ ცხოვრებას პრესაც გულისხმიერად ემხურებოდა. თეატრის რეპერტუარი ძირითადად ქართული ავტორების ნაწარმოებებიდან სახრდობდა.

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში არსებული გარდატეხები მოხდა. შეიცვალა ქართველი ხალხის ცხოვრება. უველგან იგრძნობოდა სწრაფვა თეატრალურ განახლებისაკენ. ამ პერიოდში ახალციხეში მუშაობდა რეჟისორი რ. ფონიძე, რომელსაც მრავალი სექტაკლი აქვს განხორციელებული. 1926 წ. მესხეთს ესტუმრნენ თამარ წერეთელი და ლალო კვასაძე კონცერტით. 1928 წ. ს. ვაიკიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა წარმოდგენა. 1929 წ. 8 აპრილს გაიმართა ა. გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

ამრიგად, იქმნებოდა რეალური საფუძველი იმისა, რომ მესხეთში ჩამოყალიბებულიყო პროფესიული თეატრი.

ახალციხეში პროფესიული თეატრი სათავეს იღებს 1936 წლიდან, რომლის პირველ ამაჯგობრებად შეიძლება ჩაითვაოდნენ მიხეილ გურული და თამარ სვანი.

1938 წ. დასაწყისში ხანმოკლე პერიოდში ახალციხის თეატრი მუშაობდა გ. გაბისონია, ხოლო შემდეგ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა დიდიმე ქვიშვილი, რომელმაც დასი შეივსო ახალი ძალებით და გაზარდა მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები. ამ პერიოდში განხორციელდა ა. წერეთლის „პატარა კახი“, შ. დადიანის „გეგექორი“ და „მშის ამოსვლა“. 3. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.

გ. მდივნის „სამშობლო“, გ. ნახუცრიშვილის „ცეცხლის ხაზზე“, ვ. ვახტორიას „მათი ამბავი“, ა. კონიხიჯიის „პლატო კრიტიკი“, გ. სუნდუკიანის „პეპე“, ქ. გოლდონის „მხარეული შემთხვევა“, ალ. დიუმას „კლოდის ცილი“ და სხვა.

საბჭოთა ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმის გამო ახალციხის თეატრის მუშაობა შეწყვედა. ქართული თეატრის და მათ შორის ახალციხის თეატრის ბევრი მუშაკი შეიწირა ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეს. ახალციხის თეატრის ყოფილმა მსახიობმა კარლო მუხანათვილმა საბჭოთა კავშირის გმირის სახელით დაამსვენა ქართული თეატრის ისტორიის ფურცლები.

1942 წლის მარტში დ. ქვიშვილი, როგორც თადარიგის ოფიცერი, საქუთაში სურვილით გაემგზავრა სამხედრო სამსახურში, დასი დარჩა რეჟისორის გარეშე, მაგრამ ახალციხის თეატრის მუშაობა არ შეუწყვეტია.

იქაურ მესალვრეთა რიგებში ბევრი იყო თეატრის მუშაკი. ყოველთვის თანამშემე იყო პირგომიცი, თეატრის კოლექტივის მანხატვრო ხელმძღვანელი გიორგი აბრამაშვილი. იგი იმავე დროს მესალვრეთა კლუბის უფროსად და სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა.

გ. აბრამაშვილმა თავის ირგვლივ შემოიკრება მესალვრეები, ძირითადად ყოფილი მსახიობები. ხოლო ქალბები იყვნენ მესალვრე ოფიცერთა და მებრძოლთა მუღელნი. მესალვრეთა ოცკაციან ორკესტრს ხელმძღვანელობდა მუსიკოსი მ. გომიაშვილი. „მესალვრეთა თეატრთან“ არსებობდა აგრეთვე ადრესალური საკრავების ტრიო. თეატრს დიდ დახმარებას უწყევდა ახალგაზრდა კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი. „მესალვრეთა თეატრი“ მესხეთის სოფლებსაც ემსახურებოდა; თეატრი ძირითად მიზნად ისახავდა პატრიოტული გრძნობების გაღვივებას, ხალხში სულიერი სიხსენის შეტანას, მტერზე გამარჯვების იდიის პროპაგანდას.

რამდენიმე სეზონის დროებით შეწყვეტას შემდეგ კვლავ განახლდა ახალციხეში თეატრალური ცხოვრება. ამ თეატრის პირველი დირექტორი და მთავარი რეჟისორი მიხეილ მექმარაშვილი იყო, ხოლო რიგითი რეჟისორი — ვაჟა ჩინალაძე.

სავლეთისხმო ფაქტია, რომ თეატრის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ისტორიულ-პატრიოტული ხასიათის პიესებს, რაც განპირობებული იყო მესხეთის ისტორიული წარსულით. მაყურებელი დიდი ინტერესით ესწრებოდა გმირული შემართებისა და მაღალი ზნეობრივი იდეალების მქონე ნაწარმოებებს.

1949 წ. ახალციხის თეატრის სათავეში ჩაუდგა გიორგი აბრამაშვილი, რომელიც მანამდე თელავის თეატრის მთავარ რეჟისორად მუშაობდა.

1950 წ. ქართული თეატრის 100 წელი ფართოდ აღინიშნა მესხეთშიც.

მესხეთის თეატრის ცხოვრების ახალ ეტაპამდე განვლილი პერიოდი შემოქმედებითი ცხოვრების არასტაბილურობით აღინიშნება.

15657

ქ. შარქიას სახ. საქ. სსრ
საქართველოს სახალხო რესპუბლიკა



საბჭოთა საქართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს 1966 წ. დეკემბრის ბრძანებით, 1967 წ. იანვრიდან ახალციხეში ადღაჟა ქართული სახელმწიფო თეატრი, რომელშიც იმავითვე შესხეთის თეატრის სახელწოდება მიიღო. დირექტორად დაინიშნა ამ საქმეში დღიად გამოცდილი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ მემხარიაშვილი, მთავარ რეჟისორად — ნანა დემეტრაშვილი, რეჟისორ-დამდგემელი იყო დავით ციკარიშვილი. თეატრის მთავარი მხატვარი იყო ავთანდილ გოგოლაძე.

დასი დაკომპლექტდა ძირითადად შ. რუსთაველის სახ. თბილისის თეატრალური ინსტიტუტისა და ს. ზაქარაიძის სახ. კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სამსახირო ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზე მყოფი სტუდენტებით, რომლებიც კურსის დამთავრებისთანავე სამუშაოდ უნდა გამგზავრებულიყვნენ ახალციხის თეატრში.

ახალგაზრდა მსახიობებმა სადამოლომო სპექტაკლები ახალციხეში ითამაშეს. სახელმწიფო კომისიაც პროფესორ რ. ნათაძის თავმჯდომარეობით ახალციხეს გაემგზავრა და იქ ჩატარა გამოცდები. როგორც კი დასრულდა პირველი წარმოდგენა — ო. ჩხეიძის „თელგორე“ (რეჟის. ნ. დემეტრაშვილი, მხატვარი თამაზ ხუციშვილი, მხატვარი-კონსულტანტი ფარნაოზ ლაპიაშვილი), თატრალური ინსტიტუტის მანძილზედა პირველბრძანა ეთერ გუგუშვილმა დიპლომები გადასცა ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს.

ახალგაზრდები გატაცებით შეუდგნენ საქართველ საქმეს. დაიწყო ახალი, დიდი ცხოვრება. ყველა კარგად ესმოდა, რომ შეზღუდულია ბერს სიწმინდეს, წინააღმდეგობას, ექნებოდათ გულმკაცრად, მაგრამ სიხარული იმისა, რომ ისინი იყვნენ დიდი პატრიოტული საქმის — ქართული სიტყვის ახალი კერის ფუძემდებლები, ფრთხვს ახსამდა და ენთუზიაზმს მპატებდა თანამოზარტთა მონოლითურად შეკრულ-შეზმატებილებულ კოლექტივს.

ამრიგად, 1967 წლის 28 სექტემბერს აიხადა ფარდა მესხეთის თეატრის სცენისა. საგულისხმობა, რომ ეს დღი მოვლენა დღიად თარიღს — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს დაუმთხვავა. ასეთი დღი საჩუქარი მიიღეს მესხეთის მშრომლებმა საბჭოთა ქვეყნის ნახევარსაუკუნოვანი ოთბილეს დღეებში.

მესხეთის თეატრის აღორძინება ფართოდ იზრუნეს აგრეთვე ადგილისა და ასპინძის რაიონებმა.

თეატრმა დაიწყო ინტენსიური, რიტმული ცხოვრება.

პირველ სეზონში თერთმეტი ახალი სპექტაკლი დაიდგა (ამაში შედის ის სპექტაკლებიც, რომლებიც ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მოამზადეს), ითამაშეს 186 წარმოდგენა და მოეხსახურნენ 48.800 მაყურებელს.

მესხეთის თეატრმა პირველივე სეზონით მოიპოვა ავტორიტეტი. თავისი სამუშაოებელი სტილითა და მანერით ერთობ ახლობელი აღმოჩნდა მაყურებლისთვის. მრავალმა საზოგადო

მოღვაწემ, მწერალმა, თეატრმცოდნემ აღნიშნა და აღიარა ამ პატარა თეატრის დიდი დაძრწველი საქმიანობა.

1969 წლის ზაფხულში მესხეთის თეატრმა მოაწყო პირველი გასტროლები თბილისში, ე. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრის შენობაში. ეს გასტროლები თეატრისთვის წამდვილი ზეიშმა იყო.

მესხეთის თეატრი ყურადღებას იქცევს კოლექტივის წევრთა ურთიერთმეგობრობით, კოლექტივობით, მოქალაქეობრივი პათოსით, თავისი მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით, რაც ალბათ ესეც გახდა ერთგვარი ფაქტორი იმისა, რომ 1971 წელს თეატრს საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ახალციხის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა თეატრალურ კოლექტივს ახალი, ტექნიკურად აღჭურვილი, ღამაში თეატრის შენობა გადასცეს, რითაც ერთხელ კიდევ ნათელი გახდა პარტიისა და ხელისუფლების თეატრისადმი დიდი ყურადღება და ზრუნვა.

მესხეთის თეატრის ახალგაზრდა კოლექტივის წევრებს შორის ჩანსაღი შემოქმედებითი ურთიერთობა. სწორედ ამ ერთსუფლებიანობაში მათი ძალაც და მათი შრომის სიყვითაც.

თეატრის იუბილე

მიმდინარე წლის ივნისში ფართოდ აღინიშნა მესხეთის განახლებული თეატრის ათი წლისთავი.


საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ გუგუშანიძემ.

მომხსენებელმა თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორმა ხელ. დამს. მოღვაწემ ვასილ კეკელიძემ განიხილა თეატრის მიერ განვლილი უკან.

სსრკ სახალხო არტისტთა, თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ დიმიტრი ალექსიძემ ახალგაზრდულ თეატრს მიულოცა ოუბილე და მოუწოდა იბრძოლოს მეტი შემოქმედებითი წარმატებისათვის.

სიტყვით გამოსულმა ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის მშრომლებმა მისალმებოდნენ თავის საყვარელ თეატრს, მესხეთისთეატრის მთავარმა რეჟისორმა და დირექტორმა ნანა დემეტრაშვილმა ილაპარაკა თეატრის პერსპექტივებზე და დასწრეთ აღუთქვა, რომ შეეცდებოდა თეატრი თავისი დადგებებით მაყურებლებს კვლავ სიამოვნება და სიხარული მიანიჭოს.

ზეიშის დასასრულს წარმოდგენილ იქნა სცენები თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლიდან. მეორე დღეს მესხეთის თეატრმა ვარძიის გამოქვაბულში წარმოადგინა ო. ჩხეიძის ტრაგედია „გიორგი“.



რეპორაჟი

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით, ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები:

ზინაიდა ილიას ასული ბერძენიშვილი — მსახიობი, ელგუჯა ნიკოლოზის ძე გოგოძე — მსახიობი, ომარ ნიკოფორის ძე ყურაშვილი — მსახიობი.

საპატიო წოდებათა მიწივება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით, ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებს მიენიჭათ საპატიო წოდება:

საპარტიველოს სსრ დამსახურებული არტისტების:

იოსებ პავლეს ძე ბაკურაძეს — მსახიობს, ლია ვარლამის ასული თევზაძეს — მსახიობს, მეგი ანდროს ასული თუშიშვილს — მსახიობს, გულად შოთას ძე კობრიძეს — მსახიობს ვაჟა ალექსანდრეს ძე ნიკოლაიშვილს—მსახიობს, გალინა გერონტის ასული პატარიძეს— მსახიობს, თეიმურაზ (ოთარ) ლუკას ძე რეზვაიშვილს — მსახიობს, ნაზი (ლილი) იოსების ასული სულუაშვილს — მსახიობს, პიერ სოლომონის ძე ქადაგიშვილს — მსახიობს, გალინა იროდიონის ასული ხვიჩას — მსახიობს.

საპარტიველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკებს:

ოთარ სტეფანეს ძე აწყურელს — მსახიობს, რეჟისორის ასისტენტს, ავთანდილ ხერგის ძე გოგოლაძეს — მხატვარს.

განვამტკიცოთ ხელოვანთა და მუშენებელთა კავშირი

საპარტიველოს თეატრალური სასოგადოების თანამჯდომარეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს პროფესორ დ. ა. ალექსიძეს

ძვირფასო დიმიტრი ალექსის ძე!

ჩვენ, ენგურპეისის მშენებლობის მრავალათასიანი კოლექტივის წარმომადგენლები, რომლებსაც წილად გვხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიგვეღო საქართველოს თეატრალური სასოგადოების და პირადად თქვენი ინიციატივით მოწყობილ ხელოვანთა და მშენებელთა მეგობრულ შეხვედრებში, ერთხელ კიდევ ვითვლით მაღლობას იმ დიდი უურადლებისა და სიამოვნებისათვის, რომელიც ჩვენ განვიცადეთ და მივიღეთ ქართული თეატრალური კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლებთან მეგობრული კონტაქტების დროს.

ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა გულთბილება და უშუალო შეხვედრებმა საქართველოს თეატრალურ სასოგადოებაში, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სახელოვან კოლექტივთან, განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრის დათვალიერებამ; დიდი სიამოვნება და ჭეშმარიტი ხელოვნების მიმადრე გავლენა ვიგრძენით ოქტის მუსიკალური კომპლექტის თეატრის საგანტროლო სექტაკლის „მარიცას“ და კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დადგმის „ეროში ავი ძალთა“ ნახვით.

უკვე დამეგობრებულნი ორი სახელოვანი კო-

ლექტივის წარმომადგენლების შეხვედრა იმითაც იყო საგულთხიზო და შთაბეჭედავი, რომ ჩვენ ურაველ ნაბიჯზე ვგრძნობდით მასპინძელთა დიდ უურადლებას და სიყვარულს, სიჭკარულსა და სითბოს მშრომელი ადამიანისადმი.

ენგურპეისის მშენებელთა დელეგაციის თვითოული წევრის სახელით გულთბილი მადლობა გადავცით ყველას, იმათ, ვინც პრაქტიკულად ხორცი შეასხა კეთილშობილურ იდეას — ხელოვანთა და მშენებელთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების მამულიშვილურ საქმეს.

დაე, ეს მეგობრობა იყოს ისეთი მტკიცე და მყარი, როგორც ენგურპეისის თაღვანი კაშხლის ტანში ჩაკერული ქართული სიმტკიცის ბეტონი. დაე, ეს მეგობრობა ესტაფეტასავით გადაეცეს ხელოვანთა და მშენებელთა მომავალ თაობებს.


დელეგაციის წევრების დავალებით

ენგურპეისის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი **ბ. შიშანავა**

ენგურპეისის მშენებლობის უფროსის მოადგილე **მ. სარაღიძე**

პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. ჩაჩიბანი**

კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე **ა. თიღლა**



სიტყვა ილო მოსაშვილა

დღეს ჩვენ პოეტს ვიგონებთ, პოეტზე ვლაპარაკობთ. სიკვდილის შემდეგ მისი სიცოცხლე კვლავ გრძელდება და მძლავრად გრძელდება. ისევ ღონიერია, მხნე და ამაყი. ისევ სიყვარულზე გალობს, ბრძოლებში ყოინებებს და გაზაფხულის ცხელ ქარებს ეხლება მკერდით. ცხადად გვეხმის პოეტის მოუღლელი ხმა და კიდევ ერთხელ ვიჭერებთ: პოეტები არ კვდებიან. თავიანთი ხალხის წიაღში განარძობენ დაუდგარ არსებობას. ციკგომბორს, ალაზანს, სიღნაღის გაღავანს ურუანტელად ედება მისი ციკხლოვანი ლექსები.

ამ ლექსებში ილო მოსაშვილის სუნთქვაა, მისი ხასიათი, ტემპერამენტი, შემართული რწმენა და გაუტეხელი იმედი. დიან, ჩვენ პოეტს ვიგონებთ, მაგრამ ის მარტო პოეტი არ ყოფილა. მან თავის მხრებზე იგრძნო ქართული თეატრის მაღალი თაღების სიმძიმეც. მისმა პიესებმა თავისი კვალი დაამჩნია ქართულ დრამატურგიას და თეატრს. ეს ღრმად გატანილი კვლევა ქართული დრამატული მწერლობის ყამირში.


მე ღრმად მჭერა: ქეშმარიტ დრამატურგიას პოეტები ქმნიან. ამიტომაც აღიარებს შექსპირი კაცობრიობის უდიდეს პოეტად. შექსპირის ზრით კი დრამატურგია პოეზიის უმაღლესი ფორმაა. მხოლოდ პოეტს შეუძლია სულიერი ცხოვრების სიღრმეებსა და სიამაღლებს მისწვდეს. პოეტი — ეს მარტო ლექსი და მელოდია არ არის. პოეტი ხასიათია, გუნჯიან, მძაფრი შინაგანი ექსპრესიისა და გაკანების პიროვნება. ასეთი ხელოვანი ცხოვრების ასლებს კი არ ქმნის, ცოცხალი ნატურიდან, სინამდვილის მან-

სალით აგებს ახალ სინამდვილეს. ეს ხალხი უკანამდვილე პოეზიის მარადიულად გიგანტურ ფულია. ამიტომ მჭერა, რომ მუდამ პოეტებისათვის თეატრი. ამიტომ მოვუხმობ მათ თეატრისკენ.

ილო მოსაშვილი პოეტი იყო. მან იგრძნო თეატრის ძახილი და ის მოვიდა თეატრში. მოვიდა თავისი თემებით, ფსიქოლოგიით, განწყობილებებით და პოეზიით. ის წერდა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებზე. ძლიერ, მებრძოლ ადამიანებზე. ის ადამიანები ცხოვრების შესაცვლელად იბრძოდნენ. ისინი დაუღალავი მებრძოლები იყვნენ. ოღონდ ზოგადნი კი არა, ჩვენებურნი, ჩვენი ჯიშისანი, ჩვენი წინსა და ხასიათის მატარებელნი, ყელამდე მართალნი და შეუპოვარნი. ამ პიესებში მკაფიოდ უღერდა ილო მოსაშვილის ომანიანი სიტყვა, ალაზანი ვით ხშიანობდა ცოცხალი ხალხური მეტყველება.

ილო მოსაშვილი ალბათ თავის კახეთს, მის ციკგომბორს ამფოთავტრად აღიქვამდა და ავანსცენასავით ამაღლებულ ალაზნის ველზე თავისი დროის დიდი ამბები ეხმანებოდა. ვის უნდა გაუკვირდეს აქაური კაცის თეატრალობა? ახმეტელიც ხომ ამ საოცარი ბუნების მძაფრი მოძრაობებით არის ერთ დიდ სიცოცხლედ შექრული, შეკავშირებული. ისიც კაცისიონის საკვირველი პანორამის წიაღებიდან ამოიტყორცნა. ასეა, ნამდვილად ასეა, ხელოვანის სულია, ხასიათი მის მშობლიურ გარემოს ჰგავს. მასვე უბრუნდება გაუცდავებელი. „სადგურის უფროსს“ ღუნე ხასიათის ადამიანი ვერ დაწერდა. ის ძლიერ ადამიანს უნდა დაეწერა, მართალი გულისა და ამოურტეტელი ძაღლისის პოეტს. მას უნდა განეცადა კაცისიონის კარიბჭეთიან ისტორიულ შეჯახებათა მძლავრი ექო. უნდა გადაშვებულყო იმ ბრძოლებში, საყუთარ სხეულზე ეგრძნო დროის ქრილობებიც, მსხვერპლიც და ბოლოს ძნელად მოპოვებული გამარჯვებაც. დიდი ომი რთულ სიტუაციებს თავაზობდა. ლევან ჩადუნელის ნაირ კაცებს მტრის ზურგში ინკოგნიტოდ უნდა ეცხოვრათ. ნიღაბი უნდა ეტარებინათ თითქოს მტერთან შერიგებულ კაცისა, გული კი თავისი ბჭეუენის უწმინდესი სიყვარულით უნდა ჰქონოდა სავსე. ბევრი ტკივლი უნდა აეტანათ ასეთ კაცებს. მტრების ეტეხიციც და თავისიანთა რისხვაც მოეთმინა მოღალატედ შენიღბულ სადგურის უფროსს. საყუთარი ხელები საყუთარი კილიებით უნდა დაეჭამა და მოეთმინა, რადგან იგი ამ წუთის აქ იყო საჭირო მტრის ზურგში, აქედან უნდა ესარდოვებინა გამარჯვება. ომი ხომ ხშირად პარადოქსულ მოვლენებს ქმნის. მოყვარულმა მამან თავისი ქალიშვილის მარინეს წამებასაც უნდა უყუროს და თავი შეიკავოს. მღი და დასწერდა ასეთი სცენები, გამართლედ ისინი, გაათოდ ადა-

ილო მოსაშვილის 80 წლისთავის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა.



მიანური გრძნობებით და მაღალი აზრით! ძნელია! მას კი ასეთი სიტუაციები უყვარდა, ასე მაგრად მოწონებდა ჩაიროული ხასიათები. ამის გამოხატვა არც მარტო ფაქტების მხატვარს, არც მარტო ფსიქოლოგს არ შეუძლია, ამისთვის პოეტია საჭირო. ის პოეტი იყო და შეეძლო გაუმართლებელიც გაემართლებინა, მოგონილიც დამაჭერბელი გაეხადა. აქეთივე ისწრაფვოდა მისი წარმოსახვა.

როცა მან საწვდურებს გაღმიდან ქართული ციხე-ტაძრების კენესა ძვლები მტკრევასავით გაიგონა, დაწერა პიესა „ჩაძირული ქვები“. ეს ქვები კიდევ ერთხელ დალაღებდნენ, სამშობლოს ცეცხლოვან სიუვარულს უტრიალებდნენ. იქ გურჯებად ქცეული ქართველები ქვებად ქცეულ წინაპრების სულს დარაჯობდნენ. იმ ჩაძირულ ქვების ტკივილიანი ხმები ამოდიოდა ზღვის ფსკერიდან.

ჩვენ გახსოვს რუსთაველის თეატრის სცენაზე იმ ჩაძირული ქვების რომანტიზირებული ამბავი. მან ის ადგილებიც ალაპარაკა, სადაც ფეხი არასოდეს დაუდგამს, მაგრამ სადაც მისი წინაპრები და სისხლის ნათესავნი სახლობდნენ. იქნებ ბევრი რამ აკლდა იმ პიესას? მაგრამ არ აკლდა არასოდეს პოეტის მხურვალე გული, ილი მოსაშვილის გული.

მე დავდგი მისი პიესა მეციეირ კაცზე, მცოდნე, მიწიერი სიცოცხლის გლუხაკური სიბრძნით გამგებ აღმიაწზე. პიესას ერქვა: „მისი ვარსკლავი“. იქნებ დღეს საინტერესო არ იყოს რაზე დაობდნენ ამ პიესაში გულმეცნიერი, ყელამდე მართალი კაცი გიგაური და დოგმატიკოსი პროფესორი ზანდუკელი. მთავარია, ისინი

შეუპოვრად დაობდნენ ცხოვრებაზე, დაობდა ნიჭი და უნიჭობა. ცოცხალი აზრი და რუტინა, ეს დროის მძაფრი დავა იყო. ამ კონფლიქტის კონკრეტული შინაარსი იქნებ მოძველდა კიდევ, მაგრამ განა გათავდა ჩვენში შეურთიებელი ბრძოლა კონსერვატორსმა და ნოვატორობას შორის?

დრო ბერე თემას აძველებს. ეს გარდუვალა. მაგრამ იგივე დროს მივიწყებულს, უმართებულად დაჩრდილულს ამოტყორცნის ზედაპირზე. მე ამ პიესებშიც ვგრძნობ ამგვარ მთვლემარე ენერჯიას. ვგრძნობ, რადგან მჭერა საოცრად გამძლე პოეტის სიტყვისა.


მე მას კარგად ვიცნობდი, გარეგნულად მშვიდს, თითქმის სიტყვაძვირს. მისმა სიტყვამ აფეთქება იცოდა. მოთმინებით, ზომიერად, მაგრამ იმავე დროს გატაცებით წერა იცოდა. ასე წერენ პოეტები. მერე დროის მდინარე ჰვარავს მათ ნაწერს, ნაწარვეს, ასეთ წუთებში ფიზიკურად ვგრძნობთ იმათ არსებობას. თითქოს საფლავების მიწას ასწევენ, წამოდგებიან და მოგიახლოვდებიან. ვალმოხდილნი მშობლიური მიწის წინაშე მიწისგანვე იძენენ უკვდავებას.

ილი მოსაშვილი ერთი იმთათაგანია. ისინი ხშირად ნაადრევად მიდიან ხოლმე, მაგრამ ნიგნებიდან კვლავ წამოდგებიან სიცოცხლესავით დონივრათ, წამოდგებიან და მოვლენ ჩვენთან, რათა მერე არასოდეს წავიდნენ.

დაბს, მართლაც რომ პოეტები არა კვდებიან, ისინი მხოლოდ გარდაიცვლებიან, რათა სიცოცხლე გაგრძელდეს ისევ და განმეორდეს. იმ გაგრძელებული და განმეორებული სიცოცხლით მოვიდა დღეს ჩვენთან ილი მოსაშვილი.



რუსთაველის თეატრის სპექტაკლ „მისი ვარსკლავის“ დამდგმელი ჯგუფი.



აბსურდის თეატრი და მისი თეორიული საფუძვლები


არ საჭიროებს მტკიცებას ის საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნება ღრმა კრიზისის განიცდის და რომ ყველა მოდერნისტული ნაწარმოები პერმანენტური განწყობილებით და ანტიუმანიზმით არის განსხვავებული. და მინც, აბსურდის თეატრი ასეთ ფონზეც კი ადამიანის არსებობის სრული უიმედობის და უაზრობის მტკიცებით განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. „აბსურდი ისაა, რაც თავის რელიგიურ, მეთაფიზიკურ და ტრანსცენდენტულ ფესვებს არას მოწყვეტლი; „ადამიანი დაკარგულია, ყოველი მისი მოქმედება უაზრო, აბსურდული, უსარგებლო ხდება“. — წერს ეტენ იონესკო ესეში კავკას შესახებ.

აბსურდის თეატრის საფუძვლად თანამედროვე ფილოსოფიურ მოძღვრებათა ირაციონალისტური ტენდენციები (სიცოცხლის ფილოსოფია, ფსიქოანალიზი, ეგზისტენციალიზმი და სხვა) და მათი გავლენით წარმოქმნილი ხელოვნების მიმდინარეობანი ითვლება (დადაიზმი, აბსტრაქციონიზმი, ექსპრესიონიზმი, ლუიჯი პირანდელოს თეატრი, სიურრალიზმი და, კერძოდ, ანტონენ არტოს, სისასტაის თეატრი; ეგზისტენციალისტური თეატრი). ყველა ეს მიმდინარეობა წარმოიქმნა, როგორც რეაქცია გონების ყოველშემძლეობის რაციონალისტურ კონცეფციასზე. გონების ყოველშემძლეობის იდეას მისი სრული ნგრევის, „ადამიანის დასასრულის“ დებულებას დაუპირისპირდა, რომელიც ავანგარდისტული ხელოვნების წამყვან მოტივად იქცა.

აღნიშნული მიმდინარეობების წარმომადგენლებმა გონების ნაცვლად, რომელმაც მათი აზრით, თავისი დანიშნულება ვერ შეასრულა, ადამიანის არაკონიუტის საშუალოს, მის ირაციონალურ მუხატებს მიმართავენ, რომელთა საშუალებითაც უნდათ ჩასწვდნენ ადამიანის არსს. ისინი თვლიან, რომ მთლიანად ხელოვნების და,

კერძოდ, თეატრის აშოცანა, აუხილოს ადამიანს თვალბი მისი ეგზისტენციალური სიტუაციის ტრაგიკულობაზე, ჩააფიქროს არსებობის სარისხა და მიზანზე და ამავე დროს ადმოაჩინოს ორიენტირი საყოველთაო კრიზისის დაძლევისათვის. მიუხედავად სრული უიმედობის განწყობილებისა, რომლითაც აბსურდის თეატრის ნაწარმოებებია განსხვავებული, მისი წარმომადგენლებიც მსგავს პრეტენზიას აცხადებენ.

აბსურდის თეატრის დრამატურგი, ყველა მოდერნისტ ხელოვანთა მსგავსად, პიროვნების დაშლის ფაქტს უსვამს ხაზს, რომელიც მისი აზრით, ტექნიკის ბატონობით და ამით გამოწვეული ადამიანის მთელი ცხოვრების მექანიზტურობით, ადამიანის ნიველირებით არის განპირობებული. აბსურდის თეატრის პერსონაჟი „მასის ადამიანია“, ინდივიდუალურ თვისებებს მოკლებული. მას თვითიდენტურობა არ გააჩნია. ისე შეიძლება შეიცვალოს სხვა რომელიმე ადამიანით, რომ განსხვავებაც არ შეიძლება. ამ დებულების პირდაპირ ილუსტრაციას წარმოადგენს ეტენ იონესკოს პიესა „მელოტი მომდარალი ქალი“. პიესის ფინალში სმიტების წყვალს ცვლის მარტინების წყველი, ისინი მექანიკურად იმეორებენ იმ სიტყვებს, რომლებსაც დასაწყისში სმიტები წარმოსთქვამდნენ. აბსურდის თეატრის პერსონაჟებს სხვა ადამიანად შეუძლიათ იქცნენ, რადგანაც საკუთარი თავი დაკარგული აქვთ. დიეტრონიკურულ სამყაროში მხოლოდ სხვად უყფანა შესაძლებელი, აბსურდული საწყარო სპოხს ადამიანს, როგორც პიროვნებას. ხდება ისეც, რომ აბსურდის თეატრის ზოგიერთი პერსონაჟი თავის სიტუაციას სხვაგვარად აფასებს. ასეთ შემთხვევაში პიესა აგებულია იმ შეუაბამობაზე, რომელიც არის პერსონაჟის წარმოდგენასა და რეალურ სინამდვილეს შორის. მაგალითად, ბუტეისი პიესაში „ბედნიერი დღეები“ ქვიშაში ჩაფლული ცოლ-ქმარი ბედნიერად გრძნობს თავს, თუმცა მათი არსებობა ადამიანური ცხოვრების კარაკატურად თუ გამოდგება. ინგლისელი აბსურდისტის, პაროლდ პინტერის პიესაშიც „მეთვალყურე“ ცხედვით ამგვარ „მასის ადამიანს“. ეს დევსია, მაწანწალო, რომელიც განსხვავად დაწვეული სახლის პატრონმა შეიფარა და მეთვალყურის თანმდებობას პირდება. დევსი ტიპური „თვისებები მოკლებული ადამიანია“, მას დაკარგული აქვს ყოველივე, რაც პიროვნებად აქცევდა, საშუალებას მისცემდა მეტ-ნაკლებად მყარი არსებობა მოეპოვებინა აბსურდულ სამყაროში, რომლითაც არის გარშემორტყმული. პიესაში არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — მისი სათაური ის თანამდებობა, რომელსაც დევსის დევაზობენ. მაწანწალოს სთავაზობენ, მეთვალყურე გახდეს, სხვის სახლს ადევნოს თვალ-ყურა,



მაგრამ მასის აღმართს არა მარტო საკუთარ
ქერის მოპოვება არ უწერია, სხვისი სახლის
მეთვალყურეობაც კი აუზღდენელ იცნებად ჩჩე-
ბა მისთვის. ეს სამყარო უცხო და მტრულია
ადამიანისთვის, „სხვისი სახლია“ და ამ „სხვის“
სახლიდანაც“ ის, დევისის მსგავსად, გაძევებუ-
ლია.

როგორც ვხედავთ, აბსურდისტების აზრით,
ადამიანი პიროვნებიდან საზოგადოების ანონი-
მურ ნაწილად, „მასის აღმართად“ იქცევა, რო-
მელსაც დაკარგული აქვს ყოველგვარი დამოუ-
კიდებლობა და პიროვნების თავისი ცხოვრე-
ბის შემოქმედად ყოფნის უფლება. ამ თვალსაზ-
რისით აბსურდის თეატრის ცალკეულ ნაწარმო-
ებებში მოცემულია ბურჟუაზიული სინამდვი-
ლის წიგნიერების ასპექტის კრიტიკა. მაგალითად,
იქვე იონესკო თავის ვრცელ თეორიულ ნაშ-
როში „შენიშვნები და კონტრშენიშვნები“ ბურ-
ჟუაზიული საზოგადოების შესახებ წერს, რომ
ამგვარად „ორგანიზებული საზოგადოებაში, რო-
მელიც ფუნქციონირებს ორგანიზაციის წარმოადგენს,
ადამიანი დაუყვანილია მის ფუნქციამდე“¹. მაგრამ
ამ დისკუსიის გეგრებით ვხვდებით შემდეგ გა-
მონათქვამსაც: „შესაძლოა, ჩემს პისებში მო-
ცემულია წერილი ბურჟუაზიის გარკვეულ
კრიტიკა, მაგრამ წერილი ბურჟუაზია, რომელ-
ღაც მე ყმადად მხედველობაში, არ არის რომე-
ლიმე გარკვეული საზოგადოების კლასი, ის წერი-
ლი ბურჟუა ტიპია, რომელიც ყველა საზოგა-
დოებაში არსებობს, რეგულაციურია ეს საზო-
გადოება თუ რეაქციული... მოკლედ, წერილი
ბურჟუა ტიპია, რომლის მანიპულირება შესა-
ძლებელია“².

იონესკოს მსგავსად, სხვა აბსურდისტთა „კრი-
ტიკაშიც“ ზღვარი სოციალისტურ და მეტაფიზი-
კურ განზომილებებს შორის იშლება და კაპიტა-
ლისტური საზოგადოების უარყოფითი მხარე-
ბის აბსოლუტიზაცია ხდება. ამის შედეგად,
ბურჟუაზიული კულტურის კრიზისი, მათ აღქ-
მაში, სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მან-
კიერებით კი არ არის გამოწვეული, რაც საზო-
გადოების რადიკალური შეცვლით შეიძლება
იქნას აღმართული, არამედ საერთოდ პიროვნე-
ბის კრიზისის. მისი მეტაფიზიკური არსის გა-
მოვლენა.

ამგვარად, აბსურდისტები ადამიანს ძირითა-
დად მის მეტაფიზიკურ განზომილებაში განიხი-
ლვენ. მათი აზრით ადამიანი ასოციალური არ-
სება, შეუცნობადი ირაციონალური ძალებიც შე-
მოქმედების ობიექტია. მისი ცხოვრება თავისი
არსით ტრაგიკულია, გონიერ საწყისს მოკლენ-
ბული. ადამიანი მისდამი მტრულად განწყო-
ბილ სამყაროში მარტოა, მიუხედავად, არ გააჩ-
ნია ორიენტირი, არ შეუძლია თავისი არსებო-
ბის საზრისის და მიზნის წყობა. ამიტომ ის

გამუდგებით შიშის, ძრწოლის და უიმედობის
ატმოსფეროში იმყოფება. ასეთია აბსურდისტ-
ბის პოზიცია. საზოგადოებრივი მოვლენების და
ადამიანის ირაციონალისტურ და ანტიტიპი-
რიულ შეფასებას მიჰყავს ისინი იმ დასკვნამდე,
რომ ადამიანს არ შესწევს ძალა, თავისი ცხოვ-
რების შემოქმედით ვახდეს, რაიმე საზრისი მი-
ნიშოს მას. წინამორბედ მოდერნისტულ მიმი-
ნატივობებთან შედარებით, აბსურდის თეატრი
განსაკუთრებულად დარწმუნებით ამტკიცებს
ადამიანის არსებობის უაზრობას, გონების უძ-
ლურებას სამყაროში მოქმედი ირაციონალური
ძალების წინაშე, ადამიანის საქციელის ალოგი-
ურობას და ენის მიერ კომუნიკაციის უნარის
დაკარგვას.

მხატვრული თვალსაზრისით აბსურდის თეატ-
რზე დიდი გავლენა იქონია სოურეალისტურმა
თეატრმა, კერძოდ, ანტონენ არტოს სარტესი-
რო მოღვაწეობამ და თეორიულმა ნააზრებმა, რო-
მელიც ჩამოყალიბებულია ფიგესი, თეატრის
და მისი ორეული“³. არტო უარყოფდა ფსიქოლო-
გიზმს და მთხრობელობით მომენტს დაამაში,
ხაზს უხვამდა ადამიანის ცხოვრებაში მის არა-
ცნობიერა საშვარის ირაციონალურ ძალებში
კონფლიქტის მნიშვნელობას და თვლიდა, რომ
სახელო ხელოვნების ამოცანაც ამ ძალების გა-
მომსახველი სიმბოლოების ბროლიან ჩვენება-
არტომ წამოაყენა მითოზენა ძალიან გამომსახვე-
ლობითი საშუალებების შექმნის შესახებ, მის
თეატრში მთავარი ადგილი პლასტიკის, ფსიქო-
კულაციის, სურათების ენას დაეთმობოდა და
ძალზე შეიზღუდებოდა სატყვის მნიშვნელობა;
რადგანაც ეს უკანასკნელი, მისი აზრით, უძლუ-
რია გამოსატოს ადამიანის შინაგანი, გონებია-
თვის მიუწვდომელი სასყარო. მისი გახსნა კი
არტოს უნდოდა მითის, როგორც დრამის სა-
ფუძვლის და რიტუალის, როგორც თეატრალუ-
რი სტილისტიკის ელემენტის საშუალებით.
თვით წარმოდგენა კი მას უსმოდა, როგორც
ფსიქოანალიზის სენსის მსგავსი რამ.

არტოს მსგავსად, აბსურდისტებიც გამოდიან
ახალი, „ქემშირტი“ სასცენო ენის შექმნის
პრეტენზიით. იმგვარი ენის, რომელიც ადამიანის
სიტუაციის გამოსახვას შესძლებდა. ისინი ძვე-
ლი თეატრის ტრადიციულ ფორმებს უპირის-
პირდებიან და განსაკუთრებული სიძლიერით
უარყოფენ სიტყვას. აბსურდის თეატრის წარმო-
მადგენლების აზრით თანამედროვე საზოგადოე-
ბისთვის ერთ-ერთი ძალზე დამახასიათებელი
ნიშანი ენის კრიზისია, რომელსაც ისინი „ენის
ტრაგედია“⁴ უწოდებენ. ენა შტამბებად, უაზრო
ნიშნების კრებულად იქცა. ის უკვე ვეღარაფერს
გამომხატავს და კომუნიკაციის საშუალებადაც
არ გამოდგება. სოციალური ასპექტში ეს იმის
შედეგია, რომ მასამ დაკარგა მოქმედების, აზ-



როვნების, გრძნობის, ლაპარაკის უნარი და აქედან გამომდინარე, სიტყვათა ვერაფრის გამოხატავს. ენის კრიზისი მეტაფიზიკურ პლანზეც მტკიცდება. ის თავისი ბუნების გამო ვერ გამოდგება კომუნიკაციის საშუალებად, რადგანაც ენა გონების პროდუქტია, ადამიანის ირაციონალური არსება კი რაციონალური საშუალებებით არ შეიძლება იქნას დამოცემული. სიტყვა გაუცხოვდა, ისეთივე მტრულ ძალად იქცა ადამიანისათვის, როგორც მთელი დანარჩენი სამყარო. „სიტყვები ქებვის ან მკვლარი სხეულებს მსგავსად ეცემიან, მე ვგრძნობ, რომ მძიმე ძალები მეთუფლებიან, რომელთა წინაშეც უძლური ვარ“¹ — წერს იონესკო. თუკი ადამიანის ცხოვრებაში ენამ დაკარგა კომუნიკაციის მნიშვნელობა, ბელოვებაში ის, მით უმეტეს, ვერაფრის იტყვის. ამით ხსინაი აბსურდისტიკის ენის უაზროფას. საერთოდ თეატრის ტრადიციულ ფორმებს კი ისინი აბსტრაქტულ, „წმინდა“ გამომსახველობით საშუალებებს უპირისპირებენ და ცდილობენ მათ პრაქტიკაში გამოყენებას. ეს საშუალებები მოქმედების, ხასიათების, ვენებათა ან უფლებათა კონფლიქტის ნაკვეთად გაურკვეველი გრძნობის საჩვენებლად არის მიმართული, რომელიც ადამიანს მის ეკსისტენციალურ, ე. ი. მეტაფიზიკურ სიტუაციაში ეუფლება. ამიტომ აბსურდის თეატრი სიტუაციის თეატრია, რომელიც სურათების მონაცვლეობით ამ გრძნობას წამოხატავს.

აბსურდის თეატრის წარმომადგენლები: იონესკო, ბეკეტი, ადამოვი, პინტერი სპეციფიური მხატვრული ხერხების თვალსაზრისით ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, იონესკოს პიესები სხვა აბსურდისტთა ნაწარმოებებზე მეტად ადგილობრივია, ბეკეტის პიესებში სულ უფრო მცირდება პერსონაჟების ტექსტის მოცულობა, ადამოვის დრამატურგიაში აბსურდიზმისთვის დამახასიათებელი თვისებების ჯვერდით ბრტყის ტიპური თეატრის ელემენტებს ვხვდებით, პინტერის შემოქმედება მაღალი კომედიის ტრადიციებს ეყარება და ა. შ. ამ განსხვავებულ ავტორებს მსოფლმხედველობრივი პოზიცია, ადამიანის არსებობის სრული აბსურდულობის მტკიცება აერთიანებს. მაგარიანტიზმური პოზიცია კი შედგება იმ დრამა კრიზისისა, რომელსაც ბურჟუაზიული საზოგადოება განიცდის და მიხი კულტურის მთელი განვითარების კანონზომიერი ეტაპია.

ზომი რამ ლაღო მესხიშვილის ცხოვრებიდან

ცნობილი ფაქტია, რომ ლ. მესხიშვილი სიცოცხლის ბოლო 25 წლის განმავლობაში ყელის დაავადების გამო სტენაზე მსახიობრილი გამოდიოდა. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების შეგროვებისა და გაცნობის შემდეგ, შევეცადეთ რეტროსპექტულად დაგვედგინა ლაღო მესხიშვილის ყელის ავადმყოფობის ისტორიის ზოგადი დეტალი.

აკაკი ფალავა თავის მონოგრაფიაში „ლაღო მესხიშვილი“ (თბ., 1988 წ.) აღნიშნავს, რომ ლაღო ახალგაზრდობიდანვე ფიზიკურად სუსტი ყოფილა. ზედმეტი შრომისაგან დაძაბუნებული 16-17 წლის ქაბუკს მძაფრი ნევრასტიკა დასჩემებია, რის გამოც იძულებული გახდინა სწავლაც კი შეეწყვიტა. ავადმყოფობის მიზეზით სამხედრო მეგარისაგანაც გაუთავისუფლებიათ.

აღნიშნულის მიუხედავად, ლაღოს ნამდვილი მსახიობისათვის საჭირო მშენებრივი გარემოება და ხვეწილგვანი წყრიალა ზარვიც უდრადი სძა, ტემპერამენტი და ბუნებრივი პლასტიკურობა გააჩნდა.

ლაღო მესხიშვილის ყელის დაზიანების შესახებ პირველ ოფიციალურ ცნობას 1895 წელს ვხვდებით: „ეს მეორე წელიწადია, რაც ლაღო მესხიშვილს ყელის ტკივილი დასჩემდა“; — იუწყებოდა „საქართველოს კალიდარი“ (1895 წ. გვ. 121).

იმავე 1895 წელს გაზეთ „ივერიის“ 16 ნომერის (№ 244) ნომერიში ვითხულობთ: „...ურთიელ აკოსტას როლს ასრულებდა ლ. ალექსანდრეს მესხიშვილი. იგი საუცხოოდ თამაშობდა. განსაკუთრებით კარგი იყო მეოთხე მოქმედებაში, — გრიმით, მიხვარა-მოხვრით და ლექსის გრძნობიერი კითხვით მესხიშვილს საზოგადოება აღტაცებაში მოყვალა, ხოლო მისი ავადმყოფობა (ხაზი ჩვენია. — ვ. გ.), სამწუხაროდ, შთაბეჭდილებას ცოტა აკრიფებდა“.



გამოდის, რომ ლაღო მესხიშვილს ყელის რაღაც პათოლოგია და ხმის დაზიანება ქერს კიდევ 1894 წელს დაუწვია.

იმ ხანად ნ. ი. მარშაკისა და კ. ი. შახ-ზაზოვის ინიციატივით შეიქმნა რუსული მოზარდ-მაყურებელთა თეატრი და ალექსი არკადის ძე ამ თეატრის მსახიობი გახდა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნ. ი. მარშაკმა მამინვე მიაქცია ყურადღება ნიჭიერ ახალგაზრდას სპექტაკლში „ბალდა“ (ეს პირველი ზღაპარია იყო ამ თეატრის სცენაზე) მცირე ეპიკოდური როლის შესრულებით დასამახოვრებელი სახე შეიქმნა. იმავე სპექტაკლში იულინი კიდევ ორ როლს თამაშობდა — გადამწერსა და პატარა ქაჯს. თითოეული მათგანისათვის საინტერესო გრიმი გაიკეთა, საგულისგულოდ გაიანჯრა კოსტუმის ყველა დეტალი. უკვე მაშინ, პირველი სცენური ნაბიჯებიდანვე, იგი ცდილობდა გამოემუშავებინა პროფესიული მიდგომა ყოველი ახალ როლისაღმე, მისთვის არ არსებობდა წერილობითი — ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო — განსახიერებელი პერსონაჟის გარეგანი სახეც და მისი შინაგანი ბუნებაც. აღსანიშნავია, რომ ალექსი არკადის ძე შესანიშნავად ფლობს გრიმის ხელოვნებას და ზოგჯერ შეუძლია ორისაში შტრიხით შექმნას პერსონაჟის პორტრეტი. ამის შესწავლას იგი შორეულ 1927 წელს შეუდგა, როცა ჯერ კიდევ გამოუცდელი მოყვარული იყო. ახალგაზრდა მსახიობი მტკიცედ ჩაქდა რეპერტუარში და თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლში იყო დაკავებული. მან წარმატებით განასახიერა სამეფო ბელისუღლებია მტრის, გიმნაზიელ ჩიჩაგოვის სახე სპექტაკლში „აფეთქება“, რითაც კლასობრივი მტრისაღმე სიმულვილია და ზრუნს მჭერიდა მოჭარბებს. მეორე სპექტაკლში „ფრიც ბაუერიში“, თავისი

შერულებით იგი სიმახათის იწყვედა გერმანე-
ლი ხალხის პატარა გვირის — ფრცვ ბაუერის
მოხიზვლელი განსახიერებელი. უსახვლოდ
სწეროდათ მაყურებელთა დიარბაზში მხსდომ
ბავშვებს და მზად იყვნენ გაპყლოდნენ მას.
გატყვებით თამაზობდა ა. იულინი უპატრონო
ბიჭს იროლად და პატრონის სპექტაკლში „მე-
ხანა № 492116“, ქეთის „კაპიტან გრანტის
შვილებს“ ინსცენირებაში, ალიოშა სტრუ-
კოვს გ. ლუბიმიტოვის იმეჯ სახელწოდების პიე-
სეში. ამ უკანასკნელი როლის შესრულების შე-
სახებ რეცენზენტები წერდა: „ალიოშას რთულ
როლს კარგად თამაზობდა: ა. იულინი, მან დაძა-
ჭებულად გაიჩვენა გულჩახურული ბიჭუნას გა-
დახალისების პროცესი სკოლის ამხანაგებისა და
მედაგოგების ზეგავლენის“.

დასამახსოვრებელი იყო ა. იულინი მესაფლა-
ვის პატარა როლში „მუსიკოსების გუნდში“ და
სტოლან შაპირის როლში „ციციფერი და ვარ-
დისფერი“. როლები, რომლებიც წილად ხვდა
მსახიობს, ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანე-
თისაგან და უკვე მამში, შორეული ახალგაზრ-
დობის წლებში, ა. იულინმა თავი გამოიჩინა,
როგორც საინტერესო და მრავალმხრივანამ მსა-
ხიობმა. იგი სტრასბურგად ეცოდებოდა ყოველ
ახალ როლს — დიდსაც და მცირესაც, ცდა-
ლობდა ჩასწვდომოდა მათ არსს. მისი აქტიო-
რული გამოგონებლობა მის უპოვებას აძლევდა
ყოველთვის ენოვა რაიმე ახალი შტრიხი, დე-
ტალი რომელიც დამახასიათებელი იქნებოდა
მხოლოდ განსახიერებელი პერსონაჟისათვის!
იგი იმდენად მიღიარდა და დაუცხრობელი ფან-
ტაზის პატრონი გახლდათ, რომ ზოგჯერ თე-
ატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნ. მარშაი
იძლიებული იყო ფრთები შეეკვეცა მისთვის.
კარგია, როცა მსახიობს გვირგვინ უდვას ქვეა-
ნი და ნიჭიერი რეჟისორი, რომელიც მიმართუ-
ლებას აძლევს მას, გულმოდგინედ აანალიზებს
მის მიერ რეპერტუარზე მიტანულ მასალას და
მასთან ერთად ძირწახვ მომავალ სახეს, სწორედ
ახტ დამირგებლად იქცა ნ. მარშაი, რომლის
დახმარებოთაც აღუქმია არკადის ძემ თავისი
საუცუტესო როლები შექმნა. იულინისათვის შე-
მოქმედებოდა სანწყივის გამოცდა იქცა ფრანც
მოორის როლის შესრულება ზილერის „ჟაჩა-
ლებში“. სხვა ახალგაზრდა მსახიობებთან ო. ბე-
ლინკოსთან, ი. ნოვიკოვთან, რუტანოვთან, რომ-
მანოვთან და სპექტაკლის დამდგმელ ნ. მარშა-
თან ერთად, იულინმა ბრწყინვალედ ჩააბარა ეს
გამოცდა და მისმა ნაშუგვარმა სასუცუტესოთა
აღიარება მოიპოვა. განვით „ზარია ვოსტოკა“
1938 წლის 27 აპრილის სომერში წერდა: „ა. ი.
იულინი, რომელსაც გულმოდგინედ დაუმუშა-
ვებია ფრანც მოორის როლი, ზოგიერთი მო-
მენტში დიდ სცენურ გამოხატვლობას აღწევს.
განსაკუთრებით უკანასკნელ აქტში“. მან შეძლო
მაყურებლისათვის ეგრძნობინებინა ამ სცენური
სახის მთელი ტრალიზმი. უკვე ამ როლში გა-
მოიხმუშავა აქტიორმა საკუთარი ხელწერა, რომ-
ელიც ასე დამახასიათებელი გახდა მისი შემ-
დგომი ნაშუგვარებისათვის — სცენური მონ-
ხაზის, ფსხტის, პლასტიკისა და ხმის ინტონაციის
სიზუსტე. მის მიერ შექმნილ სახეებს მუდამ
საყუთარი ბიოგრაფია აქვთ და აშიტო პერსო-
ნაჟის სახე, რომელსაც იულინი სცენაზე ქმნის,
საცნაურია. და, რაც მთავარია, მის მიერ შე-
ქმნილი სახეები მუდამ მართალი და ჭეშმარიტა-
დის ნიშანები ცეცხლითაა გამოთარი და გულამაყუ-

ეხებლია ეგრეთწოდებულ ბოროტმოქმედთა სა-
ხეებიც კი, რომლებიც მსახიობმა სცენაზე შე-
ქმნა, გაააღმამანურებელია. იგი ისრავდებოდა
ჩასწვდომოდა მათ არსს და მხოლოდ ამის
შემდეგ უღმობილად გამოიხატებოდა და გაე-
ციკვა ისინი მისთვის დამახასიათებელი მოქა-
ლათქობრივი სიმაძვრები..

ასე, მაგალითად, მისი კარდინალი რიშელი
„სამი მუსეტიკრიდიან“ ბოროტებას სჩადიოდა
საფრანგეთის საეთილდღეო და ამავე დროს
თავისი ძალუფლების გასაძლიერებლად, ხო-
ლო ვერავი ბერი სორანი („ესხანდლები“) მო-
ხეხებულად ახვევდა სიცურის ქველთ თავის
მსხვერპლთ, რათა დამტყაროთ თავისი ძალა-
უფლებით, თხედი ავატურისტო ტერენი
„იკეუმებერა ფინის თავგადასავალი“ კი, რომ-
ელსაც მთელი თავის სიცოცხლის მანძილზე
გამიდრებას ცდილობდა, მაგრამ მაინც საცო-
დავ და უღიბლოდ დატყავდა დარჩა. მსახიობის
მეორე შექმნილ უარყოფით პერსონაჟთა შორის
მინდა დგასახელი აგრეთვე ქრითმანა („მია-
წყნეთელი“), ხანდელი მანია („თიფლი ეშმაკუ-
ნები“), პაპა („ჩასაფრებელი“), პოლიტის ჯაშუში
გოლიაფი („კოლუვაფი გუზაფხულის ფრინვე-
ლი“) და სხვ.

ა. იულინი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუ-
დამ ხანგრძლივად, გულმოდგინედ მუშაობდა
როგორც და სრულყოფდა თავის აქტიორულ ოს-
ტატობას. იულინი აღტაცებაში მოჰყავდა მაყუ-
რებელი ბებერი კეთილი ყოვრის პატარა რო-
ლის შესრულებით ანდრესენის ზღაპარში „თოვ-
ლის დღეოფალი“. სპექტაკლში „წერის ბუძ-
ვლები“ ფართოთ მოცუვე ხარბი სოფლის
როლის შესრულებისას იგი ოსტატურად დაა-
რავობდა ხელებით, რომ მოქნილი პლასტიკით
მაყურებელს აოცებდა. ხოლო მოხუცი კოლონი
ბიძია შურას როლში („რესპუბლიკის მოქალა-
ქე“) ფოკუსებს იგი უჩვენებდა, როგორც ნამ-
დვილი ცირკის არტისტი, მრავალი წლის გან-
მავლობაში იგი ანახიერებდა „გულად“ კიე-
ლის გ. ნახტურიშვილის შესანიშნავ ზღაპარ-
„ნაცარქეთაში“ და შექმნა ზარბაჯი, მაგრამ ამა-
ვე დროს ქვეინი და მოხერხებულო საფუფელი
ჯეუხის შთამბეჭდავი სცენური სახე. იგი ამ
როლს თამაზობდა მსებუვად, მზიარულად, ტემ-
პერამენტით მის მიერ ამ როლის შესრულებ-
საკავშირო აღიარება მკოვალ გაზეთი „სოცეტს-
კაიო კულტურა“, ავსებდა რა თბილისის რუ-
სულ მოზარდმაყურებელთა თეატრის საგასტრო-
ლო სპექტაკლებს მოსკოვში 1938 წელს, წერ-
და: „...თეატრში ბებერი ნიჭიერი მსახიობია, ისე-
თი, როგორცა კიკოდის როლის შემსრულებე-
ლი ნახტურიშვილის მზიარულ ზღაპარში. შეიძ-
ლება დანამდვილებით ითქვას, რომ სწორედ იგი
განსაზღვრავდა ბავშვების ამ საყვარელ სპექტა-
კლის წარმატებას“.

იულინის ნათამაშევი აქვს 250 როლი, დიდი და
პატარა, და ყოველ მათგანში იგი მთელ თავის
ძალდონესა და უნარს აქსოვდა. ომის წლებში
იგი აქტურად მონაწილეობდა სამხედრო-სამე-
ფო მუშაობაში, გამოდიოდა როგორც მკითხვე-
ლი და როგორც აქტიორი სპექტაკლებსა და
სკეტჩებში. მიერავკასიის სამხედრო ოლქის
სარდლობამ არაერთხელ დააჩილოვდა იგი სამა-
ტიო სიკვლებითა და „სამხედრო სამეფო მუ-
შაობის წარჩინებულის“ ნიშნით.

იულინის შემოქმედებაში განსაკუთრებულად აღ-
გილი უყავია პატარა დაამიანების ბუდილობა.
შეუძლებელია დავივიწყოთ მარტხელა მეტრ-



ლე იონა, რომელიც ისეთი დიდი სიბოთით და სიყვარულით განასახიერა მსახიობმა ჩეხოვის „სევდაში“ (ა. პ. ჩეხოვის სპექტაკლი-კონცერტი), ან და მისი პაპა კამიონი („გოგის ბავშვობა“), გასრისილი გაჭირვებული ცხოვრების სიმძიმით და გაბოროტებული ყველაზე და ყველაფერზე; ან და გალოთებული პრავინციული მსახიობი შმაგა („უღანაზაული დამანაზენი“); ფოსტალიონი ოტია („მე ვხედავ შუეს“), უკვაკინი („ქორწინება“) და მთელი რიგი სხვა როლები. ესენი დიდად ტრადიციული სახეებია. ამას გვერდითაა კომედიებისა და ვოდევილების უამრავი პერსონაჟი: სულელი და გულუბრყვილო მეფე „ჩეკმეზიან კატაში“; სენიორი პომილორი მომხიბვლავ ზდაპარში „ჩამოლინოს თავდადასავალი“; სასაცილო ბორტომოქმედი ბარმალი სპექტაკლში „რა გვიამბებს ჭაღოქრებმა“; ფილიბერტი „სასაცილო შემთხვევაში“; გაფხორილი ფერლიბოპალი „სასტუმროს დასახლისში“; მომხიბვლელი, გულამჩაუყუბელი პაპბა სპექტაკლებში „უჩინარი დინამიკა“, „ხახვის მოტაცება“, „ჩემი ძმა კლარტენტე უკრავს“ და მრავალი სხვა.

ნორა ყიფიანი

მსახიობი იუდინი, როგორც მრავალმხრივი აქტორი, მისთვის დამახასიათებელი ვოდევილი სიმსუბუქით, ბუნებრივი მუსიკალობით, დივილი აღგზნებადობითა და ტემპერამენტით, დიდი გატაცებით ჰქონდა სცენაზე კომედიურ სახეებს, რითაც სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს და მათთან ერთად მიზარულად დასცირობდა თავის მოუყურეო გმირებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა ვ. ი. ლენინის სცენური სახის შექმნაზე სპექტაკლში „რევოლუციის სახელით“. ეს როლი ერთ-ერთი უსაყვარლესი როლია მსახიობ იუდინისათვის. იგი დიდი პაუზისმგებლობითა და კემპარიტი აღმაფრენით ანსახიერებდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს და თავისი შესრულებით ხელს უწყობდა სპექტაკლის წარმატებას.

ახლაც ბევრს თამაშობს ალექსი არკადის ძე. მაგალითად, თავის მეორხობლივად სეზონში (1976-77 წ.წ.) მან ითამაშა სპექტაკლში „რვხ“ ბუცეის პერლამიტრი, ხელი სპექტაკლში „გაყოფილებული ბაქია“ — უღიბლო მონადირე. უღაყო გამარჯვება მსახიობის მიერ შექმნილი მოხუცი ტელერგაფისტიის სახე სპექტაკლში „დრამატული სიმღერა“, გულუბრყვილო და უსაზღვროდ გულამჩაუყუბელი მოხუცი ზანგინი სპექტაკლში „გეგმვლებრი ფინის თავდადასავალი“. ისევე, როგორც უკვლა კემპარიტად კარგ მსახიობს, ა. იუდინსაც მოაქვს სცენიდან დიდი სიყვარული მთელი სპექტაკლისა, თავისი გმირებისა, პარტიზორებისა და მაყურებლებისა. იუდინი მეტად მომთხვინა თავისი თავისა მის გარშემო ყოფთა მიმართ, რის გამოც არასოდეს არ აძლებს თავს ნების სცენაზე რაიმე დიდუღერობა ან შემწყნარებლობა დიდუღერს. იგი პატვის სცემს მაყურებელს და ეს უკანასკნელაც სიყვარულით უკრავს მის ტანს. ამიტომაც უზარწყინავს თვალში ახე ახალგაზრდა მოხუცი აქტიორს. იგი ბელენიკრია სცენაზე ყოფნით. და ამის შეგნება, რომ ემსახურება თეატრს, რომ იგი საქირთა და უყვარბ, ახალ ძალებს მატებს.

50 წელი სცენაზე ეს არა მარტო დიდი ცხოვრების გზის გავლა, არამედ გმირობაც.

რბ დასამალია, ქალი, მით თუფრ კი მსახიობი ქალი, ძნელად მხელს თავის წლოვანებას. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ეს საყოველთაოდ აღიარებული კემპარიტობა ირღვევა. ასეა დღესაც. რესპუბლიკის სახალხო არტისტა ნორა ყიფიანი სიამაყითაც აცხადებს რომ რევოლუციის თანატოლია.

იშვიათია, მსახიობ ქალს მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ერთ თეატრში გატარებისნოს. ასეთ იშვიათ გამოჩენილის მიუკუთვნება ნორა ყიფიანი. თავისი შემოქმედების ორმოცივე სეზონი მან სოხუმის თეატრში გაატარა.

ქინებ მოწაფეობის დროს სასკოლო წარმოდგენებში ნათამაშები როლები ჩავთვალოთ მისი შემოქმედებითი გზას დასაწყისად? ან 1934-1938 წლები, გრიბოედოვის თეატრის სტუდიაში სწავლის პერიოდი მივუძმატოთ მის პროფესიულ სტაჟს? ვფიქრობთ, არც ერთია საქირი, არც მეორე. თუმცა, ერთსაც და მეორესაც ვარკვეული მნიშვნელობა მსახიობის ცხოვრებაში უღაყო ქონდა, განსაკუთრებით სტუდიას, სადაც გრიბოედოვის თეატრის ჩინებულ მსახიობებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში, შესანიშნავი რეჟისორისა და პედაგოგის ა. რიალის ხელმძღვანელობით გატარებული წლები მომავალი მსახიობი ქალისთვის ძალიან კარგ პროფესიული სკოლა იყო. და გონიერმა, დაკვირვებულმა, უღაყო აქტიორული ნიჭით დაჯილდოებულმა ამ ტანმორჩილმა, მაგრამ ძალზე მომხიბვლავმა გოგონამ სტუდიაში ბევრი რამ ისწავლა. და დღესაც, ამდენი წლის შემდეგ, უკვე გამოცდილი მსახიობი, რომლისგანაც ახლა სხვები სწავლობენ, დიდი სიბოთით და სიყვარულით ეკონიებს თავის პირველ მასწავლებლებს, გრიბოედოვის თეატრის მამინდელ კოლეგებს და განსაკუთრებით კი ექ. სატანასა და ა. რიალს.

სოხუმის თეატრის რსულად დასწოთ რამ ჩარიცხა ნორა ყიფიანს სტუდიის დილობით, მშვენიერია ხმა, ნათელი თვალები, სცენური მომხიბვლელობა და უშუალობა გაანჩნა. დღეს ის უკვე თავისი საქმის ოსტატი, იცის მსახიობის ურთულესი პროფესიის ყველა საიდუმლო, გულთლო აქვს თეატრში ცხოვრების რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა.

ერთ ფრიად თავისებურ უჩვეულო ფაქტს ქონდა ადგილი ნორა ყიფიანის შემოქმედებითი გზის დასაწყისში — მართალია სიხშირე რუსული დასის მსახიობი იყო, მაგრამ თანაბარი დატვირთვით მონაწილეობდა ქართულ წარმოდგენებშიც და წლების მანძილზე არაერთხელ ქვეყნულა ამ ორი დასის რეჟისორთა შორის „განგეჰ-ქილების ვაშლად“, ხოლო შემდეგ, როდესაც რუსულმა დასმა არსებობა შეწყვიტა, მან ქართულ დასში გადაინაცვლა, რადგან აქ თავის ადგილი უკვე კარგა ხნის დამკვიდრებული ქონდა.

თეატრში მოსვლის დღიდან გარკვეული ხანსათის როლების შემსრულებლად იქნა გაპროცენებული, ძველად რომ ტრავესტის ექანდნენ და წლების მანძილზე მეტწილად სულ ბიჭებისა და გოგონების როლებს თამაშობდა. მესხიერებას საშუალოდ შემორჩა მის მიერ სხვადასხვა დროს გაცოცხლებული ბიჭუნები მეწაღე ალიოშკა („ფესტრუე“), სერიოჟა („ანა კარენინა“), მსახური ბიჭი მიჟუა („რევიზორი“), რადიკი აურკინი („ახალგაზრდა გვარდი“), უზნეო ავანეგი („გვარს ნუ დავახლებთ“), ვახუშტი („ნაცარქექია“), გიო („ტარიელ გოლუა“), ნაოლეონი („დედინაცვალი“), ბურატინო („დაკარგული დროის ზღაპარი“) და ვინ იცის რამდენი სხვა.

ბევრია ნორა ყიფიანის რეპერტუარში არანაკლებ საინტერესოდ, ღრმად, დამაჯერებლად წარმოსახული გოგონებიც, ისეთები, როგორიცაა აფინოგენოვის მამუნკა, გორკის ვეროჟკა, კორნეიჩუკის შია ბეგრესტი, ჭუსეინ მუხთაროვის იაზგული, სხვადასხვა ეროვნების სხვა გოგონებიც, რომლებიც ჭერ კიდევ თავის ბავშვურ სამყაროში ცხოვრობდნენ, მაგრამ შესწევით ცნობრებაში ღრმად ჩახედვის უნარი და ზოგჯერ სუფთა გულიწის წყალობით მოზრდილობზე უფრო კარგად არჩევენ ავსა და კარგს. ყველა ამ გოგონას ტივილი ნორა ყიფიანმა თავისად გაიხედა, ჩაწვდო ყოველი მათგანის ფიქრებს და გააღუშლა ისინი მაყურებელს. ამ გოგონების თანაკლია ლუშკა შეცოვა, უშიშარი გოგონა, რომელმაც თავისი დაუხამსამებლად გაწირა ნორჩი სიცოცხლე სამშობლოსათვის, ვაწირა არა ბრძალ, ბავშვურად, არამედ მთელი შეგნებით. და ესეც სასულიად ზუსტად შეიკარნო და გადმოგვცა მსახიობმა. ღრმად განიცადა და მაყურებელსაც ასევე ღრმად განაცდევინა ნორა ყიფიანმა ჭენერკა ლენგლოის და გორკის ნასტიას დიდი სულიერი დრამა, ვასილკარი სიმარტილი და მომხიბვლელობით წარმოდგინა ელიზა დულიტილი, ძალზე საინტერესო კომედიური სადებუბები მოძიება შექსპირის მეროსა და ოლივიას, გოგოლის მარია ანტონოვნას, ლობი დე-ვიგანს ლსენას გასაცოცხლებლად...

შემოქმედების პირველივე წლებში გამოიყვითა ნორა ყიფიანის ხელოვნების კიდევ ერთი მხარე — მას, როგორც ჩინებული ხმის პატრონის, უაღრესეს და მუსიკალურსა და პლასტიკურს, რეჟისორები დიდი სიამოვნებით ანდობდნენ რთულსა და პასუხსაგებ როლებზე მუსიკალურ სპექტაკლებში. ამ ხანსათის რეპერტუარიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა და თვით მსახიობს საკმაგებოდ ჩარჩა გულში გულმორას („არშინ-მალ-აღანი“), დენზას („მადლობულ ნიტუში“) დიდი მხატვრული დამაჯერებლობით, სიმსუბუქით, სილადით აღსახვე სახეები.

ძალზე მკაცრი მომთხოვნია მსახიობი საკუთარ თავისადმი... როცა სობოვ გახსენოს საყვარელი როლები, სულ რამოდენიმეს დასახელებს, თან



მოკრძალებით დახრის თავს, მაგრამ მძაფრად სახსიათო სახე შეადის პიესიდან „უცნაური მისის სევიჯი“ არასოდეს დაავიწყდება.

დაღი სითბოთი და სიყვარულით იგონებს ნორა ყიფიანი თავის პირველ ტრაგიკულ გმირს ემილია გლოტი. პარეგანმა, ნაწმა მსახიობმა ქალმა ჩინებულად შეძლო ლენინგის გმირის ღრმა სულიერი დრამის, მისი შინაგანი სიძლიერისა და რთული გრძნობების ჩვენება, სიყვარული მაყურებელს თავისი ქმნილება ისე, როგორც თითონ უყვარდა, გაიმარჯვა, არ გაუმტყუნა იქიდი რეჟისორ სერგო ჭელიძის, რომელმაც პირველმა დაიწახა ნორა ყიფიანში ესოდენ დიდი ძალა, ასეთი მძაფრი ვნებების წარმოსახვის უნარი, გადამდები ემოციურობა და გრძნობების სიღრმე, დაინახა და ანლო როლი, რომელიც თავდაპირველად სხვებიც გააკვირვა და თითონ მსახიობიც გააოცა და შეაერთო. შემდეგ ემილია გლოტის მრავალმა სხვა მძაფრად დრამატულმა როლმა დაუშოვნა მხარი. ვასილკოვობილი ადგილი მათ შორის ნორა ყიფიანის შემოქმედებაში უჭირავთ იმ ქალებს, რომლებმაც თითონ სულიერი ტიკივლები ძალზე მოკლე სცენურ დროში ჩაატეს და სცენაზე ერთი ან ორი გამოჩენით აღამიანის მთელი ბიოგრაფია გვიამბებს. ასეთები არიან ფალოკოვა („წმინდანე-მა ჭოჯობეთში“), დედა („საბარალდობი დასკენა“), მარია ხოსევა („ბერნარდა აღბს სახლი“), ანტა („ხიდი“).

შემოქმედებითი ცხოვრების გრძელ გზაზე ნორა ყიფიანს თეატრის ვიცი უგეგმის და კარგიც, მაგრამ თავისი ხანსათის თავისებურების გამო, მხოლოდ კარგი დაუმახსოვრებია. ბუნდამ



იგი ბევრ რუქისორს შეახედდა, და ყოველთვის ცდილობს ისწავლოს რაიმე, შეიძინოს, გამდიდრდეს. და განა მარტო ისეთი ოსტატებისაგან, როგორებიც ს. ქელიძე, გ. შურული, ვ. ყუშიტაშვილი, გ. იოსელიანი, გ. ვაბუნია იყვნენ... ისეთი ახალგაზრდებისაგანაც, ახლად ინსტიტუტდამთავრებულნი რომ ჩადიან სამუშაოდ სოხუმის თეატრში და ჭრი თვითონ აქვთ ბეური რამ სხვისგან შესასწავლი.

ბედმა გაუღიმა ნორა ყოფიანს, ქართული სცენის ბევრი ჩინებული მსახიობი იყო წლების მანძილზე მისი პარტნიორი. ახალგაზრდა, იგი უფროსებისაგან სწავლობდა; მერე თანატოლებთან შემოქმედებაში თითონაც მდიდრდებოდა და სხვადასხვა ბევრს აძლევდა თავისი მართალი, საინტერესო ხელოვნებით. უკვე დაოსტატებული კი დიდი საიმედოებით უზარებს გამოცდილებას ახალგაზრდებს, ეხმარება მათ, უსწორებს. ასწავლის, მაგალითს აძლევს და თან თავისთვისაც ყოველთვის პოულობს რაიმე საინტერესოს ამ ურთიერთობაში, რაიმე ანგარიშგასაწევსა და დასაფიქრებელს.

დღესაც კვლავინდებურად სიცოცხლით სავსეა ნორა ყოფიანი, დღესაც ყველაფრისადმი მაინტერესს იჩენს, ცდილობს ყველა სიახლე იცოდეს, არაფერი გამოჩნდეს, დღესაც, როგორც ყოველთვის დიდი საიმედოებით მიიჩქარის ახალი კინოფილმის, ჩამოსული მსახიობების კონცერტის თუ წარმოდგენის სახანავედ, და თუ კი დრო აქვს, დადი ხალხით მიეშურება თბილისს თუ მოსკოვს, რომ აქაც ნახოს ახალი წარმოდგენები, ესიაროს ყოველივე მოწინავეს, მნიშვნელოვანს. ეტყობა კიდევ ეს მის ხელოვნებას. მისი ქმნილებები დღესაც ახალგაზრდული ენერჯითა და ემოციით არის სავსე, ისევე როგორც ოდესმე ყოფილა. ყოველთვის მოიძებნება მას შემოქმედებით საღაროში თანამედროვე ხერხები და საშუალებები.

დღესაც ძველებურად გულისხმიერია ნორა ყოფიანი ადამიანებისადმი, კოლეგებისადმი; დაუზარელია, როცა ვინმეს მისი რჩევა თუ დახმარება ეპატირობა. დღესაც, ისევე, როგორც ყოველთვის, თანაბარი ინტერესით, გულისხმურით ეკიდება ქართული და აზნაურთა დასების ცხოვრების ყოველ საქმეს — წვრილმანსაც და სასიცოცხლოსაც. და ამიტომ არის ასე მდიდარი მეგობრებით, კეთილისმსურველებით.

ფულოცავთ მსახიობ ქალს საიუბილეო თარიღს და ვიმედოვნებთ, კიდევ მრავალჯერ გაახარებს იგი მასურებელს ახალი სცენური სახეებით.

სახალსო თეატრის მოზაიკა

ჩვეულებრივად, როდესაც ვინმეზე წერენ, წინასწარ ემზადებიან. ხვდებიან მას, ინიშნავენ ბიოგრაფიულ ცნობებს, ათვლიერებენ მის პირად არქივს, მაგრამ მე იმედნად კარგად ვიცნობ ჩემი ნაიკვევის გმირის ცხოვრებას და შემოქმედებას, ოქახურ გარემოს, რომ ამ ჩვეულებას ვერღეი ავირე.

ონში ლენინის ქუჩაზე, დიდი და ღამაში ბაღის პატარა სახლში ცხოვრობდა ქეთევან და შალვა ჭავჭავაძეების ოჯახი. ისინი ოთხ შვილს ზრდიდნენ. ამთგან ერთ-ერთი ჩემი მეგობარი იყო, რომლის უსაზღვრო სიყვარულმა და მამახლოვამ და დამკავშირა ამ ოჯახთან.

ქეთევანი, რომელსაც ქეთო დეიდას ეძახდა, მეტად სათნო და კეთილი ქალი, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მცოდნე იყო. მე იგი მახსოვს უკვდავი შოთას ქმნილების კითხვისას, სულიერ ტკობას რომ განიცდიდა. დღემდე ამ აზიარა შევლები ხელოვნებას, ამიტომ იყო, რომ ოჯახში ყველა თხზავდა, ხატავდა, უყარავდა და მღეროდა. ამ მუდგრო სავანეში მუდამ პოეტური სიტყვა გაისმოდა, ოჯახი ლიტერატურით და ხელოვნებით სუნთქავდა. და განა სავიკრედილი არ იქნებოდა, რომ ამ ოჯახში აღზრდილი, ამ პატრონფროს კვალი არ დამჩნეოდათ? მახსოვს, მამის სეხნია — სამი-ოთხი წლის შალვა, დედის წაქეზებით სახუმარო ლექსებს რომ მოგვაყრიდა და აწითლებული, დარცხენილი გარბოდა კარისკენ. მახსოვს დაუღვრობული შუქურა, ქლიავის წვერზე დასკუბებული მხატვრულად რომ კითხულობდა ლექსებს. ახლა ისინი ცნობილი ადამიანები არიან არა მარტო ჩვენს რაიონში, რესპუბლიკაშიც.

დღეს მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა მათ უფროს მძავე, მახაბობსა და რუქისორზე, მზა:

ტვარსა და დეკორატორზე, ადამიანზე, რომელსაც თეატრისაღმა სამსახური ცხოვრების მიზნად გაუხდია.

მე იგი მახსოვს ოჯახში მოღობრტთან მდგომი, ჩაფიქრებული, ფუნჯით ხელში, მახსოვს წაენებში ჩაფლული, მახსოვს ხერხით და ჩაქურით, დეკორაციას რომ ამზადებდა სპექტაკლისათვის, მახსოვს რეჟეტიციანზე, კულისებში, სცენაზე, მეგობრულ გარემოში. და ყველგან, სადაც კი ნახავდით, მასში იგრძნობოდა ხელოვანი, შემოქმედი. ქაბუტკობიდანვე უყვარდა შრომა. დღესაც ვერ ნახავთ მშვიდად. მიუღ დროს შემოქმედებითს შრომაში ატარებს.

მაყურებელი იხიბლება გიგა ჭაფარიძის მიერ განსახიერებული როლებით, მის მიერ დადგმული სპექტაკლებით. საუფუნების მიღმა გვახედებს თუ თანამედროვეობას გვაჩვენებს, მუდამ მიიწრაფვის სისრულით ასახოს ცხოვრება მრავალი წლის მანძილზე მსახიობი და რეჟისორი ასარებს და აღედგებს მაყურებელს. ვინ მოთვლის რამდენი სახე შექმნა, რამდენი სპექტაკლი დადგა, რამდენჯერ აატარა და გააცინა მაყურებელი. ჭერ კიდევ ქაბუტკაში დადგმული პიესებით — „კიკვიძე“, „ციმბირელი“, „ძალად ექიმო“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „სიტყვა საფლავთან“ და მრავალი სხვა, — იწამა მაყურებელმა მისი ნიჭი შედგე დადგმული სპექტაკლებითაც: „ბარათაშვილი“, „ზოია“, „მელა და ურბენი“, „ოიდიპოს მეფე“, „ნევის შევარდენი“, „რუსთაველი“, „დატაკი მილიონერი“, „ურბენი აკობა“, „ანა ფრანკის დღიური“, „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „მარუხის ტრაგედია“, „ჭარისკაცის ქვრივი“ და მრავალი სხვა.

მსახიობს ან რეჟისორს ინტერვიუსას ერთი ტრადიციული კითხვით მიმართავენ. რომელია თქვენი საყვარელი როლი. ან თქვენი საყვარელი დადგმა? მე რომ მისგან ინტერვიუ აშეღო. ამ კითხვით მაინც არ მივმართავდი, რადგან ვიცეი პასუხი გაუჭირდებოდა — მისთვის ერთია დიდი და პატარა როლი, ერთიანირი პასუხისმგებლობით, ერთნაირი შემართებით მუშაობს ყოველ როლზე, სცენური მომ. ხიზველობით ანსახიერებს ყოველ მათგანს. მისთვის სულ ერთია აჩვენებს მაყურებელს მე. ფეს თუ გლესს, დიდებულს თუ მძაბოს, მე. თაურს თუ ჭარისკაცს, პოეტს თუ მუშას.

დავადლაგმა შრომამ, მუდმივმა ფიქრმა და ძიებამ უკეთესისათვის, სიხილისათვის მრავალი სიხარული მოუტანა მსახიობსა და რეჟისორს — დაფასდა მისი დეკორაციის რაიონში თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში. მედლებით და სიგელებით, მაღლობებითა და შთაბეჭდილებებით სავსეა მისი პირადი არქივი, სახალხო თეატრის სტუდია და მუზეუმი, რომელთა შემქმნელი და დამარსებელი თვითონ არის.




გ. ჭაფარიძე-ჰამლეტი

მაგრამ მისთვის, როგორც ხელოვანისათვის, ყველაზე დიდი ჭაღლა მაყურებლის აღქმა. როდესაც იგი სცენაზე დედას, აღედგებს მაყურებელს. ფიქრობს და აქიქებს, ტარის და ატირებს, იციანს და აცინებს. საოცარია მისი გარდასახვა, განცდათა სიმამრე. ყველა სპექტაკლის შემდეგ ფიქრობდი, რომ განსახიერებული როლი მისი ამჟამად იყო, მაგრამ მომდევნო სპექტაკლის შემდეგ უკვე ახალი როლი მიმარნდა მის ამჟამად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო მაღლდება და იხვეწება მისი საშემსრულებლო ოსტატობა.

მისი სახლიდან სახალხო თეატრამდე ძალიან მცირე მანძილია — ათიოდე ნახიჯს გავილის ლენინის ქუჩაზე და რუსთაველის ქუჩას აუყვება. შედის თეატრის შენობაში და იწყება მისი ჩვეულებრივი, რთული და დამაბული სამუშაო დღე. მისთვის ყოველი წუთი ძვირფასია, ყოველ წუთს შეუძლია შექმნას რაღაც ახალი და მტკად საჭირო.

რაიონული საბჭოს დეპუტატი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით ემსახურება სამშობლოს, ხალხს. ცხოვრებაში ძალზე სადაა, თავმდაბალი, უარესად ადამიანური და მეგობრული. მასთან არასოდეს მოიწყენი, მის იუმორზე ჭანსადად იცინებთ. ახალგაზრდობის მეგობარი და მსაწველებელია.



ხისმგებლო დავლებებს. მას ირჩევენ კომპა-
ზირის პირველადი ორგანიზაციის მდივნად,
შემდეგ პარტიორგანიზაციის მდივნად, დიდ სა-
მამულო ომის წლებში ხელმძღვანელობს სა-
კონცერტო ბრიგადას, რომლებიც მომხატვრებსა
უწევდა მოსპიტლებს.

1944 წელს მიხეილი მიწვევის აკ. წერეთლის
სახელობის ქიათურის სახელმწიფო თეატრში,
სადაც 1970 წლამდე დაბო. აქ მის მიერ გა-
ფორმებულ სპექტაკლებში მკაფიოდ გამო-
ვლავდა მხატვრული აზრო და დახვეწილი გე-
მოვნება. მთელ ამ პერიოდში მიხ. აბუნდაძე
დახმარებას უწევდა აგრეთვე კლუბებს, კულ-
ტურის სახლებსა და თვითმოქმედ დრამატულ
წრეებს. დეკლამაციის ხელოვნებას ნახევარ საუ-
კუნის მანძილზე გაფორმებული აქვს 200-ზე
მეტი სპექტაკლი. მისი ნაშუუერები მუდამ და-
დებით შეფასებას იმსახურებდა. აი რას წერდა
გაზეთი „კომუნისტი“ 1939 წლის 9 თებერ-
ვლის ნომერში: „ამ პიესის დადგმა... თაბა-
რჯია ვ. შვაცარძის „უბრალო გოგონაზე“,
მარკსინცილის სახელობის თეატრში მით, არის
აღსანიშნავი, რომ აქ გამოვლინებულ იქნენ თე-
ატრში აღზრდილი ახალგაზრდა რეჟისორი და
მხატვარი. პიესის დადგმა გუთუნის რეჟისორ
გ. მრავალაძეს, მხატვრება — მიხ. აბუნდაძესა.
სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა.“

პირველი სპექტაკლი, რომელიც მიხ. აბუნდა-
ძემ ქიათურის თეატრში გააფორმა, იყო მიხ.
ქორეილის „მარკიტანკა სივარტე“ (რეჟისორი
ს. ცომაია). ამ სპექტაკლის შესახებ გაზეთი
„ქიათურის მადრიგოლის“ რეცენზენტი წერდა:
„დიდად ასწია სპექტაკლის ხარისხი დეკორა-
ციულმა გაფორმებამ, რომელიც დიდი მხატვ-
რული გემოვნებით განახორციელა მხატვრმა
მიხ. აბუნდაძემ“. ასეთი შეფასებები მისმა
მრავალმა ნაშუუერებმა დაიმსახურა.

წ. შედიძემ განიხილადა რა გ. მარუაშვილის
პიესის — „საქმენი აქიმითურა“ — მიხედვით
შექმნილ სპექტაკლს გაზეთ „კომუნისტი“ 1963
წლის 6 მარტის ნომერში წერდა: „კარგა სპექ-
ტაკლის დეკორაციული გაფორმება, ხელოვნების
დამსახურებულმა მოღვაწე მიხ. აბუნდაძემ
ნათლად შეტყვევდა დეკორაციული გარემო შე-
ქმნა სპექტაკლს, რაც აძლიერებს მის იდეა-
ლურმოქმედებას მსაუბრელებს“.

მიხ. აბუნდაძეს თეატრში ხანგრძლივი და
ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის 1956 წელს სა-
ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-
დიუმის ბრძანებულებით მიწიებული აქვს ხე-
ლოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო
წოდება. იგი დაჯილდოვებულია უმაღლესი
საბჭოს სივლით, საქართველოს სსრ კულტურის
სამინისტროსა და საქართველოს თეატრ-
ალური საზოგადოების საპატიო სივლით და სა-
მამულო ომის მედლებით.

მიხ. აბუნდაძემ ამაჟამდ პენსიაზეა, მაგრამ
შრომაზე მაინც ხელი არა აქვს ალებული, ახალ-
გაზრდული გატაკებით ეწევა მხატვრობის პრო-
პაგანდას და ხელს უწყობს მხატვრობით დაინ-
ტერესებულ ახალგაზრდებს პროფესიის დაუფ-
ლებაში.

მიხეილ აბუნდაძე

თბაბრში, სპექტაკლის დამთავრების შემ-
დეგ, კმაყოფილი მსაუბრელები ტაშით რომ
აქილდობენ მსახიობებს, სანახაობის დამ-
დგმელებს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ
მხატვარს, რაგინდ მშვენიერადაც ჰქონდეს სპექ-
ტაკლი გაფორმებული, ასეთი ტაში იშვიათად
ხვდება.


დაბ. ასე მოხდა აკ. წერეთლის სახელობის
ქიათურის სახელმწიფო თეატრში, როდესაც
ო. იოსელიანის პიესის „სანამ ურები გადაბრუნ-
დებას“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლი პირველად
წარმოადგინეს. სცენაზე იდგა ღამაში იმე-
რული ოდა თავისივე ულამაზესი ეჭო-ყურთი.
ყუთაფერის ისე საინტერესოდ და მომხიბლავად
იყო აფერადებული, რომ მაყურებელს დად
ესთეტიკურ სიამოვნებას გვტარდა. დეკორაცი-
ის ავტორს, ხელოვნების დამსახურებულ მო-
ღვაწეს მიხეილ აბუნდაძეს ოვაცია გაუმარ-
თუბ.

მიხეილ აბუნდაძე ნიჭიერი ხელოვანია, იგი
დაიბადა 1907 წელს, საჩხერის რაიონის საოუფო
სარკეში, საშუალო განათლება თბილისში მი-
იღო და 1927 წელს შევიდა სამხატვრო აკადე-
მიაში ფერწერის ფაკულტეტზე, რომელიც 1931
წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ სტუდენტობის
დროს მიხ. აბუნდაძემ ლენინის რაიონის კლუბ-
ში გააფორმა ი. გედევანიშვილის „მხვერპლი“.

1932 წელს ახალგაზრდა მხატვარს ქ. წულუ-
კიძეში ახლად დარსებული თეატრში იწვევეს,
სადაც ერთი სეზონის მანძილზე მ სპექტაკლი
გააფორმა.

1933 წელს მიხეილ აბუნდაძე ბრუნდა
თბილისში და მუშაობას იწეებს მარკსინცილის
სახელობის თეატრში, პირველად მხატვრის თა-
ნაშემდეგ, ხოლო შემდეგ დამდგმელ მხატვრად.
ამ თეატრში მან მხატვრულად გააფორმა
ვ. შვაცარძის „უბრალო გოგონა“, ნ. შიჭავასა
და გ. აბაშიძის „ბედნიერება“, კ. ლორთქიფანიძის
„ფანჯრები“, ნ. პოგოდინის „კრემლის კუ-
რანტები“. ამასთან ერთად იგი მუშაობდა აღ-
დგენულ სპექტაკლებსა: „მშის დაზნელება სა-
ქართველოში“, ე. ტოღერის „ჰომლი, ჩვენ
ვიცოცხლობთ“, ვ. გუცკოვის „ურთივრე აკოსტა“,
წ. დალიანის „კაქალ გული“ და სხვ.

თეატრში იგი შემოქმედებით მუშაობასთან
ერთად აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობა-
საც ეწეოდა, ასრულებდა სხვადასხვა საპასუ-



რუსთაველის თეატრი ლიუსელორფში

ტრაცია და მაინც, ისინი ცნობდნენ „თავიანთ“ ბრეტებს“.

„უნგრეე ციტიკა“ ვრცელი რეცენზია მიუძღვნა თეატრის გამოსვლებს საარბრიუქენსა და დიუსელდორფში და ბოლოს დასაბუთებს: „რუსთაველის თეატრი გვაჩვენებს თეატრს ხალხზე და ხალხისათვის, როგორც ეს ბრეტების სურათი იყო. ამ „ცარცის წრის“ თაობაზე კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ, რაც საბჭოთა კავშირის და გფრ-ის ხალხების უკეთესი გაცნობის და ურთიერთგაგების პროცესში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია“.

თბილისსა და დიუსელდორფს შორის კულტურის დარგში გაცვლა, რომელიც სენსაციური დაფაფის ცემით დაიწყო, შემდგომში გაგრძელდება — დიუსელდორფის თეატრში დადგმის განხორციელების მიზნით მოწვეული იქნება ქართველი რეჟისორი რ. სტურუა. დიუსელდორფის თეატრი ეწევა თბილისის კოლოცის პიესით „მამაკაციური საქმე“ და „გროლიადი სალამი გრალოდენ“.

შემდგომში გათვალისწინებულია: დიუსელდორფის საბავშვო თეატრის სპექტაკლი „კლოუნი მარწუხში“ ნაჩვენებ იქნას საქართველოს სსრ-ში და ბოლოს, საბავშვო თეატრის ხელმძღვანელი, დოქტორი ბარბარა იორტელი წერს საბავშვო კონცერტის ლიბრეტოს, რისთვისაც მუსიკას ქართველი ოთარ თაქაიშვილი შექმნის. ეს იქნება ერთობლივი სასიხარულო ნაწარმოები, რომელსაც მხოლოდ წარმატება შეიძლება ვუსურვოთ.

დიუსელდორფის ქალაქი მმართველობა ქალაქის საბჭოს შენობაში გულითადად მივსალამა მთელ დასს. ქალაქის ბიურგენმაისტერმა იონეფ კურტუნმა და დიუსელდორფის თეატრის გენერალურმა ინტენდანტმა ბეილიცმა მადლობა გადაუხადეს ქალაქის საბჭოს, გფრ-ისა და სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრებს, რომლებიც მიღებას ესწრებოდნენ, მსახიობებს და ყველას, ვინც კი ხელი შეუწყო კულტურის დარგში ამ განუმეორებელი მოვლენის ბორც-შესხმას. მათ იმედი გამოთქვას, რომ თბილისსა და დიუსელდორფს შორის კულტურის დარგში გაცვლა შემდგომშიც გაგრძელდება და განვითარდება. ეს დადასტურდა აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ნ. გურბანიძემ თავის საპასუხო სიტყვაში.

ზაარლანდის თეატრის ყოფილი გენერალური ინტენდანტი მ. ვედლინი, რომელიც წლებობის მანძილზე საერთაშორისო თეატრალური ურთიერთობის განვითარებას, განსაკუთრებით კი თბილისსა და საარბრიუქენს შორის, ყოველწლიურად უწყობს ხელს და რომელიც აშკარად დიუსელდორფში იმყოფებოდა, ამასთან დაკავშირებით წერდა: „თეატრში შესრულდა ახალი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც მას მე-20 საუკუნეში შეიძლება ჰქონდეს. საბჭოთა და გერმანულმა ხელოვნებმა ვითარცა მშვიდობის ახალმა მტრებმა. ერთადერთი მიზნად მშვიდობიანი მომავალი დაისახეს, რათა აღმოაჩინოთ მისი და შემწყნარებლობის პუმანისტური ოცნება სიანმადვილედ იქცეს.“

გავთი „რუსდობრივ გეულმაფც ბრ ულსსრ“

სინამოვნებით და განცვიფრებით მიიღო დიუსელდორფმა რუსთაველის სახელობის თეატრის საგანტროლო წარმოდგენა — რ. სტურუას მიერ დადგმული ბრეტების „კავკასიური ცარცის წრე“, რომელიც 27 მარტს შედგა დიუსელდორფის თეატრში. ეს იყო თეატრალური საღამო, რომელსაც ბრეტის ისეთი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა, რომელსაც ბრეტის ცნობილი სტილისაგან აღარაფერი შერჩენია და რომელსაც, ალბათ, თვითონ ბრეტტი ჩუმად ჩაიციინებდა. სპექტაკლი იწყება მუსიკით, რომელიც არა დესუსს, არამედ ყანჩლის მიერ სპეციალურად ამ დადგმისათვის დაიწერა და გრძელდება ცვალებადი კომბინაციური და თითქმის საციტრო სანახაობის სექციის წარმოდგენაში, რომელსაც ვარც თუ უმართებულოდ უწოდებს სენსაციური.


დასმა, რომელმაც წინა კვირაში საარბრიუქენში თავის ტრიუმფი იკვირა („კავკასიური ცარცის წრე“ ოთხნობიანი წარმატებით იქნა წარმოდგენილი საარბრის მხარის სახელმწიფო თეატრში), დიუსელდორფის მაყურებელი ვაჟედლი თეატრშიც აღტაცება და სიხარული გამოიწვია.

„აქ ყველაფერს მოელოდნენ მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებული სასცენო კულტურისაგან, ამას კი არა: ბრეტის, „კავკასიური ცარცის წრე“ — როგორც ჯახ-როკ-მიუზიკლი“ — წერს, „ნოე რაინ ციტუნიკი“.

„ბოლმდე გამოამყვანა თავისი უცოდინარობა გეოგრაფიაში. იგი წერდა: რუსებმა ბრეტტი დიუსელდორფში მიუზიკლად ჩამოიტანესო“, დადასტურა: „ბრეტის ასეთ ინსცენირებას აქამდე დიუსელდორფელები ოცნებაშიც კი არ დაუშვებდნენ, მაგრამ მათ მოეწონათ იგი“.

„რაინშიც მოსტა“ თავის რეცენზიაში დაწერილებით განიხილავს: „ბობოქრა მ კაპიკან ოპერა“, და ამ ინსცენირებას ზუმრობას უწოდებს, და აღნიშნავს: „სასიამოვნო საღამოს, რომელსაც საზოგადოება 10 წუთის მანძილზე აღფრთოვანებით უსალმებოდა, აღარაფერი ჰქონდა ბრეტთან საერთო... სამხრეთულმა აღტაცების უნარმა თავბრუდამხვევი უშუალოებით ამოხეტა“.

„დიუსელდორფ ნახობტენ“: „თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობები თამაშობდნენ ხელებით, ფეხებით, ეს იყო გროტესტიკული ბალეტისა და სიმღერის დემონს-“



მის შეუძლია ქართულად ლაპარაკი ქართველების გარდა? რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებს საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან ყოველ შემთხვევაში შეუძლიათ ეს. ამასი დარწმუნდა დიუსტორფის მაყურებელით სავსე დარბაზი კვირას, ამ თეატრის სწორედ რომ სენსაციური საგახტროლო წარმოდგენით: ბრეტტის „კავკასიური ცარცის წიგნი“. ერთი სიტყვაც კი არავის ენმოდა, რვა-ციუბეს კი მაინც ბოლო არ ურანს.

რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელიც დიდი ქართული კლასიკოსის სახელი ატარებს, ერთ-ერთი იმ თეატრთაგანია, რომლებიც საქართველოს დედაქალაქში არსებობენ. ამ თეატრში ათეული წლების მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გერმანულენოვან თეატრს. გერმანული კლასიკოსების წაწარმოება ინსცენირებების შემდეგ 1964 წელს თეატრმა სწორედ „სამგროზიანი ოპერა“ აღმოაჩინა. 1969 წელს რიბერტ სტურუამ ბრეტტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ დადგა.

თბილის-ზარბრატენის დამეგობრების შედეგა სტურუას მიერ დადგმული „ცარცის წიგნი“ გერმანიაში ამ თეატრის პატარა ტურნე-მარაგალი ათასი კილომეტრით დამოკრულულ ამ სასცენო კულტურისაგან ყველაფერს მოლოდინს, მაგრამ ამას კი არა: ბრეტტის „კავკასიური ცარცის წიგნი“ გას-როკ-მუსიკალი მიკროფონიანი მთხრობელ-მომღერალით, პიანისტითა და არფაზე დამკვრელით სცენაზე, პატარა რიტმული ჯგუფით ორკესტრში!

დემოკაციების ელემენტების რუდმენტები შორეულ მსგავსებას ამფლავნიენ კასპარ ნერის კულისებთან და აღმოსავლეთ ბერლინის ინსცენირებებს ფოტობთან. ბრწყინვალედაა გამოყენებული მბრუნავი სცენა, რომელზეც ბალეტის მსგავსად მოცეკვავე გროტესკული ფიგურები შემოდიან, სათითავე წარადგებიან მაყურებლის წინაშე, რათა პაროდირებული სიტუაციები შეასრულონ. თვალისა და სმენის დამტკობელი მომზღუნეი სანახაობა, რომელიც ბრეტტის გართობის მოთხოვნას ასრულებს. სხვა მხრივ, სტურუა და მისი მსახიობები ბრეტტის თეორიას სულაც არ დაეძებენ, ისინი უფრო თავისი საკუთარი ხალხური თეატრის ტრადიციებს ეყრდნობიან.

რამაჟ ჩხევიძე აღბობ, ყველაზე კომიკური ანალიზი ბრეტტის ამ ნაწარმოების ყველა ინსცენირებებს შორის. სისხლსავსე კომედიანტი, რომელიც ემობ იანინგს მოგაჯიანებს.

კომპოზიტორ ყანჩილის მუსიკაც შეიცავს ბრეტტის ამ ახალ შტრიხებს. „სამგროზიანი ოპერის“ ხანის ელემენტებს. „კაბარე“-ფილმ-მუსიკის მსგავს ვადასკლებს ნი-იანი წლების ორკესრ და ჩვენი დღეების მელიოდურ გაზზე. საიდან არის ყოველივე ეს? თბილისიდან!

„ნოიე რაინ ცაიტუნგის“ რედაქტორი
შნრემბენი

ესაო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა გასულ სეზონში იშეიმა თეატრი ლაარსების 50 წლისთავი. იმ დიდ ზემითან ერთად, რომელც ნახევარსაუკუნოვანი კოლექტივის ერთგვარ შემაჯამებელ ეტაპად იქცა, თეატრი პრაქტიკულად საქაიანობით იყო დაკავებული: დიდი შემოქმედებითი ხელშეკრულება პოლონეთის სხალხო რესპუბლიკის ლობიან მუსიკალური და ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კონფედის სახელმწიფო თეატრის შორის. ლობელი სტუმრები ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ თბილისში და ეცნობოდნენ, როგორც თეატრის ცხოვრებას, ასევე საქართველოს დედაქალაქს. ვთავაზობთ მათ შთაბეჭდილებებს, რომელიც ჩაიწერა თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგემ ნუნე წიქორიაში.

ანტონი ბახლენსკი, ლობის მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორი: როდესაც მოვემგზავრებოდი საქართველოს, ვიცოდით, რომ მთავარი იმ დროის მემორიები, ისეთ მეგობრებთან, რომელთა გულებიც სავსეა სითბოთა და გულისხმიერებით ჩვენს მიმართ, ისეთ მეგობრებთან, რომელთა უძველეს თვითყოფად კულტურას თავისი საკუთარი აღდგომა მოგვცება სხვა ხალხების კულტურათა შორის. ვიცოდით, რომ საქართველო, გარდა დიდი კულტურული წარსულისა, საიმედო აწმყოს, თავისი დამოუკიდებელი ეროვნული ხელოვნების მფლობელია ამჟამადაც. მაგრამ ჩემმა ექვს-დღიანმა შთაბეჭდილებებმა თქვენს ქვეყანაში ყველა მოლოდინს გადაჭარბა. იმიხატვის, რომ ეს შთაბეჭდილებები დალაგდეს და შესაფერის ფორმაში გადაიღვაროს, დროა საქაირო. ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდი გულითად მეგობრებს, მეგობრებს ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოსი. მტკიცედ დავრწმუნდი ერთში — პოლონელებისა და ქართველების სიყვარული ურყევა, რადგან ეს სიყვარული ჩვენი ფსიქიკიდან მოედინება. დღეს თბილისისა და ლობის მუსიკალურ კომედიის თეატრებს შორის გაფორმდა კულტურული ურთიერთავცილის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება მხოლოდ დასაწყისია იმ ნათელი პერსპექტიული გზისა, რომელიც ჩვენ ხალხებს ვიდობ მეგობრებად აქცევის. ხელშეკრულებებში გათვალისწინებული პუნქტები გულისხმობს პიესების, კლავირებისა და ფოტომასხალის ურთიერთავცილას, 1977-1978 წ. წ. თეატრალურ სეზონში ლობის თეატრის სცენაზე ქართული ნაწარმოების, ხოლო თბილისის მუსიკომედიის თეატრში პოლონური ნაწარმოების განხორციელებას. ამასთანავე, ჩვენმა



თეატრებმა უნდა დადგან ერთი და იგივე დასახელების კლასიკური ოპერეტა, რომელიც ხელს შეუწყობს ორივე თეატრის სოლისტიების გაცვლას. 1978-79 წ. წ. სტუდიებში ორივე თეატრი ერთმანეთში გაცვლის ერთ ახალ წარმოდგენას და დამდგმელ ჯგუფებს — რეჟისორს, დირიჟორს, მხატვარსა და ქორეოგრაფს. 1978 წელს ჩატარდება ურთიერთგაცვლითი ვასტროლები. ვფიქრობ, დასაწყისისთვის ცოტა არ არის. მუსიკალური კომპოზიტორის თეატრში ჩვენ ვნახეთ რამდენიმე, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სპექტაკლი. ამ სპექტაკლების სტენოგრაფიულ მრავალფეროვნებაში იგონებოდეთ თეატრის ერთიანი შემოქმედებითი სტილი. თქონებოდა სურვილი ახლის მოპოვებისა რეჟისორულ გადაწყვეტაში, მხატვრობაში, მუსიკაში, აქტიურულ ოსტატობაში. მე მწანას, რომ პოლონელები და ქართველები ერთმანეთს შეეხებიდნენ არა მარტო უტყუარ გრძნობებში, არამედ უტყუარ ხელოვნებაშიც.

ალექსანდრე ლეჟანოვი, ლომის მუსიკალური კომპოზიტორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: — მიჭირს დადინჯობით ამ შთაბეჭდილებებზე საუბარი, რომელიც მივიღე საქართველოში ერთი კვირის განმავლობაში, მე უფრო შორიდან მინდა დავიწყო: ქართულ შთაბეჭდილებებს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1959 წელს, როდესაც თვეები ხელოვნების წარმომადგენლები პირველად წარსადგინეს პოლონეთი ხალხის წინაშე. შემდეგ, 1969 წელს, ეს შთაბეჭდილებები გაღრმავდა როდესაც თბილისის შესანიშნავი საოპერო დასი მთელი ბრწყინვალეობით წარმოვიგოდა ლომის დიდი თეატრის სცენაზე. ქართველების ვოკალური ტანადი და საშემსრულებლო ბრწყინვალეობა ფერდერყავდა ახირადუნდა ჩვენი ოპერის სცენაზე. ჩვენ ვიხილეთ მაღალი კლასის საოპერო და საბალეტო ხელოვნება, რომელმაც გაიმარჯვა, პარალელურად, ლომის დიდი თეატრის საოპერო დასი თბილისის სენია და შთაბეჭდილებებმა შეტი სიმპერტ შეიძინა. ფორსმახინ ჩამოგრძნადა პოლონეთში და მოწმენი გავგზავნა ქართული ხალხური ფერდერყის ნიჭიერებისა და თვითმყოფადობისა: შემდეგ, 1972 წელს ლომის დიდი თეატრის სცენაზე გაი. მართა ზაქარია ფლანაშვილის „ახტალამ და ეთერის“ პრემიერა ჩვენი საოპერო თეატრის ძალებით, დადგმის მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორი გახლდათ ჯანსუღი კანბიე, ხოლო რეჟისორი გურამ მელიაძე, რომლებიც ამჟამად ჩვენი გულითადი მასწავლებლები არიან. შემდეგ... ჩამოთვლა შორს წავიყვანავ, ამჟამად შეუძლებელია. და ბოლოს, ის შთაბეჭდილებები, რომლებიც პირადად მე მივიღე ჩემს ქვეყანაში თვეწევან, სრულიად უტყუარ შეიქნა ამჟამად, როდესაც ადგილზე, თვით საქართველოში გადავამოწმე: — ტაქტიკა ქვრისა და სექციცხოვლია, ციხე მეტეხისა — რომელიც ავამიანების ესთეტიური ტკბობის სამსახურში ჩამდგარა, საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმი და ილია კიქვე, ოპიზარების უბრწყინვალესი ნამუშევრები და მრავალი სხვა, ნამდვილი ნიმუშები უმედელის კულტურისა თავისი თვითმყოფადობით გაცოცხლები.

მე, უშთავრესად, მაინც თეატრზე მინდა შევეჩერდე. ერთი კვირის განმავლობაში თბილისის ვასო ახაშიძის სახელობის მუსიკალური კომპოზიტორის თეატრში ვნახეთ წარმოდგენები: „ჩანჩურა“, „ქალაქში დაღის მომავალი“, „ლამანე-

ლი“, „ჩარლის დიდა“, და „მოსკოვი-ჩეილიშვილები“. ჩამოთვლილი სპექტაკლები წარმოვიგდე სხვადასხვა სახით — ვნახეთ როგორც ფსიქოლოგიური დრამა, ისე თანამედროვე თეატრული სატირალი ჩანახატები, მსუბუქი, გასართობი მუსიკალური კომედია და დრამატული მიუზიკლი. მიუხედავად სპექტაკლების განსხვავებული ხასიათისა, ყველა მათგანში იგრძნობოდა რეჟისორის ერთიანი მხატვრული ხელწერა, ერთი ხედავდა, შემოქმედის ინდივიდუალობა (რეჟ. გ. მელიაძე). სპექტაკლებმა მომხილეს მხატვრული გაფორმების თვალსაზრისითაც, ფერადოვნებაც, რომელიც აუცილებელი კომპონენტია ამ თანხის თეატრისათვის, ზემოთადაც სცენაზე (მხატვრები უ. იმერლიშვილი და თ. მურავანიძე), ხოლო თეატრის მესტროსი (ა. მამაკაშვილი), რომელიც ელვარე ნიჭიერების ფაქტორს მუსიკოსთა, გვიხილავდა თავისი არტისტულიზმითა და ამ თანხის ბუნების შესანიშნავი შეგრძენებით, და ბოლოს, სცენის ბატონ-პატრონები, — მსახიობები წარმოსდგნენ ჩემს წინაშე მონოლოთური ოსტატობით. მე ვიგრძინე სცენაზე ბატონობდა მსახიობის ოსტატობის ერთი სკალა, მომხილავდა პლასტიკამ, ხალხსა ნიჭიერებამ, პროფესიულმა დისციპლინამ. ამ ფაქტს განსაკუთრებულად იმით ვუსმინა ხაზს, რომ სრულიად განსხვავებული ფორმის სპექტაკლებში ისინი თავს კარგად გრძობდნენ, მათი თამაში ანსამბლური, მხატვრულად გააზრებული იყო. მსახიობებმა ი. ვასაძემ, თ. ლავურაშვილმა, ი. ბოქოძემ, თ. მერკვილაძემ, ზ. კახიანმა, შ. ხაჯალიამ, ა. ამირანაშვილმა, დ. ჩიბლაშვილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. ისინი მხილავდნენ კარგი ცვალებად და მსახიობური ოსტატობით. ნანახი სპექტაკლებიდან მინდა გამოვეყო „ჩანჩურა“ (კომპ. შ. მელიაძე, პიესის ავტორი მ. თარხნიშვილი), სადაც სპექტაკლის მასტერური ნახაზი და მსახიობური სცენების ფოკუსირებული მახლობეობა ქართულ ყოფასთან ასევე მომეწონა დ. ქუბაბიასი, ქალაქში დაღის მომავალი; რომლებიც იმდენად ადამურთოვანა, რომ პიესის პოლონური ადაპტაციის სურვილიც კი აღმეძრა. სპექტაკლში წარმოდგენილი სატირული სცენები ყოფის ზოგიერთ მანკიერ მხარეებზე მსახიობი ი. ვასაძის მიერ ასე სახიერად იყო წარმოდგენილი, რომ ჩემთვის ყოველი სცენის აზრობრივი ატაკირთვა უსიტყვოდაც ნათელი გახლდათ. მაგრამ, ყველაზე მეტად სპექტაკლში მომხილავ ქართული ხალხური მუსიკის სინაიფორმ, სიღრმე, ელვარდობა, სილამაზე, რომელიც საუკუნების სიღრმეებიდან მოედინება და ერთგულად საუნჯეს წარმოადგენს. დიდებული ქართული სიმღერები ასევე დიდებულად შეარჩულა თეატრის კაქუამ. მომღერლები კარგად გრძნობდნენ არა მარტო მუსიკის, არამედ სპექტაკლის შინაგან რიტმსაც.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო ის გულისხმი თეატრი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენენ სტიბილისდმი ზემდგომი ორგანოები. ეს დამოკიდებულება მათგან იხილეს, რომ ხელოვნება აქ პერსპექტიულია. პერსპექტიულია ლომის და თბილისის მუსიკალური კომპოზიტორის თეატრებს შორის დადებული ხელშეკრულებაც. აქ პერსპექტივებზე საუბარი გეკონდა მე და თბილისელ კოლეგას.

ოსტინიანი წარმომიგდა პოლონურ-ქართული თეატრის შექმნა. მეც არა, რომ ამახ რეალური საფუძველი არა აქვს. მთავარია ის, რომ არს-

ბაზს ოცნება, რომელიც თავისთავად ბევრ რამეზე შეტყვევებს.

რიდონსაჲ სურამიანი (ქ.ლომის ვოევოდს-ტვას კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე): საქართველოში თავს ვგრძნობ როგორც ჩემს მშობლიურ კუთხეში, ეს კი პოლონელისათვის უმთავრესია.

მაურიცი ბერბერი (თეატრის დირექტორ-განმარტავლებელი): გული მწყდება რომ ვტოვებ საქართველოს, მაგრამ მივდივარ ახალ შეხედვრებზე ოცნებით. ექვსი დღეა აქ ვარ და თავს ისე ვგრძნობ, როგორც შეჩვეული სტუმარი. თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში არსებული მხატვრული დონე უფრო მეტად ზრდის ჩვენ პასუხისმგებლობის გრძელბას მომავალი კონტაქტების მიმართ.

იოჰან ოლბრიძი (ლომის ქალაქკომის ავტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე): — შობამეტილებმა იმდენად დადებითა რომ ნაუცხადებდნენ მათი სრულად გადმოცემა საქმელოცა. ერთი რამ ცხადია ჩემთვის: აზრი, რომელიც მე მომისმენია ჩემი მეგობრებისაგან საქართველოზე, მთლიანად დადასტურდა. ცხოვრების სიხარულით გამთბარი, საშობლოს სიყვარულით ანთებული, მოყვარული ოჯახისა და ყოველდღიური შემოქმედებითი შრომისა — აი ასეთად წარმომიდგინე დღევანდელი მასპინძლები. ასეთები არიან პოლონელებიც. ალბათ ამ საერთო თვისებების შემწეობით გვიადვილებდა კონტაქტების დაწყება. ჩვენ ცხოვრობთ შესანიშნავ ქვეყანაში. საქართველოსა და პოლონეთის კულტურის განვითარების გზებზე ერთია, გვაქვს ერთიანი მიზნები, გვწამს შეგობრობის, ძმობისა, მეგობრობის — ასეთია ჩემი შობამეტილებები და ფაქტები.

ჩვენ თეატრებს შორის გაფორმდა კოორდირული ურთიერთობის ხელშეწყობა. მე მინდა ვთქვა, რომ ხელშეწყობა გაფორმდა ახლა. ურთიერთობები კი ხელშეწყობების გაფორმებამდეც არსებობდა. ჩვენი მასპინძლები — თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გ. მელივა და მხატვარი თ. შურვანიძე, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ჯ. კახიძე ოქტომბრის დღისსწავლისთვის ლომის ოპერის დიდ თეატრში განხორციელებენ შეერთანისა და პროფიფიის კომპეროპერას „დუნიას“. სპექტაკლი ეძღვნება საბჭოთა ხელისუფლების დასაყრბის 60 წლისთავს.

ჩვენ შორის დადებული ხელშეწყობა არ არის ლოკალური მნიშვნელობის ფაქტი. იგი საინფორმაცია მომავალი მასტაბური ხასიათის კონტაქტებისა არა მარტო ხილოვებაში, არამედ სპორტში და ყველა სხვა კულტურულ დონეობებში, რომელიც წარმოაჩენს ამა თუ იმ ერის ღირსებას, გააცნობს მათ ერთმანეთს, დაახლოვებს, შეაყვარებს.

რაც შეეხება თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლებს, მათი ნახვის დროს ხშირად მიუვლდებოდა აღმდგურნა. განსაკუთრებით მომწონა „ჩანჩურა“ და „ქალაქი დიდის მომავალი“. დიდ მადლობას ვუხდ მსახიობთა მთელ კოლექტივს ჩვენს მასპინძლებს კარგი ხელოვნებისა და გულთბილი დახვედრისათვის. ხელოვნების მეტყველი ენა და უსახარული გზები ნამდვილი მეგობრობისაკენ მიმავალი წარმტაცი გზებია.

ორი ურიელი

კომე მარჩაინშვილის მიერ დადგმული პიესებიდან „ურიელ ავოსტა“ ერთ-ერთი ბრწყინვალე სპექტაკლია. ამ სპექტაკლში კიდევ ერთხელ ავლენდა უქცობი ნიქი უშანგი ჩხვიძისა და ვერეკო ანჯაფარიძისა, შადე დაშაშვილისა და მიხეილ სარაულისა, ალექსანდრე იმედაშვილისა და დავით ჩხვიძისა ელენე დონაუროვისა და ელენე სიბილაისა.

მა მერე, რაც თეატრს უშანგი ჩხვიძე ჩამოსცილდა, ქართულ თეატრალურ საზოგადოებრიობაში ერთი შემაშფოთებელი აზრი შეიქმნა — უშანგის მერე ვინაა შეძლებს ურიელის როლის შესრულებასო. მაგრამ ერთ შემწვიერ დღეს გატყდა ნახსი და ყველასათვის მოულოდნელად ურიელის როლში პიერ კობახიძე მოეკვივინა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო შემფოთებული საზოგადოების დაშვილება. ხელჩაქნულ მაყურებელს იმედო დაუბრუნა, რადგან უშანგის პირსიულ შემცვლელად მოეკვივინა.

რამდენიმე წლის მერე მაყურებელმა კვლავ მოულოდნელად იხილა სცენაზე ახალი ურიელის როლის შემსრულებელი — სერგო ზაქარიაძე.

როგორც თეატრის ტრფივალს, ჩემს თავს არ მივეცემ უფლებას ვიმსჯელო მათ მიერ განსახიერებულ ურიელზე; თუ რომელმა უკეთ წარმოაჩინა ურიელის დაუდრომელი, მოუსვენარი ცხოვრება და რეკლუციურად განწყობილი ამბოხი სული, რადგან ჩემი მოსაზრება დაწვრიული არ იქნება შეცდომებისაგან.

თეატრის ტრფივალს შორის იგივე გაუთავებელი დავა, კამათი. ყველას თვით სათაყვანებელი მსახიობი მოსწონდა და მათი გადაჭრება არც ისე იოლი საქმე იყო. როცა ვ. კობახიძე ასრულებდა ურიელს, მაშინ პირტერში მეტწილად პიერისტიბი (ანუ ვ. კობახიძის მომხრეები) ჭარბობდნენ. როცა ს. ზაქარიაძე — სერგისტიბი (ანუ ს. ზაქარიაძის მომხრეები).

1936-1937 წ. თეატრალური სეზონი იდგა. ხმა გაკვარდა, ურიელის როლს ირავი შესარულებ



სო. პირველად არავის სჯეროდა, ალბათ უღრუბლო ამინდში მების გავარდნას უფრო მოელოდნენ, ვიდრე ასეთ სენსაციას. იმ საღამოს ზღვა ხალხი მიაწყდა თეატრს. სპექტაკლის დაწყებამდე პ. კობახიძისა და ს. ზაქარიაძის თავყანისმცემლები, მართალია ჩუმად ისხდნენ, მაგრამ ისეთი თვალებით შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქმის ეუბნებოდნენ: აბა ვნახოთ, ვინ ვის აჯობებსო!

მას მერე ორმოც წელზე მეტმა განვლო. ძენ-ლია ნავლწყარული ამბის დაწვრილებით გახსენება, იმ აღფრთოვანების გაღმოცემა, რაც მაშინ სუფევდა თეატრის პარტერსა და სცენაზე. მაგრამ მაინც შევეცდები გავიხსენო, რადგან ამ სპექტაკლის შესახებ ჩვენს პრესაში არამც-თუ რეცენზია, პატარა ინფორმაციაც კი არ იყო დაბეჭდილი.

მიუხედავად იმისა, რომ სურათებში რიგრიგობით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ურჩილის ორი სხვადასხვანაირად წამოთხვეული მსახიობი, მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მაყურებელი ამას არ გრძნობდა. ყველას მოსწონდა ს. ზაქარიაძის დაღლილი ხმით აღმოსკვდარი თხოვნა, მუდარა, აღსარება და პ. კობახიძის დაუმორჩილებელი მეგრძოლი ბოზოქარი სულის დრტიკეზა.

მაშინ, როდესაც ინკვიზიციის წინააღმდეგ ბრძოლისაგან მოღლო-მოქანცული ს. ზაქარიაძე თავის „დანაშაულს“ აღიარებს და შემაჯარენი ყაყანი სინაგოგის მსახურნი მას განათვლად სცენიდან გაიყვანენ, პარტერში სამართლებრივი სიჩუმე მეფლება, მაყურებელს თვალმებზე თანაგრძობისა და შეცოდების ცრუმღებში უბრაწყნავთ. მაგრამ, როგორც კი სცენაზე პერანგუმოხეული, ღვთისმსახურთაგან თავდაღწეული, გამძინვარებული პ. კობახიძე ცხვრის ფარასავით შემორკავდა ინკვიზიტორებს და მქექარე ხმით დასწყვიტებდა: „შეჩერდიოთ, განა არ გაცნობთ ყველას, ვინცა ხართ, აი მდიდარა ბენ იოზია, წედან არ იყავ ფეხი რომ დამკარ!“ ტაშის გრაალს ბოლო არ უჩანდა. მსახიობის ეს ყველაზე ძვირფასი ჭილოდ, რა თქმა უნდა, ორივეს ეკუთვნოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი ივლითისა და ურჩილის საყვარულის მარცხითა და სულისშემუხთავი ასკეტისშვის გამარჯვებით მთავრდებოდა, თეატრში მაინც წეიმური განწყობილება სუფევდა. სცენაზე პ. კობახიძე და ს. ზაქარიაძე, პარტერში პიერისტები და სერვისტები ერთმანეთს ეხვეოდნენ და გამარჯვებას ულოცავდნენ.

მოგონება მოქანდაკე ქალზე

იმ ხანში ბევრ მეგობარსა ჰქონდა მიწერ-მოწერა ჩემთან. და აი, ამას წინათ გადავხედ ჩემ წარსულს... ვითხოვლობდი ძვირფას აღმანანის კეთილ და გრძნობით სავსე წერილებს, და, ერთ წერილში ი. გრიშაშვილი მწერს: „მართალია, ხშირად არ ვნახულობთ, აქ, მაგრამ აქ ერთი წერილის ქალია, პირწავარდნილი შენა ხარ, ძაღვან გევხართ ერთმანეთს, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ეს ლექსებს სწერს და შენ კი გულში ატარებ პოეზიას — ჩუმად და ყუჩად“. (წერილი დაწერილია 1921 წ. 28 ოქტომბერს. დაცულია ლიტერატურის მუზეუმში).

მე ნინოს არ ვივსობდი თუმცა მის წრიდან — მხატვრებიდან ბევრი მეგობარი მყავდა. მინტერესებდა მისი ნახვა და რატომღაც, ვერ ვხვდებოდი ერთმანეთს.

იმ წლებიდან ბევრი ძვირფასი მოგონება მახსენდება. ახალგაზრდა მხატვრები (ამჟამად ბევრი მათგანი დიდად ცნობილი და ღვაწლმოსილია), ოკრიფებოდნენ საქართველოს ცნობილ მსცოვან მხატვარ გიგო გაბაშვილთან სტუდიაში.

უკვე ხანდაზმული ჩვენთან ივიწყებდა მოხუცებულობას და მთლად ახალგაზრდა ხდებოდა. ამ კეთილშობილი არისტოკრატი აღმანანის სამყაროში მრავალი ღამეში, დაუფიწყარი გაცნდები მაგონდება. ელენე ახვლედიანის ქორწილში, მრავალ სტუმართა შორის, მე და ნინო წერეთელიც სასურველი სტუმარნი ვიყავით. აი, აქ მოხდა მე და ნინოს შეხვედრა-გაცნობა. მართლაც, საოცარი მსგავსება გვეჩონდა, თუმცა, თან სხვადასხვანაირნი ვიყავით.



თურმე ხდება ასეთი რამ!

მსახიობი მაყუღებელს გარჩანიშვილს იხსენებს თუ როგორ აუხსნა კოტე მარჩანიშვილმა ფსიქოლოგიური პაუზის მომარჩება ერთ-ერთ რეპეტიციურ კლავდულის ლოცვის სცენაში: „კოტე მარჩანიშვილთან მუშაობა ყველას ვგარწმუნებდა, — აღნიშნავს იგი, — თუ რეპეტიციებზე რაოდენ დიდ მნიშვნელობა აქვს მსახიობისათვის თვალსაჩინო რეჯისორულ სწავლებას“.

მოგონებებში საქმაო ადგილი აქვს დათმობილი კოტე მარჩანიშვილის მოღვაწეობას ქართული თეატრში, კერძოდ, თუ როგორ ასწავლიდა იგი ახალგაზრდობას კლასიკური მეგვიღებობის კრიტიკულად და პრაქტიკულად გადმოტანას სცენაზე, როგორ ითვისებდნენ მისგან ყველაზე მთავარ პაროლმებს აქტიორისა შემოქმედებაში — აქტიორის ორგვარი ცხოვრებას, ერთსა და იმავე დროს. — „ასე მკავლითად, მე განვიციდი სცენაზე მწუხარებას და ამავე დროს განვიციდი უღიბესი შემოქმედებითი სიხარულს“. — წერს მსახიობი.

„თანამედროვეობის გარეშე თეატრი არ არსებობს“ — კ. მარჩანიშვილის ეს ფორმული მჭიდროდ შეუწინეს კარბარაცია „დღერუქის“ წევრებმა თავიანთ სულიერკეთებას. მუხუხედავად აზრთა კილიობას და წინააღმდეგობების, კორპორაციას მტკიცედ უნდა განხორციელებინათ თავისი იდეური მრწამსი — დემოკრატობა თეატრში თანამედროვეობის ამსახველი რეპრეტუარია. — „ვეძებთო ყველაზე მწვავე ფორმებს არა მოღისთვის, არამედ თანადროულიობის უკეთ ასახვისათვის. ჩვენი ფურცების და მიგნებების შემოქმედებითი კი ისეთი მაღალი გემოვნების კაცი იყო, როგორც გახლდათ კოტე მარჩანიშვილი“. — ვეთხოვლობთ წიგნში. „მაგრამ თეატრს უშიძიდა შემოქმედებითი დაბრკოლებების გადაღება, — განაგრძობს იგი, — ნამდვილი თეატრალური სკოლის უქონლობა მხრებში ლოდიით დავგვევა ყველას, რეჯისორსაც და მსახიობსაც. ყველაზე მეტად იმ დროს ქართულ მსახიობებს ვაკვდად თეორიული ცოდნა, ზოგადი თეორიული მეთოდოლოგიის გამოშუშავება, უამისოდ ყოველგვარ შემოქმედებით წინსვლაზე ფქირი ფუქი ოცნება იქნებოდა“. ამ მხრივ აკაკი ვასაძე დიდი დარბეებით მოიხსენიებს კ. სტანისლავსკის ცნობილ წიგნს „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“. მას მაღალ შეფასებას აძლეს იმ მხრივაც, რომ ამ წიგნმა კიდევ უფორ წარმოაჩინა „მარჩანიშვილის მხატვრული ღირსება და მისი შემოქმედების ღირებულება დასცენო ხელოვნებაში“. სხვა მრავალ საინტერესო მომენტთან ერთად კვლავ საგანგებოდ შენიშნავს მსახიობი შემდეგვითი დიდი მასწავლებლის მიზართ — „სამხატვრო თეატრის ვასტროლოგმა მამინ კიდევ ერთხელ დავაგრწმუნა ქართული თეატრის რეჯისორმეტრის კოტე მარჩანიშვილის გზის სისწრაფით“.



წიგნში ერთნაირი მიზნადგეგმობითა და ინტერესით გამოიყენება ხელოვანის როგორც მოგონებები, ისე მისი ფიქრები, ღრმა სულიერი განცდები, განწყობილებანი, მოსაზრებანი... მრავალი მთავანი, შეიძლება თქვას, ფრიალ საკულისხმოა და სახელმძღვანელო მეტადიერ ახალგაზრდობისათვის არა მხოლოდ ქართული თეატრის ისტორიის, ესთეტიკური ხილვებისა თუ ეთიკური თვალსაზრისის, სანამოქმედო მავალითა იმისა, თუ რას უნდა ეწიარებოდეს, რა უნდა მიიღოს ან უეუაგდოს, როგორ უნდა სწავლობდეს, იზრდებოდეს, ეჩვეოდეს მსახიობი დამოუკიდებელ აზროვნებას თეატრში, ყოველდღიურ თეატრალურ ცხოვრებაში აღმოჩენდეს თავისთავში თავისებურ მისთვის დამახასიათებელ ნიშანდობლივ თვისებებს, შესწევდეს კრიტიკული განსჯის უნარი...

მეტად საინტერესოდ არის დაწერილი წიგნის ის თავები, რომლებშიც გადმოცემულია თბილისში სამხატვრო თეატრის, თაბროვის კამერული თეატრისა და ნემროვარი-დანტესკოს მუსიკალური თეატრის გასართობებითა და შეიერიპოვლებს სპექტაკლებით — „ტაქე“, „რევოლუციონი“ მიღებული შთაბეჭდილებები.

წიგნი „მოგონებები, ფიქრები“ საუკეთესო მავალითა იმისა, თუ როგორ უნდა მუშაობდეს მსახიობი როლზე — თავისთავზე, რა მიგნებებს უნდა აღმოაჩენდეს თავისთავში, და, რაც მთავარია, შეიძლოს თვითკონტროლის გაწევა, ბრძალ არ მიჰყვას მაყურებელს — მაყურებელთა დარბაზი ჭირლია. — კოტე მარჩანიშვილის ამ შეგონებას მსახიობი დღესაც საგულისხმოდ მოიხსენიებს ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდში თავისი სცენური ცხოვრებიდან და შეინიშნავს, რომ „მაყურებელი იმის კი არ მოელოდა თუ რას გააკეთებ მისთვის, არამედ იმას მოელოდა, თუ რას გააკეთებ შენი სახის უკეთ განსაზრცილებლად, პერსონაჟის უკეთ გამოსახებისათვის რა მოიმოქმედებ შენ საკუთარ თავში... რამდენად მხატვრულად სწორია, რამდენად სრულყოფილია, რამდენად მართალია შენი მიერ განხორციელებული სახე, და კიდევ... ისეთი შეგონებებიც არიან რომლებიც თეატრში მოდუნ, როგორც სასწავლებელში და სურთ გაიგონ, ჩასწვდინენ, გაერკვიონ ხელოვნების ამ რთულ დარგში... მირადად მე მხოლოდ ამგვარ მაყურებელს ვემსახურებოდი, ყოველთვის ცდილობდნი მაყურებლის ნება-სურვილზე კი არ მივლიო, არამედ მაყურებელი მეტარებინა ჩემს ნებასურვილზე, მდებალი გემოვნების მაყურებლისათვის კი არ მეთამაშა და როგორმე მისი რაში დამემსახურებინა, არამედ სრულად გამომეწურა ჩემი თავი და ამით დამემაყურებელინა მდებალი გემოვნების მაყურებელი, ხოლო უცოდინარი და მოუხვედრელი ამემოთლებინა და ისიც გამეტაცა“.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო მოგონებათა ფორცლები, რომლებიც იშვიათი სიცხოველით წარმოგვიდგინს რუსთაველის თეატრის მეტად მღელვარე, წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიის, დიდი ხელოვანის მიერ განვლილ თეატრალური ცხოვრების რთულ გზას. ამ მოგონებებიდან განსაკუთრებით დასამახსოვრებელია და ღაღუწიყარი რეპეტიციები სპექტაკლებისა — „რდევას“, „ანზორი“, „ყაჩაღები“, „ლამარა“... ფრანცის, ახმას, მურთაზის, ბაქან შვაცის სცენური სახეების შექმნამ თეატრალური ხელოვნების მრავალი საიდუმლო შეაცნობინა, ბევრი გამოცდილება შესძინა მსა-


ხიობს, სანდრო ახმეტელთან შემოქმედებითი მუშაობისას განცდილი ბედნიერი წუგუნეები, სპექციენებს მას „ახმეტელს ხანდახან ისეთი რეუსორული ხილვები ჰქონდა, რომ მას სასტიკ უარისმყოფელსაც განცდიდებინებდა“.

როდენ მრავალმეტყველია მსახიობის სულიერი განწყობილება, როდესაც წერს იგი ფრანცის შესახებ: „სპექტაკლის მანძილზე ყველა ფიზიკურ ამოცანას ისეთი რწმენითა და აღმაფრენით ვასრულებდი, რომ სავსებით არ ვგრძობობდი დიდლოს და რომ ეთხოვით, მაშინვე შეუსვენებლივ შევძლებდი როლის თავიდან თამაშს. რა თქმა უნდა, ამას ვალწვედი ყოველდღიური გატარებითა და მკაცრი რეჟიმის მეშვეობით...“

აკვე განსაკუთრებით ყურადსაღები, ყოველი დროის სცენის მოღვაწეებისათვის სახელმძღვანელო ავტორის სრული ქემარტებით ნათქვამი:

„ყველა თანამედროვე მსახიობმა უნდა გაიცნოს, შეისწავლოს, გააზროს, თუ რა სასცენო საშუალებები და ხერხები გამოიმუშავებს მისმა წინამორბედმა ტრანებმა. რა დატოვებს მათ დღეისათვის სასარგებლო და გამოსაღვი. ტრადიცია არ კვდება, მით უმეტეს, ტრადიციის მატარებელი ცოცხალი მსახიობი და წარმოადგენს გუშინდელ დღეს და იგი ახალგაზრდა მსახიობმა, რა ნიჭის პატრონიც არ უნდა იყოს, გაცეთილივით შეითვისოს“. უაღვილო არ იქნება, თუ დავუშავებდნი ერთ-ერთ ინტერესოზი გამოთქმულ ვასაძის სურვილს ახალგაზრდობის მიმართ: „ჩვენს სამყედა ახალგაზრდობას ვუსურვებ ისწავლონ უწინარესად — ისწავლონ დამოუკიდებლი აზროვნება ხელოვნებაში“ („ახალგაზრდა კომუნისტები“, 1977, №1 მარტი).

წიგნში „მოგონებები, ფიქრები“ მრავალ საინტერესო მოვლენასთან, შემოქმედებით სინარულითან ერთად, იმეამინდელი ქართული თეატრის ბევრ ტაგილზედაც გულწრფელად არის ნათქვამი, რაც ავტორთან ერთად სულის სიღრმეზე სწავნი მეთიხველსაც. მაგარა მიუხედავად ყოველგვარი კურორებისა, — წერს აკაცი ვასაძე, — მარჩანიშვილი და ახმეტელის პერიოდი ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში ორ უბრწინავალს და დღემდე მიუწვდომელ მწვერვალად დარჩა. მინდა ის, რაც ხდება ხელოვანისა და ყოველი მოღვაწის ცხოვრებაში: კაცი მიწას ბარდება, ხოლო სული და მისი ნამოღვაწარი მომავალ თაობებს გადაეცემა როგორც ტრადიცია და როგორც ლეგენდა“.



დიდი ხელოვანის სწორკაპის გასტინა

მარტივალმა მკითხველმა მიიღო ღრმად გააზრებული მეცნიერული ნაშრომი ალექსანდრე ანანეს ძე სუმბათაშვილ-იუფინსკის პროფ. დ. ჩხიკვიშვილის წიგნი მასშტაბურად და მოფიქრებული. ავტორი ძალდაუტანებლად თხრობით ნათელსა ჰქვენს ჩვენი დიდი თანამშაშაშაშაშის საოცარ სულიერ მემოქცევას და „ნიჭთა ზნებულს“. მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის, ამ ისტორიული ქართველობით სავსე ეპოქის ღვიძილი შვილი, ალ. სუმბათაშვილი-იუფინი, ჭრ კიდევ ნაკლებად აიხსნა შესწავლილი და გაშუქებული. პროფესორ დავით ჩხიკვიშვილის დიდი შრომა სწორედ ამ გარემოებითაა ნაყარნახევი: მეცნიერი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება დიდი ადამიანის ნაკვალევს და ლოგიკური თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს იმას, რაც განასაზღვრავს იუფინის სასიცოცხლო თვისებებს — მის სახეს, როგორც მსახიობისა, მწერლისა, მოაზროვნისა, თეატრის თეორეტიკოსისა და საზოგადოებრივი ადამიანისა. ამის გამოა, რომ მისი მოღვაწეობა მიედინება როგორც წყალუბვი მდინარე, მიედინება პირდაპირ გზით, ყოველგვარი ზიგ-ზაგის გარეშე და განსაცვივრებლად მდიდარია საბოლოო შედეგებით... ამიტომაც ასე საპატიო და ძვირფასი ყველგვარისა, რაც მან გააქეთა რეალისტური თეატრისათვის. 500 გვერდთან წიგნი პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი, ფაქტობრივად მასალის სიუბიტი და სწორი მიხედვით რეალური ანალიზის წყალობით გამოვლენს რუსულ თეატრის მკვლევარების მეთეორეტიკულად აღიარებას, რომ „შეუფლებელია მოსკოვის მეცნიერ თეატრის წარმოადგენა ა. ი. იუფინ-სუმბათაშვილის გარეშე, ხოლო იუფინ-სუმბათაშვილისა მცირე თეატრის გარეშე“... იუფინის ისტორია მცირე თეატრის ისტორიაა... რომ იუფინი რუსულ რეალისტურ თეატრში არის ნათელი და სწორ-უპოვარი სახე, რომელსაც დიდი ნებისყოფის წყალობით სისრულეში მიჰყავს ყოველი მაღალი მიზანი და ნაყოფიერი ჩანაფიქრი.

სახელოვანი მამულიშვილის, დიდი მსახიობის, დრამატურგისა და თეატრის თეორეტიკოსის მონოლოგიური სახის ჩამოყალიბების მიზნით წყაროში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სუმბათაშვილის ბავშვობას, შრომობებს, თბილისის გიმნაზიაში სწავლების წლებს. განსაკუთრებით და ხაზგასმითაა დახასიათებული დედა — ვარვარა ნედვეცტკა, რომელმაც ჩაუნერგა თავის „დიდათა შვილს“ არა მხოლოდ თეატრისა და ხელოვნების სიყვარული, არამედ შეგნება იმისა, რომ ხელოვნებისა და სილამაზის ამ სფეროშია პირადი ცხოვრების უდიდესი სიამოვნება და შესაძლებლობა ემსახურო საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას... გადამდგარი პოლონელი ოფიცრის ქალიშვილი ვარვარა ნედვეცტკა, ალგარა და პუშკინის, ტურგენივის, დობროვსკის... ახალგაზრდა ლ. ნ. ტოლსტოის და სხვათა უშუალო გავლენით. ქალიშვილის ყველაზე მგრძობიარე წლები მან დედის (ე. ნ. კულგარევიცა — ცნობილი მწერალი ქალი და საზოგადო მოღვაწე) გვერდით საფურსნეთში, პარიზში გაატარა, სადაც რომანტიზმი საზოგადოების სულსა და აზრებზე ბრძანებლობდა და პიუგოს სკოლის პრინციპების მიხედვით ყალიბდებოდა ახალგაზრდობის გემოვნება და მიღებულება. მეამბოხე პოლონელი ოფიცრის უდიდესი გავრცელება ქალიშვილად გადაუსხდა საკრიტიკო რიგში — რუსეთში თან ჩამოიტანა შიღერისა და პიუგოსადმი დიდი სიყვარული, შეინარჩუნა იგი ბოლომდე და როცა მიეცა ამის საშუალება — გადასცა იგი საქართველოში თავის ვაჟი-შვილს; ამის აღიარება სუმბათაშვილი, როცა ჭრ კიდევ დედა ცოცხალი ჰყავდა და მამინაც, როცა ძვირფასი საფლავი დავიწყების ბინდა ადვარა.

სუმბათაშვილი-იუფინის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა იმან, რომ ბავშვობა ცენტრალურ რუსეთში გაატარა (ტულის გუბერნია). შემდეგ, პირველი რუსული შობაქმდებლები შეერწყა საქართველოში მიღებულ განცდებს (სუმბათაშვილის ოჯახი გადმოსახლდა იუფინში 1868 წელს). სუმბათაშვილი-იუფინი ორი სამშობლოს მქონე კაცია და ბოლომდე დარჩა ორივეს ერთგულ და მოსიყვარულ შვილად. ძნელია მხოლოდის გამოჩენილ ადამიანებს შორის მოძებნო ისეთი პიროვნება, როგორც სუმბათაშვილი-იუფინი, რომ შეეძლო ასეთი ტრატუნური ძალით შეერთებინა, შეეცრა ორი სამშობლოს დაუთმობელი სიყვარული. და სწორედ, პროფესორი დავით ჩხიკვიშვილი თავის წიგნის პირველ თავში დიდის ძალით ერთმანეთს აკავშირებს „შიღერისა და პიუგოს მსახიობის“ ფორმულას ორი სამშობლოს დაუთმობელ სიყვარულის ქვეცნობიერ საწყისებთან. ასეთი ბედნიერი სინთეზი თავის წრეში აქცევს ისეთ პოზიციებსაც, როგორცაა „მსახიობთა თეატრი“ — „რეჟისორის თეატრი“, რომელსაც ისევე თბილისის წლებში ცერება საფუძვლი. ამიტომ წიგნი — ბავშვობის, ყრბობის, გიმნაზიის წლები ასეთი ამოწევა კანონობიერია და შორს გამოხეული მეცნიერული სკალა. ცალკე აღებული ეს მონაკვეთი („დიდი ცხოვრების დასაწყისი“) ერთგვარად პირველი საწყისი საფუძვარია, დიდი და შრავილგებოვანი შემოქმედების წინაპირობა, — სახეს როგორც ფაქტობრივი მასალით, ისევე მომავლის განმსაზღვრელი გამორჩეული ნიშნებით. თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში საფუძვლი ჩაყარა მის ლტოლვას თეატრალური სამართაოდმი,

1 დავით ჩხიკვიშვილი, „ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუფინი, რედაქტორი დ. ა. ალექსიძე. თბილისი, გამომც. „გენერალეზა“, 1976 წ.



სადაც ნემსოვინ-დანჩენკოსთან ერთად ჰქმნიდა და თამაშობდა პირველ სცენურ სახეებს. აქვე დავას პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებს — წერს პირველ პიესას. გიმნაზიაში მიიღო მან პირველად ჩაცვის როლი, რომელიც დიდახანს დარჩა მისი დაუშვარებელი ფიჭვის საგანად. აქვე ჩაყვარა საფუძვალური ნემსოვინ-დანჩენკოსა და სანა სუმბათაშვილის მეგობრობას. ნემსოვინ-დანჩენკო იგონებს:

— ჩემსა და სუმბათაშვილზე ახალგაზრდობიდანვე დაპირებულიყავი; იხილე ესმავდა ერთ მანეთზე ბაწრით მაგრად ვადაბაო. ჩვენი მეგობრობა დაიწყო გიმნაზიის მეორე კლასიდან... ის აყო ჩემი ერთადერთი მეგობარი მთელი ცხოვრების მანძილზე, ჩვენი მეგობრობა არაოდეს არ წყდებოდა, მაგრამ ამავე დროს ძლიერ გვიცლებოდა ერთმანეთის მსატყუარე გემოვნებაში. ეს აყო რაღაც ორგანული იმიტომ, რომ ჩვენი მსატყუარე უთანხმოება დაიწყო სიმამრეულის ადრინდელი წლებიდან...

ნემსოვინ-დანჩენკოსა და სუმბათაშვილს შორის თბილისის გიმნაზიის კედლებში განასკოვრეს წინააღმდეგობანი მსახიობის ნიჭია, რომანტიკული თეატრისა და სპექტაკლის სიყვარულის შესახებ, სიცოცხლის დარბაზის წლებშიაც წინააღმდეგობებდა დარჩა თეატრალური სამუშაოს ამ ორი უკვდავი წარმომადგენლის პრინციპული უთანხმოება „მსახიობის თეატრისა“ და „რეჟისორის თეატრის“ შესახებ გადაუტრეული დარჩა პარკუფსორი დავით ჩხიკვიშვილი წერს: მცირე და სამხატვრო თეატრები რეალურად ასახადენენ სინამდვილეს, მეიერჰოლდი კი იგონებდა, თბავდა „სინამდვილეს“, მაგრამ სტანისლავსკის, ნემსოვინ-დანჩენკოსა და მეიერჰოლდის მანაც აერთობდა ერთი რამ: თეატრული რეჟისორის პრინციპი. ა. იუჟინი რომელიც „მსახიობის თეატრის“ „პოლიციას“ იღავა, ეწინააღმდეგებოდა მათ. თეატრალური ესთეტიკის სფეროში ეს პრინციპული უთანხმოება დაიწყო სიმამრეულის ადრინდელი წლებიდან“ (ნემსოვინ-დანჩენკო).

მეორე წიგნში, სადაც სხვა კარბობმეტურ ხაჯიხეთთან ერთად გაშუქებული იქნება „სუმბათაშვილის თეორიული მიკვიდრიკა. სუმბათაშვილის თეატრალური ესთეტიკა“ ალბათ უფრო გაღრმავდება ის ხაზებზე, რომლებიც პირველ წიგნში ჩანსახობრივ პროცესშია და ეცხება სცენური ხელოვნების ორი დიდი წარმომადგენლის (სუმბათაშვილი-იუჟინი, ნემსოვინ-დანჩენკო) დაპირისპირებულ შეხედულებათა ერთანობას, რაც მე-19-20 საუკუნეების თეატრალური მოვლენათა პიუთუნეული, სურათობრივი დახასიათებაც იქნება.


ა. სუმბათაშვილისა და მცირე თეატრის შეხედვად დავითზე რაკვივის წლებს, როცა „რეჟიკიამ ორივესი შიატნა ბელინსკის, გერციენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიტოვის იდეებზე. აიკრძალა ლ. ნ. ტალსტოის ზოგიერთი ნაწარმოები. „სიციკალ-პოლიტიკური, კულტურულ-ფილოსოფიური გარემო, რომელთანაც „შეჩქინის სახლს“ მოხუც დაჯახება ახალი, XX საუკუნის მიჯნაზე, წიგნში დახასიათებულია, ფენობრივად, საზოგადოებრივი პალასტების მიხედვით, რომელიც გაშუალდება იმდენი დავიანახთო იუჟინი ისტორიულ-კულტურულ ვითარებებთან აქტიურ კავშირში, საზოგადოებრივ კონტრეტულობაში. რაც „მცირე თეატრის სცენაზე ნელ-ნელა გრბოიდოვის, გოგოლის, შექსპირის, ბიუგოსა და შილერის დრამატურების

დაშეკიდრებაში, მოსკოვის უნივერსიტეტისა და მცირე თეატრის — „მეორე უნივერსიტეტის“ იდეურ-შემოქმედებითი კავშირი აღმოჩნდა.

იუჟინსა, რომელმაც თავისი სცენურა სახეები „გრანიტისაგან და არა ვაგვირვალე მარმარილოსაგან“, გამოჰკეთა მცირე თეატრში თანაბრა შექსპირისა და შილერის თითქმის მთელი რეპერტუარი, ბიუგოს ყველაზე ბრწყინვალე ლიტერატურულ სცენური ნიმუშები, რუსული ეროვნული რეპერტუარის საყვარელი გმირები. პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი, ცოდნისა და შერჩენების მთელი გულწრფელობით ასახაიბებს სუმბათაშვილი-იუჟინის შემოქმედებითი მსოფლმხედველობას, მსახიობურ ესთეტიკას. ის შინაგანი დამატყუარეობით თავს უცვამს იმას, რომ სუმბათაშვილი-იუჟინის ხაზის ცრტა ადამიანებზე უბრალო, წყნარი სიმართლე. მას არ სჭირდება „მშენებერი“ სიცრუე-კი, რადგან სიცრუით არ შეიძლება მნიშვნელოვანი მსატყუარე სინამდვილის დემონსტრირება და დამტყუარება. საქარია ძლიერამოსილი სიმართლე, მასთან განსაკუთრებული, შერჩეული, გამწვავებული და შეაწეული სიმართლე საქარია რომანტიკული სიმართლე ადამიანებზე“. ა. სუმბათაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თეომაკრონელობის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის ხანაში. ციარისმის ბატონობა, რომელიც ხალხს არგუნა ტარინა, კატორღული შრომა, სიღატაკე, უთანასწორობა და უსამართლობა, მასებში სხვადასხვა სახითა და სიმძლავრით წარმოქმნიდა პროტესტისა და რევოლუციური ბრძოლის განწყობილებას... მცირე თეატრის პერიოკულ-რომანტიკული ხელოვნება ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო ამ პრიკატესული, მოწინავე ხელოვნებისა და ლიტერატურისა“.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც იუჟინის თანამედროვე ისე საბჭოთა თეატრალურ კრიტიკაში, აშკარა ნაკადი მოედინება შეხედულება, თითქმის სუმბათაშვილის ყველაზე დამახასიათებელი თვისება იყო სანხერვატოზი, „აკადემიური საფუძვლების“ ერთგულება (სადაც „აკადემიური საფუძვლებიდან“ ცოლუ ვადენიზმი“ მოწინა), რითაც ის წინააღმდეგობას ვარდებდა თენასიასა და ერმოლოვის თეატრალურ მრწამსთან — რეალისტურ რომანტიზმთან. მაგრამ, აქ, ცოტად მთ ბევრად ეყვლა ოპონენტი სცოდნის დიდი მსახიობის შემოქმედებითი ესთეტიკის მეთოდის გაგებაში. სცენიური გარდასახვის ძველ ხერხებთან კონტრასტის გამო, სუმბათაშვილი-იუჟინის სკოლა (იუჟინი-კი უთოდა სკოლა) პირველ ხანებში ერთგვარი გულცილობის, სიყვარულის, პათეტურობის შთაბეჭდილების ტრეკებდა მაყურებელში, მაგრამ ის (სკოლა) ამ დროს, ერთი წუთითაც არ გამოიტყავდა „შეჩქინის სახლის“ სოციალური და ისტორიკურ ტრადიციას. პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი იუჟინის ირავლე შექმნილ კრიტიკულ ლიტერატურაში კარგად პოულობს ამ დამამტყუარებელ ნაკადს და მეცნიერული მარქსიზმის პოზიციებიდან „მოუხსნელ წინააღმდეგობაში“ აღმოჩენს ერთანობის ძლიერ ელემენტს; „იუჟინისა და ლენსკის თეატრალური შემოქმედების თავისებურებანი კი არ გამოირიცხავდნენ, არამედ აისებდნენ. ანილდრებდნენ ერთმანეთს და ამით ქმნიდნენ მცირე თეატრის სასცენო ხელოვნების უდიდეს, განუშორებელ რეალისტურ სკოლას, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში“.

რბილი დიპლომატიის კრიტიკისები იუჟინს შექსპირით „შინებდნენ“; „ლენსკისთვის შექს-



პირი უფრო მისაღები იყო, ვიდრე ჰიუგო ან შილერი, რომლებიც შეესატყვისებოდნენ იუჟინის ეფექტურ ტალანტს... დავით ჩხიკვიძის აქ, ფაქტების, მახალხლის, დისუსური და მემორარული ლიტერატურის შეპირისპირებით სუფთა ანალიტიკურ შედეგს დებულობას: „იუჟინის“ მატებით და რჩიარდი, ოტელი და შილოკი, იაკო და მამული მთელი ეპოქაა თეატრალური სტილოვნების ისტორიაში. ვინც ჰყვარებოდა აქ მოყვანილი სტრატეგიების ავტორია შრომას მისთვის ცხადი ხდება თუ რაოდენ განუზომად დიდია სუშბათაჟილი-იუჟინის რომელი შექსპირული რეპერტუარის შექმნის საქმეში. დღემდე მიღწევად რჩება შექსპირის ფილოზოფიის სცენური წაკითხვის იუჟინისეული აღნიშვნა, რომელსაც შეუძლებელია არ დავთანხმდეთ იმის გამო, რომ აქ, მასთან, ყველაფერი დაყრდნობილია თეატრის უწმინდეს გაკვებაზე და ინგლისური პოეტური ენის სიღრმეების რუსულ საკაცობრიო ინტერესებთან ისეთ შედუღებაზე, როცა... შედეგების ადგილი საერთოდ არ ჩანს! გვეჩვენება თითქმის ქარიველი იუჟინი ცხოვრობდა შექსპირის საუკუნეში. იცოდა იმდროინდელი ინგლისური ენა, როგორ გადადიოდა იგი რუსულ სცენურ სამტყუველო ლექსში და ისრუტავდა... ადამიანს მთლიანად!


წიგნში — შეცნეურულ სისტემაშია მოყვანილი სუშბათაჟილის მხატვრული პიროვნების შემოქმედებითი დიალექტიკა რუსულ კლასიკურ რეპერტუარში. იუჟინის არტისტულ მოცემულობაში არაჩვეულებრივი ნიჭიერებით იყო გახსნილი კომედიური უანისი დიდი ფერები, რომელიც ასე შთაბეჭდივად, კლორიტულად გამოჩნდნენ „ქვირადღირებულ როლებში“: რეპეტილივი, რომელშიც ისევე მოზომილად დიდი იყო ბუნებრივობა, როგორც მისი წაკითხვის თეატრალური სიცხადე; ტელიატივი — რუსული კლასიკური რეპერტუარის ერთგული სიმწიფი! იუჟინის ფაშუსივი ადფეროვანება და ავირვება თეატრალურ კრიტიკას: ეს სავსებით უნაყოლო საზე სცენის ოსტატის მიერ აღქმულია მთლიან მონაზაზში, თავის „შობილიურ“ კოლორიტში. ზუსტ ცხოვრებისეულ დეტალებსა და რიბიოდოვის ლექსის გადმოცემის შემოქმედებით თავმოყრასა და მთლიანობაში...

ალ. სუშბათაჟილის შემოქმედების, როგორც მოვლენის წარმოდგენა შეუძლებელია მისი შემოქმედებითი ყოფიერების ყოველმხრივი დახასიათების გარეშე: იუჟინის დრამატურგია, მხატვრული კრიტიკა, ურთიერთობა თავისი საუკუნის სტილოვნებისა და ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლებთან... მისი ისტორიული და თეორიული ხასიათის ნაშრომები — ეს ის ფორტები, რომლებსაც ეყრდნობა მისი მხატვრული სისტემა, სოციალ-პოლიტიკური ტენდენცია, ლიბერალური ჰუმანიზმის ესთეტიკა, ეს ფორტები (16 ორიგინალური პიესა; მხატვრული კრიტიკული პარსებეტები შჩეპკინზე, მოჩალოვსა და ლენსკიზე... შენიშვნები თანამედროვე თეატრის საერთო საკითხებზე; გალობა-გოდება ტოლსტოიზე, ჩეხოვსა და აკაიეზე; ისტორიული ნარკვევები საქართველოს სუსხიან წარსულზე...) იცავენ ალექსანდრე სუშბათაჟილის მხახიობურ პიროვნებას დავიწყებისა და გაფერმკრთალების უხილავი მტერისაგან, გაჭიქებული შეტევებისა და უკანდახევის სიმწარეებისაგან.

დ. ჩხიკვიძილი თავის წიგნის მესამე და მეოთხე თავებში („ა. სუშბათაჟილის დრამატურგია“: „რელიზმის სადარჯოვე. მცოქრ თებურის სათავეში“) დავიწყებით აღწერს ამ ფორტების კარიბეკებთან გამართულ ბრძოლებს. — სტატია-მოჩალოვზე, რომელიც დაიწერა XIX საუკუნის ბოლოს, ბელონსკის გარდაცვალების 50 წლისთავზე, იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს იმის გამო, რომ რეპეტილივიცაა უფრო თეატრის ისტორიის სამჭკვრო წინაშე რუსეთის დიდ ტრაგიკოსს (მოჩალოვს), იუჟინი იცავს რომანტიკული მხახიობის საკუთარ შემოქმედებით მოზიციას: ასე განსაჯეთ, თითქმის თვალწინ ედგა მისი დიდი ტალანტის მთავრემული შემფასებელი აწმყოსა და მომავალში.

დ. ჩხიკვიძილი წიგნის 435-ე გვერდზე წერს: „თუ ამფითეატრავი ა. ი. იუჟინს — მხახიობს, მკირე თეატრის დასის წინობრივ ცენტრად, ინტელიქტად, მყოვრებელია მიმზივდელ მანინტად თვლიდა, სსრ კავშირის სახალხო პარტიტის — ბაზჩქინის აზრით, ა. ი. იუჟინი — როგორც თეატრის სტელმძვანელი, — წარმოდგენდა „მკირე თეატრის დედაბაძს“; რომელიც „დიდი ხნის მანძილზე თეატრის აბსოლუტური მპრანებული და დიქტატორი იყო“.

დ. ჩხიკვიძილის წიგნის გულდასმით წაკითხვისას წარმოვიდგება დიდებული თეატრალური წარსულის თანამედროვე ფერებით გაცოცლებული სურათები. მკითხველისათვის სასარგებლო იქნება ყველაფერი ეს აღდგინოს, განიცადოს, დაინახოს... დაინახოს თუ როგორ დიდ ტალდასაფით ასკლებოდა მისი სახელოვანი თანამემამულე გულცივისი, მუშანობისა და დაცემულობის ყრუ ნაპირებს... როგორ ელტვოდა იგი მხურვალი და სხივოსან მზეს!



**საპარტვილოს სსრ სახელმწიფო
თეატრებში დადგმული ახალი
სპექტაკლები 1977 წლის
1 იანვრიდან 1 ივლისამდე**

4 იანვარი. — შერიდანის „მოახლე ქალი“. დადგა ვ. კაიროვმა, მხატვარია რ. ჩოჩიევი, ცუკები დადგა მ. შავლობოვმა. კ. ხეთაგუროვის სახ. ცინივალის თეატრის ოსური დასი.

6 იანვარი. — შ. სუღდის „ლეოლიანა“. დადგა ნ. ღემეტრაშვილმა, მხატვარია ა. გოგოლაძე; მუსიკა შეარჩია რ. ტერ-გრიგორიანმა. მესხეთის თეატრი.

8 იანვარი. — ვ. იაკაშვილის „პორზონტის იქით“. დადგმულები — ვ. მელაფრიძე, გ. ქავთარაძე, მხატვარი — ლ. დათუკაშვილი. ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრი.

14 იანვარი. — გ. ბათიაშვილის „ლალი. სიყვარული და სხვები“. დადგა გ. აბრამაშვილმა, მხატვარია ზ. ცხადაია, მუსიკ. გააფორმა ა. წერეთელმა. შ. დადიანის სახ. ზუგდიდის თეატრი.

15 იანვარი. — გ. ხუბაშვილის „დაუპარიზო გიტარები სიყვარულზე“. დადგა დ. ცისკარიშვილმა, მხატვარია ე. კობლბერი. ს. ქანაშის სახ. სოხუმის თეატრის ქართული დასი.

19 იანვარი. — კ. გოდუნის „სასტუმროს დიასახლისი“. დადგა შ. დავითაშვილმა, მხატვარია თ. გომელაური, მუსიკა შეარჩია პ. დავითაშვილმა. მესხეთის თეატრი.

23 იანვარი. — ლ. ფინის „მამა, ვიტია და ველური გიტარები“. დადგა ე. ბახილაშვილმა, მხატვარია ა. კაკაბაძე, კომპ. — გ. გლაჯოვი, ა. ზუბკოვი, ქორეოგრაფი — იუ. ზარეცი. ლენინური კომპაგნიის სახ. მოზარდ მსუბრუნებელთა რუსული თეატრი.

29 იანვარი. — „ბურატინო“, ოპერა-ბალეტი ორ მოქმედებად ალ. ტოლსტოის „ოქროს გასაღების“ მიხედვით. ლობრეტოს ავტორია გ. მელოვა, დადგა გ. მელოვა, მხატვარია თ. შურგანიძე, დირიჟორი — პ. დავითაშვილი, ქორმისტერი — ი. დადიანი, გ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

29 იანვარი. — ე. ბრაგინსკის და ე. რიაზანოვის „სიყვარული და სტატისტიკა“. გადმოაქრთულა კ. ბუაჩიძემ, დადგა ვლ. მარსაკიშვილმა, მხატვარია ირ. შქედლიშვილი, მუსიკ. გააფორმა ი. ბოზოხიძემ, გ. ერისთავის სახ. გორის თეატრი.

8 თებერვალი. — გ. ფიგერედოს „მელა და ყურძენი“ (ეროპე). დადგა ვ. ჩიგოგიძემ, მხატვარია მ. თუთაშვილი, მუსიკ. გააფორმეს ნ. მამალაძემ, იუ. ჭიჭიშვილმა. ა. წუწუნავას სახ. მახარაძის თეატრი.

5 თებერვალი. — ე. რაბინსკის „ერთი სიყვარული ამავად“ („სიყვარულის 104 გვერდი“). თარგმნა ლ. ახერდანიანმა, დადგა რ. ჩალ-

ტიკიანმა, მხატვარია შ. ტერ-მინასიანმა. შ. შაქ-მიანის სახ. თბილისის სომხური თეატრი.

11 თებერვალი. — შ. ნიჭაძის „ქარაიჭი“ ბიანი ბურთი“. დადგა მ. ფურცხვაიძემ, მხატვარია გ. ბერეჟიძემ, კომპოზიტორი — გ. ჩირაძე, ქორეოგრაფი ან. სირხილაძე. ქუთაისის თეატრის თეატრი.

15 თებერვალი. — ბ. შინკუბას „როგორ გუნებოთ“. დადგა დ. კორტავამ, მხატვარია ე. კობლბერი, კომპოზიტორი — ი. გუშმანი, ქორეოგრაფი — ე. ბეზია, ს. ქანაშის სახ. სოხუმის თეატრის აფხაზური დასი.

16 თებერვალი. — ლ. მილორაგას „ორი გზა“. დადგა ზ. ჭანელიძემ, მხატვარია ზ. ცხადაია, ვ. გუნიას სახ. ფოთის თეატრი.

24 თებერვალი. — ლ. თაბუკაშვილის „დედაჩემის საყვარელი ვაჟი“. დადგა ნ. გინჭარაძემ (ხაღბლოზო სპექტაკლი). მხატვარია მ. თუთაშვილი, მუსიკ. გააფორმა კ. გურგენიძემ. ა. წუწუნავას სახ. მახარაძის თეატრი.

26 თებერვალი. — „ქალაქში დადის მომავალი“, ლ. ჭუბაბიას სატრეპილი ჩანახატები ორ მოქმედებად. სპექტაკლში სრულდებოდა ო. თაქთაქიშვილის სუიტა „მირთული სიმღერები“, დირიჟორია ა. მამაცაშვილი, დადგა გ. მელოვამ, მხატვარია თ. შურგანიძე, ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

6 მარტი. — გ. გორინის „გაფრენა შემწვარი იხისა“, კომპიური ფანტაზია. დადგა ა. ტოვსტროვოვმა, რეჟისორია იუ. შერეჟი, მხატვარია ა. კაკაბაძე, მუსიკა დაწერა ა. რაჭვიანიშვილმა. თბილისის ა. გრიბოედოვის სახ. თეატრი.

8 მარტი. — ე. შვარცის „წითელქუდა“. თარგმნა ა. ვართიანიანმა, დადგა გ. პეტროსიანიანმა, მხატვარია შ. ტერ-მინასიანმა. ს. შაქმიანის სახ. თბილისის სომხური თეატრი.

12 მარტი. — კ. ბუაჩიძის „ეროზო ავი ძაღვი“. დადგა გ. თოდუამ, დადგამის მხატვარული ხელმძღვანელია გ. ლორთქიფანიძე, მხატვარია იუ. იმერლიშვილი, კომპოზიტორი — ვ. კუხიანიძე, ქორეოგრაფი — იუ. ზარეცი. კ. მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი.

13 მარტი. — ჯონ პატრიკის „უცნაური ქალი“. თარგმნა პ. წერეთელმა, დადგა გ. აბსაძემ, მხატვარია ი. წურჭავაძე, მუსიკ. გააფორმა თ. შამილიძემ. ი. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის თეატრი.


14 მარტი. — ნ. დუმბაისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია და ილიარიონი“. დადგა რ. სტურუამ, მხატვარია გ. მესხიშვილი. შ. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი.

17 მარტი. — გ. შიქინაძის „იხივრა და მისი მგობრები“. დადგა კ. სარბიშვილმა, მხატვარია გ. ფეტვიანიშვილი, კომპოზიტორია — ვ. სუციშვილი. თბილისის თეატრების თეატრი.

18 მარტი. — ე. ფრანდოტის „მეცხრე წმინდანი“. თარგმნა შ. გოგოლაშვილმა, დადგა ა. ალექსიშვილმა, მხატვარია რ. ბერეჟი. ა. წერეთლის სახ. ქაავიშვილის თეატრი.

18 მარტი. — ლ. თაბუკაშვილის „დედაჩემის საყვარელი ვაჟი“. დადგა ვ. ჩიგოგიძემ, მხატვარია გ. გაბისონია, მუსიკ. გააფორმა იუ. ჩიჩიშვილმა. შ. დადიანის სახ. ზუგდიდის თეატრი.

20 მარტი. — ნ. ბაერის „ინციდენტი“. თარგმნა გ. სანდრაძემ, დადგა ბ. ტორონჯაძემ, მხატვარია ქ. კუიშვილი, ქორეოგრაფი — შ. შინდარდისაშვილი, მუსიკ. გააფორმა ნ. ასათიანმა. ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრი.



22 მარტი. — კონან დოლის „ბასკრვილი-ბის ძალი“. თარგმნა ვ. მალრანმა, ინსცენირების ავტორია დ. ცხაჯია, დადგა ალ. ნინუაძემ, მხატვრულად გააფორმეს ი. ინაგულიძემ, მ. ბაქრაძემ, მუსიკ. გააფორმა დ. გურგენიძემ. მიოზარდ მავურებელთა ქართული თეატრი.

23 მარტი. — ქ. ბუაჩიძის „ეროში ავი ძალი“. დადგა შ. ინასარიძემ, მხატვარია ა. ნიუარაძე, მუსიკ. გააფორმა გ. ნოდადიძემ. ი. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის თეატრი.

24 მარტი. — „ჩინცესა და მელორე“, ანდერსენის წიგნის მიხედვით. თარგმნეს ქ. კირილოვმა და ლ. უსტინოვმა, დადგა ვ. ვოლგუსტამ, მხატვარია დ. ნოდია, კომპოზიტორი — მ. ოძელაშვილი, ლექსების ავტორი — მ. ნერიახვი. ლენინური კომპაქტების სახ. მოზარდ მავურებელთა რუსული თეატრი.

24 მარტი. — გ. ხუგაჯის „ქველი მეგობრები“, გადმოაქართულეს ზ. ვასიუშა, გ. ლუხუტელმა. დადგა გ. ლაღიძემ, მხატვარია ვ. ცერაძე, მუსიკა შეარჩია ვ. გაბაიაძემ. ა. ხეთაგურავის სახ. ცხინვალის თეატრის ქართული დასი.

25 მარტი. — ნ. სერანინის „თათლ ბაგრაველში“. დადგა ზ. უშიანმა, მხატვარია შ. ტერ-მინასიანი, მუსიკ. გააფორმა ა. ასატრიანმა. ბ. შაუმიანის სახ. თბილისის სომხური თეატრი.

26 მარტი. — „მირანდოლინა“, მუსიკა დაწერა გ. ცაბაძემ, პიესის ავტორები პ. აინა და ე. ზრუხინსკი, ქ. სურმაგა (ვ. გოლდონის მიხედვით). დადგა გ. მელომა, მხატვარია უ. იმერლიშვილი, დირიჟორი — ა. მამაცაშვილი. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

26 მარტი. — „ქართული ნოვლების საღამო“ — ნ. დუმბაძის „დედრო“, გ. დონანაშვილის „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა“, დადგა ზ. კანდელიანმა, მხატვარია მ. ავაქ-ცაძე, კომპ. — ნ. ოძელი, ახალგაზრდული დრამატული თეატრი პეტრიაშვილი (მეტეხი).

26 მარტი. — ზ. კუხიანიძის „ქადონსური ფუნტი“. დადგა ნ. ფურცხვანიძემ, მხატვარია ი. ქანდარია, კომპოზიტორია ნ. ედგარიძე, ქორეოგრაფი — ქ. გენგია. ქუთაისის თოჯინების თეატრი.

29 მარტი. — გ. პეტროსიანის „მძიმე არს ქული პიოკრაბები“. თარგმნა მ. მუცხამ, დადგა მ. მარხოლიამ, მხატვარია ე. კოტლიაროვი, მუსიკ. გააფორმა ვ. გოლაძემ, ცეკვები დადგა მ. ბაოოვმა. ს. ჭანბას სახ. სოხუმის თეატრის აფხაზური დასი.

30 მარტი. — ან. ბალანჩივაძის „მთების გული“. ახალი სცენურ-დრამატურგიული რედაქცია და დადგმა განახორციელა მ. მონაგარდისაშვილმა. დირიჟორია რ. ხურცილავა, მხატვარი — უ. იმერლიშვილი. იპერისა და ბალიეტის თეატრის ქუთაისის ფილიალი.

30 მარტი. — რ. მამულაშვილის „მერხებზე ანგლიკონის სხედან“. დადგა ზ. კალანდარიშვილმა, მხატვარია ან. მშვენირაძე, კონსულტანტი — ვ. ნაცვილიშვილი, მუსიკალურად გააფორმა ქ. სვანიძემ, ქორეოგრაფია ლ. ლომინიშვილი. გ. ვუნიას სახ. ფოთის თეატრი.

7 სერაქი. — ავ. გუქაძის „გზა, ყარამანს ქალი მოკვავს“. დადგა ნ. დემეტრაშვილმა, მხატვარია ავთ. გოგლაძე, კომპოზიტორი — გ. სიხარულაძე. მცხეთის თეატრი.

8 სერაქი. — ნ. გოგოლის „რევილორი“. თარგმნა ვ. გუნიამ, დადგა ან. ქუთათელაძემ, მხატვარია ა. ქედიძე, კოსტუმების მხატვარი —

ი. სხირტლაძე, ქორეოგრაფი — იუ. ზარცკი, მუსიკ. გააფორმა ლ. ქიშიშვილმა. რუსული თეატრი.

9 სერაქი. — ქ. ბუაჩიძის „ეროში ავი ძალი“. დადგა ვ. მალაფევიძემ, მხატვარია შ. ხუციშვილი, მუსიკ. გააფორმა ნ. ძნელაძემ. გ. ერისთავის სახ. გორის თეატრი.

23 სერაქი. — უ. შექსპირის „ანტონიოს და კლოპატრა“. დადგა და მხატვრულად გააფორმა თ. სუმბათაშვილმა, რუსულენოვანი აკადემიური თეატრი.

23 სერაქი. — ნ. ბაიერის „ინციდენტი“, თარგმნა გ. სანადირაძემ, დადგა მ. ფვანაძე, მხატვარია თ. ფვანა, მუსიკ. გააფორმა ვ. გოლაძემ. ს. ჭანბას სახ. სოხუმის თეატრის ქართული დასი.

28 სერაქი. — ალ. ჩინიძის „თავისუფალი თემა“. დადგა ი. მაცხოვრავილმა, მხატვარია მ. თეთათაშვილი, მუსიკ. შეარჩია ზ. კანდელიანმა. ა. წუწუნავას სახ. მახარაძის თეატრი.

1 მაისი. — „ჩარლის დედა“. მუსიკალური კომედია ა. რაქვიაშვილისა, ლიბრეტო ნ. არეშიძისა, ტომას პიესის მიხედვით. დადგა გ. მელომა, დირიჟორია ა. მამაცაშვილი, მხატვარი — უ. იმერლიშვილი. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი.

3 მაისი. — გ. კოლონცის „ღრმა ლირიკის გაშო“. დადგა ნ. ჭანდერიამ, მხატვარია ი. ნიხუ, მუსიკ. გააფორმა გ. მირველოვმა. ლენინური კომპაქტების სახ. მოზარდ მავურებელთა რუსული თეატრი.

8 მაისი. — ე. დე-ვილიპოს „ქორწინება იტალიურად“ (ფილანიაშვილი მარტურაწო). თარგმნა მ. შატრიანიამ, დადგეს დ. ალექსიძემ და რ. ჩალტკიანმა, მხატვარია შ. ტერ-მინასიანი, მუსიკ. გააფორმა გ. მირველოვმა. ნ. შაუმიანის სახ. სოხუმური თეატრი.

12 მაისი. — ნ. არეშიძისა და ნ. ხუნწარის „გაიხსენოთ ჩვენი მავთული“. დადგა და მხატვრულად გააფორმა გ. აბრამაშვილმა. შ. დიდიანის სახ. შუგდის თეატრი.

15 მაისი. — ა. კრეტინიშვილის „სამოთხის ვაშლები“. დადგა ა. ტოტსონოვოვმა. რეჟისორია ნ. ჭაში, მხატვარი — ლ. მანთიძე, მუსიკ. გააფორმა რ. გვეგენიანმა. ა. გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრი.

15 მაისი. — ალ. ტოტსონოვის „ბურტინის თავდასავალი“. თარგმნა ჯ. თითმერამ, ლექსები თარგმნა თ. ბეჟიშვილმა, დადგა ქ. ხარშილაძემ, მხატვარია ი. ნიხუ, კომპ. მ. დავითაშვილი, ქორეოგრაფი — იუ. ზარცკი, მიოზარდ მავურებელთა ქართული თეატრი.

18 მაისი. — ნ. ლომოურის „ქაჩანა“, ინსცენირებული გ. სანადირაძის მიერ. დადგა ნ. დემეტრაშვილმა, მხატვარია ა. გოგლაძე. მცხეთის თეატრი.

20 მაისი. — ა. სამსონის „წვიმიანი მზისე-თი“. დადგა ე. ჩაიძემ, მხატვარია ა. ნიუარაძე, მუსიკ. გააფორმა თ. შამოქაძემ, ქორეოგრაფია ს. ქიქვა. ი. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის თეატრი.

20 მაისი. — გ. მიღვის „ინკუგნოტი“. დადგა ვ. ჩიგოგიძემ, მხატვარია დ. მურუსიძე, მუსიკა შეარჩია გ. ჩიქვიშვილმა. გ. ერისთავის სახ. გორის თეატრი.

21 მაისი. — ალ. თაბორიძისა და ვ. მანში-შვილის „რომელი რომელია“. დადგა გ. ლაღიძემ, მხატვარია გ. ლუხუტელი. ა. ხეთაგურავის სახ. ცხინვალის თეატრის ქართული დასი.

24 მანისი. — ზ. კანდელაკის და თ. მესხის „უჩინ-მარინის ქული“. დადა ბ. ტორონჯაძემ. მხატვარია გ. ბერჩიკიძე, მუსიკ. გააფორმა ბ. ტორონჯაძემ. ქუთაისის თოქანების თეატრი.

27 მანისი. — ალ. ჩხაიძის „ღაბრუნება“ დადა პ. ყოფშიძემ, მხატვარია მ. ცხადაია, მუსიკა შვარჩია ი. არაუშვილმა. ვ. გუნთას სახ. ფოთის თეატრი.

28 მანისი. — გ. ხუჯავეის „ანდრო და სანდრო“. თარგმნა მ. ჭაფაროვმა, დადა პ. უშიკიანმა, მხატვარია ირ. სურთველი, მუსიკ. გააფორმა ა. ასატრიანმა. ს. შაუშიანის სახ. თბილისის სომხური თეატრი.

10 იზნისი. — არლი ლივივის „მონოლოგი“. თარგმნა ა. კალაძემ, დადა ნ. ხატაკაძემ, მხატვარია შ. შველიძე, კომპოზიტორი — ი. ბარდნაშვილი. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი.

11 იზნისი. — ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიო და ილარიონი“. დადა გ. ქავთარაძემ, მხატვარია ჭ. ფარუაშვილი, კომპ. გ. სისხარულიძე. ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრი.

12 იზნისი. — გ. ხუზაშვილის „დაუკარი გიტარები სიყვარულზე“. დადა ნ. დიხაძემ, მხატვარია უ. ხუშიარაშვილი, მუსიკ. მონტაჟია ნ. ძინელიძისა. თელავის თეატრი.

13 იზნისი. — დ. შოსტაკოვიჩის „მოსკოვიჩერიომუშეები“. ლიბრეტოს ავტორებია ვ. ბალი, მ. ჩერნიხი, დადა გ. მელივამ, დირიჟორია ა. შამაცაშვილი, ცეკვების დამდგმელი — იუ. ზარეცი. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედის თეატრი.

14 იზნისი. — გ. რაბინანის „პატარა ფერია“. გადმოაქართულა კ. შინდელმა, დადა ან. ჩხეკეძემ, მხატვარია გ. აბაქელია, კომპ. შ. დავითაშვილი. თოქანების ქართული თეატრი.

15 იზნისი. — შ. მილორავეს „მეზობელი კარისაო“, პიესის ავტორია გ. ხუჯავეი, ლიბრეტოს ავტორები — დ. კობახიძე, ალ. შალუტაშვილი. დადა დ. კობახიძემ, დირიჟორია გ. კახიანი, მხატვარი — უ. იმერლიშვილი, ქორეოგრაფი — გ. ოდიკაძე. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედის თეატრში.

16 იზნისი. — კ. ესაკიას „ფარფალიები“. დადა ო. ცერაძემ, მხატვარია ზ. ცხადაია, მუსიკ. გააფორმა კ. სვანიძემ, ვ. გუნთას სახ. ფოთის თეატრი.

17 იზნისი. — გ. გორანის „ბარონ მიუნაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება“ (ყველაზე მართალი აღმთანი). ორმოქმედებიანი ფანტასტიკური კომედია. თარგმნა ლ. დლონტმა, დადა ნ. გაჩავამ, მხატვარია ნ. მურვანიძე, კომპ. ს. ბარდნაშვილი, ქორეოგრაფი — იუ. ზარეცი, მარჩაიშვილის სახ. აკადემიურ თეატრში.

17 იზნისი. — რ. ერისთავის „იჭვიანი“ და „კაცის ტვირთი“ და ლ. ბეროშვილის „წამთარი“. დადა კ. გურგენიძემ, მხატვარია შ. შექლაშვილი, კომპოზიტორები: თ. ჭაიანი, მ. ოძელი, ქორეოგრაფი — იუ. ზარეცი. ახალგაზრდული თეატრ-სტუდია (მეტეხი)

19 იზნისი. — კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“. გ. კოსტავას ინსცენირება. დადა ანუ. ქუთათელაძემ, მხატვარია თ. ბენიე, კომპ. ოთარ თავაძეშვილი. რუსთავის თეატრი.

25 იზნისი. — ა. არბუზოვის „ძველმოღუბო კომედია“. თარგმნა ო. ჩხეიძემ, დადა რუ. კაკულიამ, მხატვარია ჭ. ფარუაშვილი, მუსიკ. გააფორმა ი. ბობოხიძემ. გ. ერისთავის სახ. თეატრი.


26 იზნისი. — ვ. ტენდრაკოვის „გამოსაშვები საღამოს შემდეგ“. დადა ე. ბასილაშვილმა, მხატვარია გ. გაფორმაშვილი, მუსიკ. გააფორმა გ. მიტრელიძემ. ლენინური კომპაზიციის სახ. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი.

30 იზნისი — გ. ჩხაიძის „ღარისაშის გასაქირაი“. ლიბრეტოს ავტორი და აღმდგმელი რეჟისორია ვ. ნიკოლაძე, დირიჟორია თ. ქუმბურიძე. ოპერისა და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალი.

30 იზნისი. — ა. ხმელიკის „ჭართი“. თარგმნეს ა. გეწაძემ, დ. აბაიძემ, დადა შ. გაწიქელიამ, მხატვარია დ. მურუბიძე, მუსიკ. გააფორმა ი. ბობოხიძემ. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი.

30 იზნისი. — არლი ლივივის „მონოლოგი“. თარგმნა ა. კალაძემ, დადა მ. ბენჭავაშვილმა, მხატვარია ირ. შველიშვილი. სექტატელში გამოყენებულია ორი სცენის, მარტინ კაბოჩილისა და არადმ პლატიკის მუსიკა. ასრულებს პრადის ჯაზ-ორკესტრი „ცისფერი ეფექტი“. ქორეოგრაფებია ინგა ზადალოვა და ნოდარ ბეულავა. ა. წერეთლის სახ. ქიათურის თეატრი.

30 იზნისი. — ვ. კანდელაკის „გრძობი დღე“. დადა ი. მაცხარაშვილმა, მხატვარია შ. ღარჩია. ა. წულუწავას სახ. მახარაძის თეატრი.





ოპორტი

მარტივ კორიუნო

შექსიკი ერთი სათითო

არც შინაარსი, არც მოქმედება,
 მისი პიესა გულს არ ეღება,
 ტრაგედიაა მქლე, ნაჩქარევი,
 და დაიხოცა ხალხი მთქნარებით.
 იყო პიესა ძალით ნაკეთი,
 მაგრამ ავტორის ნახეთ ბანკეტი!
 მისცეს ვარდები, თუმც კი ეძვირათ,
 გამოაცხადეს იგი შექსიკად.
 ხედა ტრაგედიას მხოლოდდამხოლოდ
 ეს კომიკური ფინალი ბოლოს.

თარგმნა სტეფანე მხარბრძელმა

ტ რ ა გ ე დ ი ა

— პირველი მოქმედების დასრულებისთანავე
 ავტორი მიიქრა ერთ-ერთ მსახიობთან, რომელიც
 მაც ცუდად ითამაშა, და უთხრა:
 — ვცდილი ჩემს ტრაგედიას. თქვენ მოყვლე-
 ბით მეორე მოქმედებაში და არა მესამე მოქ-
 მედების დასასრულს.
 — რატომ?
 — ჯობს ჩემი გეგმის მიხედვით მოყვლეო,
 ვიდრე მასურებელთა მუშტბტვეშ ამოგბდეო
 სული.

ა ნ ა ლ ო ვ ი ა

სცენაზე მსახიობი გამოვიდა და ნაღვლიანი
 სიმღერა გააბა. მღეროდა და თან აქეთ-იქით
 იურობოდა, აბა გული ვის ავუჩუქუო. დაიწახა,
 რომ სულ უკანა კუთხეში მდგარა დედაბერი
 იცრემლებოდა. სიმღერა დაამთავრა თუ არა,
 სცენიდან ჩამოვიდა, დედაბერთან მიიჩბინა და
 ჰკითხა:
 — წაიტირე ბებო?
 — როგორ არ მტირა, ჩემო კარგო, შენ ზუს-
 ტად ისე მღეროდი, როგორც ჩემი თხა კიკინე-
 და მაშინ, მგლებმა რომ დამიგლოჭეს.

შუაშალი არგუმენტი

კინოთეატრიდან მასურებელს ბნელ და ქუ-
 უიან ეზოზე გავლით უხედებოდათ ვამოსვლა.
 ერთმა მასურებელმა კინოთეატრის დირექ-
 ტორს მიმართა:
 — ეს ხომ ხალხის უპატივისცემლობაა! მარ-
 თალია, შესასვლელი ჩვეულებრივია, მაგრამ
 გასასვლელში მუხლამდე ტალახი და წუშბეა.
 დირექტორმა მათუო:
 — ძვირფასო მეგობარო, ჩვენ ფულს შესე-
 ლისათვის ვიღებთ და არა გასვლისათვის.

ხელოვნების სამსახურებლო

— აი ამ უფსკრულიდან პირდაპირ დაბლა გა-
 დამეგებით, — უთხრა კინოგადაღებზე რეჟი-
 სორმა მსახიობს.
 — რომ დავიბტვრე?
 — რა უშავს, ეს ხომ ფილმის ბოლო კადრია.

რამომენდაცია

მართმა მომღერალმა ქალმა დირიჟორს თაე-
 სი ხელოვნება გააცნო და თან დასძინა:
 — ჩემთვის ბევრს უთქვამს, ამ ხმით ოპერა-
 შიაც კი შეგიძლიათ წახვიდეთო. თქვენ რო-
 გორ ფიქრობთ?
 — რა თქმა უნდა, თუ ბილეთს შეიძენთ, —
 მიუგო დირიჟორმა.

ი მ ე დ ი

რამისორმა ფარდის ქუჭრუტანიდან მასურ-
 ბელთა დარბაზში გაიხიდა და მსახიობები გაამ-
 ხეევა:
 — ნუ გეშინათ. დღეს მათ წინააღმდეგ რიც-
 ხობრივი უპირატესობით ვთამაშობთ.

მცდელობა

— თუ არ სცდი, — უთხრა ინგამ შეყვარე-
 ბულს, — მაშინ ჩვენ შორის ყველაფერი გა-
 თადებდა! ცხოვრებაში ყველაზე დიდი შესაძლებ-
 ლობა გეძლევა და, უბრალოდ, უფლება არა
 გაქვს, გვერდო დაუარო.
 — მაშ კარგო, ვციდი, — უთხრა პეტერმა. მას
 უყვარდა ინგა და მზად იყო მისი გულისათვას
 ყველაფერი გაეკეთებინა.

„განაეკვებითი ღქსიკონი“

ა ლ უ ფ ო თ ი ა

— შეხიდე, მეექვსე რიგში კაცს სძინავს, —
 ხელი წაჰკრა ინეზამ ქმარს.
 — მერედა, მაგის გულისათვის გამაღვიძე! —
 აღშოფოდა ქმარი.

სახეზე ხვითიკ გადასდიოდა, თმები შუბლზე ეწებებოდა, ხელები უკანკალებდა. პირიბის მიცემა ძნელი არ ყოფილა, მაგრამ შესრულება... იმ წამს მხოლოდ ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა: შორს, რაც შეიძლება შორს სადმე გადახვეწილიყო.

მაგრამ იგი ვერძნობდა, რომ ამგვარი ფიქრები ახლა უკვე გვიანდა იყო. ინგა მას მხდლად ჩასთვლიდა, თუკი უკან დაიხევდა, სურს თუ არა, ეს საქმე მინც უნდა დაახლოვოს. ორივესათვის ბევრი რამ იყო დამოკიდებული ამ საქმის წარმატებაზე.

„ახე საშინლად მინც არ ვერგვიულოდბე! ნეტავ ამაზე უარესს რაღა უნდა მოველოდე, სხვა არჩევანი აღარ დამჩრჩინდა, უნდა ვცადო და როგორმე ფულამდე მივაღწიო.“

გულის ჭიბზე ხელი მოითათუნა. მაგრამ ეს სულაც არ იყო საქმრო, რადგან იგი პისტოლტის სიმძიმეს ისედაც ვერძნობდა, ლითონის სიკვებე კი პერანგს ატანდა და კანს უსუსხავდა.

„მაშ აბა!“

იგი თავს დაუფლდა და მტკიცე გადაწყვეტილებით მიადგა შენობას, რომლის თავზეც დიდი შავი ასოებით ეწერა სიტყვა „ბანკი“. კარი სწრაფად შეიღო, თითქმის ცარიელ მოსაცდელ დარბაზში მიმოიხედა და პირველსავე სარკმელთან ჩქურჩ მიიჭრა.

ბანკის მოხელე საღაროს მიღმა პირადი ანგარიშების წიგნზე იყო დახრილი და ეტყობოდა მოახლოებულ საფრთხეს ვერ ვერძნობდა.

პეტერმა მარცხენა ხელით ჭიბიდან დაეკეცილო პატარა ტომარა ამოიღო და სარკმელში შეაღწყო, ხოლო მარჯვენათი პისტოლტეტი გულის ჭიბიდან იმდენზე ამოსწია, რომ იგი მოხელეს დაეხახა.

— თვადსხმაა! აავსეთ ეს ტომარა ბანკოტებით! აბა სწრაფად! — და არავითარი გაუფრთხილებული მოძრაობა, თორემ ამავე წუთს გესვრით! — გამოსცრა მან კბილებში.

მოხელე შიშამდგარი თვალბრტით მიშტერებოდა იარაღის ლულას და აცხცახებული ხელთ ტომარას იღებდა...

— ბრწყინვალეა! ჩინებულია, ჩემო ბიჭუნა! იმედი არ გამიცრუებ. ინტუიციით ვგრძნობდი შენს შინაგან ძალას და უნარს! — ფართოდ მკლავებავშლილი მიიჭრა მასთან აღფრთოვანებული რეჟისორი, — შენ ამ როლისათვის ხარ დაბადებული! ო, რა დიდებულად გამოხატე მპარცველობა! ნამდვილი ექსტრაქლასია! ამ ახალ ვესტეტოლულ ფილმში მთავარი როლი ნაღდად შენა.

გერმანულიდან თარგმანა
შ. ანირანაშვილიმ

ნაკილი კვლევები

„თეატრალური მოამბის“ 1976 წლის № 6 დაბეჭდილია გრ. ზაქარაიას მიერ შედგენილი „თეატრალური წიგნის ბიბლიოგრაფია. 1961-75 წ. წ.“ ერთი პატარა უსუსხობის გამო, გთხოვთ ამ წერილის გამოკვეთებას, დარწმუნებული ვართ ეს ჩვენი წერილი შეავსებს ბიბლიოგრაფიას და დაინტერესებულ პირთ დღემარება:

1. „თეატრალური ბიბლიოთეკის“ სერით (1968-72 წ.წ.) დაისტამბა 58 დასახელების ნაშრომი. გრ. ზაქარაიას მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიაში კი მოხსენებულია 42, აქედან ვამომცემლობის მინიშნებით 33, ხოლო 9 დასახელება, სახელდობრ: ქარელიშვილი ე. — ვულფრიან გუნა; ვახტანგ გარბაი, დოლო ანთაძე; შვანგირაძე ნ. — ნინო დავითაშვილი; აკაკი ფაღავე; ირაკლი გამრტყელი; ძიგუა ვ. — აკაკი (აკაკო) კვანტალიანი; ალექსანდრე (შაშო) გომეჯიური; ზუციშვილი ქ. — შაქრო ვომეჯიური გამომცემლობის მინიშნების გარეშეა დატოვებული. ჩვენს მიერ ხსენებული „თეატრალური ბიბლიოთეკის“ სერით აგრეთვე გამოცემულია: ჩინჩალაძე მ. — ივანე ფალიაშვილი, 1968 წ. 20 გვ.

კეჭელიშვილი ნ. — ალექსანდრე თაყაიშვილი, 1968 წ. 27 გვ.

ბუხნიკაშვილი ბურამ — თამარ ჭეჭვაძე, 1969 წ. 30 გვ.

კიკნაძე მ. — შალვა აღსახაძე, 1968 წ. 38 გვ.

შალვაშვილი ნ. — გიორგი დავითაშვილი, 1970 წ. 28 გვ.

მონიაშვილი ბ. — ლალო კავსაძე, 1970 წ. 24 გვ.

ელიაშვილი ნ. — ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, 1971 წ. 55 გვ.

შინგაძე ლ. — ვანო სარაჯიშვილი, 1972 წ. 31 გვ.

რამიშვილი თ. — კოტე ფოცხვერაშვილი, 1972 წ. 31 გვ.

ცაბარაიშვილი ლ. — ალექსანდრე იმედაშვილი, 1972 წ. 30 გვ.

ურუშაძე ნ. — ელენე ახვლედიანი 1971 წ. 38 გვ.

პატვისციმით სიკო ვალვაშვილი



შ ი ნ ა ბ რ ს ი

საიუბილეო გზაჯგის ნიშნით

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი 3

ალექსი არღუნი — აფხაზური თეატრი ოქტომბრის პირმშოა 10

მედია გიორგაძე — თეატრალური მხატვრები ახალ ამპლუაში 14

მარგო გოგოლაშვილი — მესხეთის თეატრი ასი წლისაა 16

დაჯილდოება 19

დამიტრი ალექსიძე — სიტყვა ილო მოსაშვილზე 20

მაია კობახიძე — აბსურდის თეატრი და მისი თეორიული საფუძვლები 20

ვახტანგ გიორგაძე — ზოგი რამ ლადო მესხიშვილის ცხოვრებიდან 24

გუგუშვილი ბუხნიკაშვილი — იოსებ იმედაშვილის ავტოგრაფი 27

მიხეილ ყვარელაშვილი — ი. გრიშაშვილი მუსიკაში 28

რესპუბლიკის თეატრალურ აზიზასთან

მანანა კორძაია — „მთების გული“ ქუთაისის თეატრის სცენაზე 21

ნესტან კვეციე — ოცი დღე აჭარაში 33

ჩვენ იუბილარები

ჭემალ ჩხეიძე — იუსუფ კობლაძე 34

ნადედა კურჯინა — ნახევარი საუკუნე სცენაზე 37

ლალი ყურულაშვილი — ნორა ყიფიანი 39

ელენე ბურდილაძე — სახალხო თეატრის მოამაგე 41

ნიკო კვეციშვილი — მიხეილ აბეჯანაძე 40

დასავლეთ გერმანიის პრესა რუსთაველის თეატრის გასტროლებზე 44

სტუმართა შთაბეჭდილებანი 46

ბიძინა ნიშნაიანიძე — ორი ურიელი 48

ანა ვარდაშვილი — მოგონება მოქანდაკე ქალზე 47

„ციციანაელები თმაში“ 50

ღვაწლმოსილთა გახსენება

ალა გაჩეჩილაძე — მსახიობი-რეჟოლუციონერი 52

ნათელა ლაშხია — აექსენტი ცაგარელი 54

ვაჟა ძიგუა — ალექსანდრე გომელაური 56

მალაიკო მრევლიშვილი — ეკატერინე კედიას ხსოვნას 59

თეატრალური წიგნის თარო

ციური ხეთერელი — მწვანეყვავილას უბნიდან — დიდ გზაზე 60

ალექსანდრე ეგუტია — დიდი ხელოვანის ცხოვრების მატიანე 63

საქართველოს სსრ სახელმწიფო თეატრებში დადგმული ახალი სპექტაკლები 1977 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე 66

იუმორი

მკრტირ კორიუნი — შექსპირი ერთი საათით 69

ვანმარტეხიტი ლექსიკონი (თარგმნა შ. ამირანაშვილმა) 79

გარეკანის პირველ გვერდზე:

სცენა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „ანზორი“.

გარეკანის მეოთხე გვერდზე:

1. სცენა ვ. აბაშიძის სახ. სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „ლამანჩელი“.

2. სცენა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ქუთაისის ფილიალის სპექტაკლიდან „ტოსკა“

3. სცენა ქ. თბილისის მოზარდმეყურებელთა თეატრის სპექტაკლიდან „მერი პოპინსი“.

ВЕСТНИК ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси — 1977

№ 4 (98)

ფასი 40 კაპ.
Цена 40 коп.

გადაეცა წარმოებას 16/VIII-77 წ.

ხელმოწერილია 17/X-77 წ.

ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა — 6

სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 7,60

ქალაქის ზომა 72X108¹/₁₆

